წლიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოსი 10—56, მთ. კანტორის—8—31.

ხუთშაბათი, 20 აპრილი 1933 წ. № 91 (3647)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართოდ გავშალოთ სოცშეჯიბრება თესვის ფრონტზე გამარჯვებისათვის

ნიღაბჩამოგლეჯილი მტერი

თითქმის 5 დღეს გაგრძელდა სასამართლოს გამოძიება მავნებლების და ჯაშუშების საქმეზე, რომელნიც 12 აპრილს წარსდგენ უზენაეს სასამართლოს წინაშე.

რით არის დამახასიათებელი სასამართლოს გამოძიება?

ჯერ ერთი, მრავალი უდაო ფაქტით და დამამტკიცებელი საბუთით. ისინი სრულიად საკმაოა, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. ვიშინსკი აღნიშნავს თავის სიტყვაში, ბრალდებისათვის.

მეორე, თვით ბრალდებულთა აღიარებით.

მესამე, ექსპერტიზის დასკვნებით.

ამ სამ მომენტს ეყრდნობა სახელმწიფო ბრალდება, რომელმაც თავისი წარმომადგენლის ამხ. ვიშინსკის პირით ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ ეს პროცესი წარმოადგენს ორი ერთმანეთთან მებრძოლი ძალის — სოციალიზმის და კაპიტალიზმის — მორიგი შეტაკების აქტს, იმ კლასობრივი ბრძოლის ეპიზოდს, რომელიც სხვადასხვა პერიოდში ღებულობს სხვადასხვა ფორმას — აშკარა და ფარულ, სისხლიან და უსისხლო, სამხედრო და ეკონომიურ ფორმებს.

სასამართლოს გამოძიების შედეგები ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს ძალების, მისი ძლიერების განუწყვეტელი ზრდის და განმტკიცების მაჩვენებელია. ამ ძლიერებას, რასაკვირველია, ვერ შეარყევენ განადგურებულ ექსპლოატატორულ კლასების ისეთი, [illegible] წარმომადგენლები, როგორიც არიან ლობანოვები, ოლეინიკები, სუხორუჩკინები, სოკოლოვები და სხვ.

საბჭოთა კავშირის ურყევი ძლიერება — აი რა მოისმოდა სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვაში. მან უდიდესი ძალა მისცა მის ანალიზს, განზოგადოებებს, დასკვნებს, მომაკვდინებელ დახასიათებებს, სარკაზმს, რომლითაც ამხ. ვიშინსკი ამხელდა, არა მარტო სოციალისტურ სამშობლოს მოღალატეებს — სამარცხვინო ბოძზე გაკრულ ადამიანებს, არამედ აგრეთვე ინგლისის კონტრდაზვერვის ჯენტლმენებსაც.

შემთხვევითი არ არის, რომ სახელმწიფო ბრალდებამ სხვა ბოროტმოქმედებათა შორის პირველ რიგში წამოაყენა **მავნებლობა.** ეს გასაგებია, რადგან პროცესის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს **საბჭოთა სახელმწიფო მოსამსახურების ჯგუფი,** რომლებიც ამხ. ვიშინსკიმ სამარცხვინო ბოძზე გააკრა, როგორც მოღალატენი და გამცემლები. ბრალდებულნი გუსევი, სოკოლოვი, კოტლიარევსკი, სუხორუჩკინი, ზოტინი, ლობანოვი, ლებედევი, ზივერტი, კრაშენინიკოვი, — ბევრი მათგანი თავისი [illegible] მიხედვით მავნებლობას ეწეოდა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ დაუკავშირდებოდა ინგლისის კონტრ-დაზვერვის წარმომადგენლებს. აბსოლუტურად მართალია ამხ. ვიშინსკი, როცა იგი კითხულობდა თავის სიტყვაში, — **ვინ, ვინ აირჩია თავის თანამონაწილედ:** გუსევმა — მაკდონალდი თუ პირიქით?

სწორედ ამაში მდგომარეობს პროცესის დამახასიათებელი ნიშანი. **საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთელი კლასობრივი მტრები, საერთაშორისო კონტრ-რევოლუციის ძალები და შინაური ემიგრაციის წარმომადგენლები გუსევ — ლობანოვების სახით წარმოადგენენ ღირსეულ თანამებრძოლებს.** სწორედ ამიტომ კარგავს ყოველივე აზრს ინგლისის შუბლმაგრების არგუმენტაცია, რომლებიც ცდილობენ უარყონ მოსყიდვის ფაქტი ქრთამის რაოდენობაზე მითითებით. ნორდვოლის, მონკჰაუზის, ტორნტონის და სხვების პარტნიორები; საერთო ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ — წვრილმანი და უბადრუკი ხალხია. თითოეული მათგანი ეწეოდა მავნებლობას თავისი ნიჭის მიხედვით და ღებულობდა მოთხოვნილების მიხედვით. ტორნტონი, მონკჰაუზი, კუშნი, ნორდვოლი და სხვა მზვერავები ცდილობენ სასამართლოში უარყონ თავისი დანაშაული და თავისი საკუთარი ჩვენებებიც კი. მაგრამ ამ ცდით მათ ვერ შესძლეს შეეყვანათ შეცდომაში სახელმწიფო ბრალმდებლები, რომლებსაც მოეპოვებოდათ სრულიად საკმაო მასალა იმისათვის, რომ ემხილებინათ ეს ვაჟბატონები არა მარტო მათ მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში, არამედ სიცრუეშიაც, როცა ისინი ცდილობდენ აღნიშნულ ბოროტმოქმედებათა უარყოფას. ბრიუს ლოკარტიც, რომელიც მხილებული იყო ინტერვენციის მომზადებაში 1918 წელს, აგრეთვე უარყოფდა თავის დანაშაულს და ჯენტლმენის კეთილშობილურ აღშფოთებასაც კი გამოთქვამდა, როცა მას წაუყენეს ეს ბრალდება. ხოლო 14 წლის შემდეგ ამ სამსახურს გარეშე მყოფმა დიპლომატმა და შერცხვენილმა ინტერვენტმა, რომლისთვისაც ახლა საჭირო არ არის თავისი ყოფილი ინტერვენციონისტული საქმიანობის დამალვა, მით უმეტეს, როცა მოგონება მის შესახებ შეიძლება აქციოს გირვანქა სტერლინგებად, გამოაქვეყნა მემუარები. ამ მემუარებში იგი დაწვრილებით მოგვითხრობს სწორედ იმას, რასაც უარყოფდა სასამართლოში 1918 წელს. ეს მაგალითი ღირსია იმის, რომ მოვიგონოთ სწორედ ახლა ორი „თეთრი წიგნის“ გამოქვეყნების შემდეგ, მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გავრცელებულ ბრიტანეთის ქვეშევრდომების უდანაშაულობაში, მას შემდეგ, რაც ადგილი ჰქონდა უმაგალითო და უხეშ ცდას მოახდინონ ზეგავლენა საბჭოთა მართლმსაჯულებაზე.

სახელმწიფო ბრალმდებლებმა მთელი მსოფლიოს წინაშე დაადასტურეს ბრალდებულთა დანაშაულობა. სახელმწიფო ბრალმდებლებმა მთელ მსოფლიოს წინაშე გამოააშკარავეს ინგლისელი შუბლმაგრების ოფიციალური ცილისწამება საბჭოთა სასამართლოს შესახებ, „მესამე ხარისხის“ მეთოდების შესახებ, რომელთა მეოხებითაც, თითქოს, აღიარეს დაპატიმრებულებმა თავისი დანაშაული.

სახელმწიფო ბრალმდებლებმა დაამტკიცეს სასამართლოში, რომ ტორნტონის, მაკდონალდის, მონკჰაუზის — ბრალდებულთა ინგლისური ჯგუფის სამი ცენტრალური ფიგურის — მიზნები, ისე როგორც ამ საქმის გამო ყველა ბრალდებულთა მიზნები, მდგომარეობდენ ჯაშუშობაში, **დივერსიებში ჩვენი მეურნეობის ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო დარგებში, საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის სამჭედლოებში.**

ტორნტონმა — ჯაშუშური ჯგუფის ხელმძღვანელმა და ორგანიზატორმა — აირჩია თავისი საქმიანობისათვის ანტი-საბჭოთა ფრონტის ყველაზე უფრო მოწინავე ხაზი. მაგრამ მან ვერ გაამართლა იმათი იმედი, ვინც გამოგზავნა იგი ჩვენს ქვეყანაში. ეს მოხდა იმიტომ, რომ ინგლისელმა იმპერიალისტებმა, რომლებმაც არა ერთხელ იგემეს დამარცხება პროლეტარული დიქტატურისაგან, ვერაფერი ვერ ისწავლეს და ვერაფერი ვერ შეითვისეს. ტორნტონს შეიძლება კიდეც ეჩვენებოდა თავი თავისი კარიერის მწვერვალზე. გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს დაუნდობელმა ხელმა გამოათრია ეს მესაპოტამიელი „მამაცი მხედარი“ და დასვა იგი საბრალმდებლო სკამზე მის აგენტებთან და დაქირავებულ ხალხთან ერთად. ბატონო ტორნტონ,—ეკითხებოდა სახელმწიფო ბრალმდებელი, — თქვენ ფიქრობდით გამოგეკვლიათ და ნაწილობრივ გამოიკვლიეთ კიდეც საბჭოთა კავშირის თავდაცვითი და შეტევითი შესაძლებლობანი. დიდია ეს შესაძლებლობანი, ხომ ასეა? თქვენ ამაში დარწმუნდით, კერძოდ, იმით, რომ მოხვდით საბრალმდებლო სკამზე.

მტრების აგენტურა გამოაშკარავებულია. ის ხალხი, რომელსაც თავი მოჰქონდა თავისი „ცივილიზაციით“, თავისი „ტრადიციებით“ წარსდგა მთელი მსოფლიოს წინაშე თავისი ბუნებრივი სახით — საზიზღრად გაშიშვლებული. ეს წრეები გამომჟღავნებული არიან მათ აგენტებთან ერთად. გუსევთან და ლობანოვებთან ერთად, სხედან ისინი საბრალმდებლო სკამზე და მათთან ერთად მოელიან ისინი უზენაეს სასამართლოს განაჩენს.

(1933 წლის 18 აპრილის „პრავდა“-ს შემოკლებული მოწინავე წერილი).

მივაღწიოთ გადამწყვეტ გარდატეხას თესვაში

საგაზაფხულო კულტურების თესვის მიმდინარეობის ოპერატიული ცნობებიდან, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, სჩანს, რომ თესვის ტემპები სუსტია და ის ვერ უზრუნველყოფს მინდვრის სამუშაოთა დამთავრებას ცალკე კულტურებისათვის დაწესებულ ვადებში. თესვის ტემპები რასაკვირველია პირველი აპრილიდან ყოველ ხუთდღიურში იზრდება. ასე მაგ.: აპრილის პირველ ხუთდღიურში დაითესა 13.570 ჰექტარი, მეორე ხუთდღიურში 15.040 ჰექტარი და მესამე ხუთდღიურში 20.668 ჰექტარი. როგორც ვხედავთ ხუთდღიურის მიხედვით თესვის ტემპები მაღლა იწევს, მაგრამ ვიმეორებთ, ეს ტემპები არ არის საკმარისი, იგი ვერ უზრუნველყოფს თესვის დავალებათა **დროულად** შესრულებას. 15 აპრილისათვის დათესილი იყო სულ რესპუბლიკაში 80.239 ჰექტარი შესრულებული იყო გეგმის 12,3 პროცენტი. 10 აპრილიდან 15 აპრილამდე დაითესა 20.668 ჰექტარი, ანუ მთელი საგაზაფხულო თესვის გეგმის 3.1 პროცენტი.

უკანასკნელ ხუთდღიურებში თესვის ტემპები არ გაშლილა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. ამას ერთი მხრით ხელი შეუშალა ცუდმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა. (გამუდმებული წვიმები და ქარიშხლები. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მოვიდა თოვლი).

მაგრამ თესვის მიმდინარეობის არა დამაკმაყოფილებელი ტემპები არ აიხსნება მარტო ცუდი ამინდებით. მთელ რიგ რაიონებში იმის გამო, რომ არ აფასებენ ადრე თესვის უდიდეს მნიშვნელობას მოსავლიანობის გადიდების თვალსაზრისით — გვიანდება თესვის დაწყება. არ შეიძლება [illegible] ცუდი ამინდებით ავხსნათ ის გარემოება, რომ **ონის** რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ პირველი ხვნა. არც იმის ახსნა შეიძლება ავდრებით, რომ **ბაშკიჩეთის, თიანეთის და ახალციხის** რაიონების ზოგიერთ სოფლებში — ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული სათესლე ფონდების შეგროვება. აშკარაა, რომ თესვის საქმეში ზოგან ჩვენ საქმე გვაქვს ოპორტუნისტულ თვითმიმდინარეობასთან. რაც დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს.

თესვა კვლავ ყველაზე უფრო ცუდად მიმდინარეობს ერთპიროვნულ მეურნეობათა ხაზით. უკანასკნელ ხუთდღიურში ერთპიროვნულ მეურნეობებმა დათესეს 10 ათასი ჰექტარზე ცოტა მეტი. ეს მთელი იმ ფართობის მხოლოდ 2,4 პროცენტს შეადგენს. რომელიც ერთპიროვნულ მეურნეობებმა უნდა დათესონ.

ცალკე კულტურების მიხედვით მდგომარეობა ასეთია: ქერის თესვის გეგმა შესრულებულია 40,7 პროცენტით, ხოლო ხორბლის 33,6 პროცენტით თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მთელს რესპუბლიკაში პურისა და ქერის თესვის მთლიანად დამთავრებამდე მხოლოდ 10 დღეა დარჩენილი. უნდა დავასკვნათ. რომ ამ დარგში (პურის და ქერით თესვა) ჩვენ საქმე გვაქვს სერიოზულ ჩამორჩენასთან.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა გვაქვს სიმინდის თესვის დარგში. საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ დაწესებული ვადები თანახმად, სიმინდის თესვა დასავლეთ საქართველოს 10 რაიონში უნდა დაწყებულიყო პირველ აპრილიდან, ხოლო დანარჩენ რაიონებში ძირითადად 10 აპრილიდან. ადგილებიდან მოსული ცნობები მოწმობენ. რომ ეს ვადები ბევრ შემთხვევაში ირღვევა. ამის მიზეზი უმთავრესად უნდა ვეძიოთ იმაში. რომ საკმაო წინააღმდეგობას არ უწევენ სიმინდის გვიან თესვის ტენდენციებს, რომელსაც დღემდე აქვს ადგილი უმთავრესად დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში.

ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა ზომები იმისათვის. რომ მტკიცედ დაცულ იქნეს საგაზაფხულო კულტურების თესვის მთავრობის მიერ დაწესებული ვადები. გადაჭრით უნდა აღიკვეთოს, ერთგვარი დემობილიზაციური განწყობილება, რომელიც ზოგან შექმნა არა ხელსაყრელი ამინდების გამო.

პირველ რიგში გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული იმ კულტურების თესვის დასაჩქარებლად, რომელთა ვადაც იწურება. ასეთია მაგალითად მარცვლეული კულტურების ხაზით უმთავრესად ხორბალი და ქერი.

დასავლეთ საქართველოს რაიონების განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიმინდის თესვის ყოველმხრივ დაჩქარებას. მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა იმისათვის რომ **სიმინდის თესვა ძირითადად დამთავრდეს 10 მაისამდე.**

სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლით. ურთიერთ დახმარების მოხერხებულად მოწყობით. ერთპიროვნულ მეურნეობათათვის კონკრეტული ხელმძღვანელობის გაძლიერებით და კულაკური საბოტაჟის აღკვეთით უნდა მივაღწიოთ გადამწყვეტ გარდატეხას საგაზაფხულო თესვაში.

დ. რ.

დაწესებულია გარდამავალი დროშა და პრემიები

ბამბისათვის საუკეთესო მებრძოლთა დასაჯილდოვებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ეძლევა საქართველოს სსრ ერთ-ერთ რაიონს ბამბეობის სფეროში დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წარმოებული ბრძოლის თვისებითი და რიცხობითი მაჩვენებლების უკეთესად შესრულებისათვის.

2. დაარსებულ იქნეს ფულადი პრემიები სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა, კოლექტიური მეურნეობების გამგეობების თავმჯდომარეთა, ბრიგადირთა კოლმეურნეთა, აგრონომთა და აგროტეხნიკოსთა დასაჯილდოებლად, ბამბის დათესვისა, დამუშავებისა, მოსავლის აღებისა და ბამბის ჩაბარების გეგმების აღსრულების საქმეში უკეთესი მუშაობისათვის:

პირველი პრემია 500 მან. რაოდენობით (ორი პრემია);

მეორე პრემია 300 მან. რაოდენობით (სამი პრემია)'

მესამე პრემია 200 მან. რაოდენობით (ხუთი პრემია).

3. დაწესებულ იქნეს დაპრემირება, საქართველოს სსრ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარდგენისამებრ, სსრკ-ის საწარმოო ცენტრებსა და დედა-ქალაქებში წარვლინებით ორი პირისა, რომელთაც თავი იჩინეს მებამბეობის სფეროში დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წარმოებულ ბრძოლის დროს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. ჟღენტი

1933 წ. აპრილის 14

ტფილისი

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ლ. მ. კარახანის განცხადება იაპონიის ელჩ ბ. ოტასადმი 1933 წლის 16 აპრილს

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე შექმნილ შემაშფოთებელ მდგომარეობასთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ, ამხ. ლ. მ. კარახანმა მოიწვია იაპონიის ელჩი ბ. ოტა და ა.-წ. 16 აპრილს საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით მას მიმართა შემდეგი განცხადებით:

1. იაპონია-ჩინეთის კონფლიქტის წარმოშობის და მანჯურიის ტერიტორიაზე იაპონიის არმიის შესვლისთანავე, იაპონიის მთავრობა ბ. იაპონელი ელჩის (მოსკოვში) საშუალებით და უშუალოდ საბჭოთა ელჩისათვის ტოკიოში არა ერთხელ მიუცია დაპირება, რომ საბჭოთა კავშირის უფლებები და ინტერესები, კერძოდ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე, არ იქნებოდა შელახული, რომ როგორც იაპონიის სარდლობას, ისე იაპონელ მოხელეებს მანჯურიაში აქვთ მტკიცე ინსტრუქციები არ დაუშვან საბჭოთა კავშირის უფლებების და ინტერესების შელახვა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე. ასეთი განცხადებებით გამოდიოდენ არა მარტო ამბების დასაწყისში, არამედ ამ ამბების განმავლობაშიც, სულ უკანასკნელ დრომდე, საიდანაც ცხადია, რომ იაპონიის მთავრობამ იკისრა პასუხისმგებლობა ყოველივე იმისათვის, რასაც შეუძლია დაარღვიოს საბჭოთა კავშირის უფლებები და ინტერესები.

საბჭოთა მთავრობამ მიიღო იაპონიის მთავრობის ეს შეპირებანი ერთგვარი დამშვიდებით, მით უფრო, რომ ამბების დასაწყისშივე იაპონიის ადგილობრივ ხელისუფლებას ნამდვილად ემჩნეოდა სურვილი თავიდან აეცილებინა ყოველივე ის, რასაც შეეძლო ზიანი მიეყენებინა საბჭ. კავშირის უფლებებისა და ინტერესებისათვის. მთელ რიგ შემთხვევებში, როცა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზას ზიანს აყენებდენ გზის რაიონში წარმოებული სამხედრო მოქმედებასთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობა, თუმცა იგი აქცევდა იაპონიის ყურადღებას ამ ზიანზე, მაგრამ მზად იყო მოპყრობოდა ამას სრული დამშვიდებით, რამდენადაც ასეთი ზიანის ახსნა შეიძლებოდა სამხედრო მდგომარეობის პირობებით.

2. უკანასკნელ თვეებში მანჯოუგოს ხელისუფლების, მანჯოუგოს იაპონელი მრჩევლების და უშუალოდ ადგილობრივი იაპონური ხელისუფლების მოქმედებამ შექმნა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე სერიოზული მდგომარეობა, რომელიც იწვევს საბჭოთა მთავრობის შეშფოთებას არა მარტო გზის მდგომარეობისათვის, რომლის ნორმალური მუშაობა დარღვეულია, არამედ ამასთან დაკავშირებითაც, რომ ეს მოქმედება ამოცანად ისახავს მდგომარეობის გამწვავებას გზაზე, სხვათაშორის ცალკეულ საკითხებზე კონფლიქტის ხელოვნურად გამოწვევის გზითაც.

3. ძირითადი ფაქტები, რომლებზედაც საბჭოთა მთავრობა მიაქცევს იაპონიის მთავრობის ყურადღებას, შემდეგია:

ა) 1932 წლის 7 ივლისს მანჯურიის ხელისუფლებამ ხელთ იგდო აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სატვირთო გემთმისადგომი, ის ხელთ იგდეს, როგორც ეს ეცნობა იაპონიის მთავრობას 8 ივლისს, მანჯოუგოს სამსახურში მყოფ იაპონელ ქვეშევრდომთა უშუალო ხელმძღვანელობით. აღნიშნულ პირთა მიზეზით, ეს საკითხი დღემდე ვერ მოგვარდა, რითაც **შელახულია საბჭოთა კავშირის ინტერესები.**

კიდევ მეტი, მიუხედავად იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაპირებისა, რომ იგი ხელს შეუწყობდა საკითხის სასწრაფოდ მოგვარებას, ა.-წ. 11 აპრილს იაპონიის სამხედრო თანამდებობის პირებმა დაიკავეს სატვირთო გემთმისადგომის კონტორა, შენობაზე აღმართეს იაპონიის დროშა და დააყენეს იაპონელთა დარაჯები.

თუ დღემდე მანჯოუგოს ხელისუფლების წარმომადგენლები სჩადიოდენ უკანონო აქტს, რომლის მოგვარებაში იაპონიის მთავრობა მონაწილეობას ღებულობდა, ახლა თვით — იაპონელთა ხელისუფლებამ გადასწყვიტა ხელთ იგდოს ის, რაც იყო და რჩება მოლაპარაკების საგნად. ამ მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც აშკარად არღვევს იაპონიის მთავრობის ზემოდხსენებულ შეპირებებს, საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია პროტესტი არ განაცხადოს.

ბ) იაპონიის მთავრობის თხოვნით, საბჭოთა მთავრობა თანხმობას იძლეოდა იაპონიის ჯარების გადაყვანაზე აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზით. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ საბჭოთა მთავრობა და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა გადაყვანის ამ აქტებს უყურებდენ და უყურებენ წმინდა კომერციული ტვირთზიდვის თვალსაზრისით, რომელიც თავის დროზე უნდა იქნას ანაზღაურებული.

ამავე დროს კი, მოლაპარაკება აღმ. ჩინეთის რკინის გზასა და იაპონიის სამხედრო ხელისუფლებას შორის, რომელიც ამ საკითხის გამო სწარმოებს, სისტემატიურად ჭიანურდება და უკვე დაგროვილია დიდი დავალიანება. ეს აუარესებს გზის ფინანსიურ მდგომარეობას, რომელიც ისედაც დაზარალდა მანჯოუგოში დატრიალებული სამხედრო ამბების შედეგად კომერციული ტვირთზიდვის ძალზე შემცირების გამო.

გ) საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მანჯურიის უკანასკნელი ამბები, როცა მანჯოუგოს იაპონელი მოხელეების პირდაპირი მოთხოვნით და მონაწილეობით პოლიციურმა ხელისუფლებამ ჩაიდინა მთელი რიგი ძალდატანებითი მოქმედება, რაც პირდაპირ მიმართულია აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ნორმალური მუშაობის შერყევისა და საბჭოთა კავშირის ინტერესებისათვის სერიოზული ზიანის მიყენებისაკენ. ეს მოქმედებანი გამოიხატა მანძილის დაშორებაში აღმოსავლეთ რკინის გზასა და ზაბაიკალიის რკინის გზას შორის პალოებით ისრების ჩარჭობით, იმ მიზნით, რომ შეუძლებელი გახდეს მიმოსვლა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზისა და საბჭოთა კავშირის გზებს შორის და შეიქმნას სიძნელენი ევროპულ-აზიური მიმოსვლისათვის, საბჭოთა კავშირის კუთვნილ სატრანზიტო ტვირთის ხელთ ჩაგდებაზე და ამით აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზით ტრანსპორტზე საბჭოთა კავშირის უფლებების უხეშად დარღვევაში.

დ) აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთის ხაზი ამჟამად სავსებით დეზორგანიზებულია, მატარებლებზე და სადგურის ნაგებობებზე მძარცველების სისტემატიური თავდასხმის, მატარებლების ბოროტი განზრახვით დამსხვრევის, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომუშავე მოსამსახურეებზე თავდასხმის, მათი მკვლელობის და მოტაცების შედეგად. იაპონიის მთავრობა, რომლის თხოვნით და ნებართვით იაპონიის ჯარების გადაყვანაზე აღმ.-ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთ ხაზით არწმუნებდა საბჭოთა მთავრობას, რომ იგ მიზნად ისახავს წესრიგის აღდგენას და კისრულობს მის დაცვას. ამავე დროს კი, წესრიგის და უშიშროების თვალსაზრისით, მდგომარეობა გზაზე ყველაზე უფრო ცუდ დროსაც კი არ ყოფილა ისე მძიმე, როგორც ამჟამად არის.

ე) მანჯოუგოს ხელისუფლებამ და მანჯურიაში არსებული იაპონელთა ხელისუფლებამ სრულიად ხელოვნურად შექმნეს და გაბერეს ამ ბოლო დროს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მყოფი ორთქლმავლების და ვაგონების საკითხი, რადგან მათ არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ, რომ ორივე ამ საკითხზე საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარი საყვედურის გარეშე სდგას. ორთქლმავლები, რომლებზედაც ლაპარაკია, ეკუთვნის საბჭოთა მთავრობას და არასოდეს არ შეადგენდა აღმ.-ჩინეთის რკინის გზის საკუთრებას. არც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზას, რომელიც საბჭოთა კავშირის საკუთრებას, არც მანჯოუგოს, არც მით უფრო იაპონელებს არ შეიძლება ჰქონდეთ რაიმე პრეტენზია ამ ორთქლმავლების მიმართ რაც შეეხება ვაგონებს, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზასა და საბჭოთა გზებს შორის ყოველთვის აქვს ადგილი ვაგონების გაცვლა-გამოცვლას და გასაკვირველი არ არის, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ვაგონების განსაზღვრული რაოდენობა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იმყოფება, ისე როგორც საბჭოთა რკ. გზ. ვაგონების ასეთი და უფრო მეტი რაოდენობაც კი, მოცემულ შემთხვევაში 2.000 ვაგონზე მეტი, იმყოფება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. თუ ვაგონების დაბრუნება საბჭოთა კავშირიდან აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე ზოგჯერ ჭიანურდება, ეს ხდებოდა ჩინელ რაზმებსა და იაპონია-მანჯურიის ჯარებს შორის წარმოებულ სამხედრო მოქმედების გამო, რამაც მრავალი თვის განმავლობაში შეკრა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა ორი მხრიდან—აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრიდან.

ვ) ყველა ეს ფაქტები, რომლებითაც სრულიადაც არ ამოიწურება საბჭოთა კავშირის ინტერესების შელახვა, აიძულებენ საბჭოთა მთავრობას მიმართოს იაპონიის მთავრობას და მოაგონოს მას მოცემული შეპირებანი იმაში, რომ საბჭოთა კავშირის ინტერესები არ იქნებოდა შელახული, და მოითხოვოს, რათა მიღებულ იქნას ეფექტიური ზომები, რომელთაც შეეძლებათ ნამდვილად დაიცვან საბჭოთა კავშირის უფლებები და ინტერესები ყოველგვარი თავდასხმისა და ხელყოფისაგან.

ამხ. ლ. მ. კარახანმა მიმართა ბ. ელჩს თხოვნით სასწრაფოდ აცნობოს პასუხი ამ განცხადებაზე.

ბატ. ოტა შეპირდა, რომ იგი დაუყოვნებლივ გადასცემს ამხ. კარახანის განცხადებას იაპონიის მთავრობას და უკანასკნელისაგან პასუხის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ შეატყობინებს ამ პასუხს საბჭოთა მთავრობას.

ამასთან ერთად ამხ. კარახანმა გადასცა ბ. ელჩს სამახსოვრო ბარათი, რაც შეიცავს ცნობებს ორთქლმავლების და ვაგონების საკითხის შესახებ, რომელიც წარმოადგენს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე დაჭიმული ვითარების შექმნის ერთ-ერთ საბაბს.

დაითესა საქართველოში

1 აპრილიდან—15 აპრილამდე

პირველ ხუთდღიურში	მეორე ხუთდღიურში	მესამე ხუთდღიურში	დათესილია სულ თესვის დაწყებიდან 15 აპრილამდე
13.570 ჰექტ.	15.040 ჰექტ.	20.668 ჰექტ.	80.239 ჰექტ. 12,3 პროც.

15 აპრილისათვის ყველა კულტურები დათესილი იყო 80.239 ჰექტარზე, შესრულებული იყო გეგმის 12,3 პროც., საბჭოთა მეურნეობებს დათესილი ჰქონდა 10.510 ჰექ. 45,8 პროც., კოლმეურნეობებს —29.567 ჰექტარი, გეგმის 25,6 პროც., და ერთპიროვნულ მეურნეობებს — 39.910 ჰექტ., 9,1 პროც.

ხორბალი დათესილი იყო 16.813 ჰექტარზე, გეგმის 33,6 პროც., (საბჭოთა მეურნეობებს შესრულებული ქონდათ გეგმის 516,7%, კოლმეურნეობებს—42,4 პროც., ერთპიროვნულ მეურნეობებს—29,6 პრ.).

ქერი დათესილი იყო 30.747 ჰექ. გეგმის 40,7 პროც., (საბჭოთა მეურნეობებს შესრულებული ქონდათ გეგმის 97,8 პროც., კოლმეურნეობებს—55,1 პროც. ერთპიროვნულ მეურნეობებს 29,3 პროც.).

სიმინდი დათესილი იყო 11.039 ჰექტ., შესრულებული იყო გეგმის 2,9 პროცენტით (საბჭოთა მეურნეობებს შესრულებული ქონდათ გეგმის 8,5 პროც., კოლმეურნეობებს 5,2 პროც. ერთპიროვნულ მეურნეობებს — 1,9 პროც.).

შვრია დათესილი იყო 1.446 ჰექ., გეგმის 57,7 პროც., საბჭოთა მეურნეობებში დათესილია გეგმის 56,9 პროც., კოლმეურნეობებში 84,1 პროც., ერთპიროვნულ მეურნეობებში 4 პროც.,

ფეტვი დათესილი იყო 237 ჰექტ., გეგმის 3,6 პროც., კოლმეურნეობებში დაითესა გეგმის 8,9 პროც., ერთპიროვნულ მეურნეობებში 1,4 პროც.

ღომი დათესილი იყო 118 ჰექტ. გეგმის 32,8 პროც., კოლმეურნეობებში დაითესა გეგმის 28,5 პროც., ერთპიროვნულ მეურნეობებში — 35,3 პროც.

დანარჩენი მარცვლეული დათესილი იყო 303 ჰექტ., გეგმის 25,5 პრ.

სულ მარცვლეული კულტურები დათესილი ყო 61.371 ჰექტ., გეგმის 11,6 პროც., (საბჭოთა მეურნეობებს შესრულებული ჰქონდათ გეგმის 64,8 პროც., კოლმეურნეობებს —15,6 პროც., ერთპიროვნულ მეურნეობებს 8,5 პროც.).

ცერცვოვანი კულტურები —173 ჰექტ., გეგმის 38,8 პროც., (საბჭოთა მეურნეობებს შესრულებული ქონდათ გეგმის 0,6 პროც., კოლმეურნეობებს დათესილი ქონდათ 54 ჰექტ., ერთპიროვნულ მეურნეობებს—116 ჰექტ.).

შაქრის ჭარხალი დათესილი იყო 2.597 ჰექტ., გეგმის 63 პროც. (საბჭოთა მეურნეობებში 403 ჰექტ. 65,9 პროც., კოლმეურნეობებში — 2.067 ჰექტ., გეგმის 65,1 პროც., ერთპიროვნულ მეურნეობებში — 127 ჰექტარი, გეგმის 39,1 პროც.).

ნათესი ბალახები — 3.847 ჰექტარზე, გეგმის 14,8 პროც., (საბჭოთა მეურნეობებს შესრულებული ქონდათ გეგმის—67 პროც., კოლმეურნეობებს—10,5 პროც., ერთპიროვნულ მეურნეობებს—2,1 პროც.).

თესვისათვის მზადება არ დაუმთავრებიათ

(ონის რაიონი)

ონის რაიონში, საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის, ამოქმედებულია ყველა ორგანიზაციები.

თესვასთან დაკავშირებით, გადასროლილ იქნენ რაიონის აქტივთან სოფლად 15 პასუხისმგებელი ამხანაგი, სოფლის საბჭოების და კოლმეურნეობების თავმჯდომარეებად.

ამის შედეგად ზოგიერთ სოფლის საბჭოებში გვაქვს გარკვეული წარმატებანი, მაგ.: სორის კოლმეურნეობაში, საუკეთესოთ არის ჩატარებული წინასწარი სამზადისი, ბრიგადებს შედგენილი აქვთ გარკვეული საწარმოო გეგმები, ჰიმაგრებულია მათზე, როგორც მიწის ნაკვეთები, ისე თესვისათვის საჭირო ინვენტარი და მუშა საქონელი, მომზადებულია და შეკეთებული მანქანა-იარაღები, გადაყვანილია ხარები გაძლიერებულ კვებაზე და სხვ.

ხვნა დაიწყო 10 აპრილიდან და სამი დღის განმავლობაში ტრაქტორისა და 60 უღელი ხარ-გუთნის საშუალებით, მოხნულია 40 ჰექტარი, ანუ გეგმის 35 პროცენტი.

ასეთივე მდგომარეობაა; სოფ. ფარვანეშის, კვაშხეთის, ონჭევის და ცხმორის კოლმეურნეობებში.

მიუხედავად ამისა, იქ სადაც პარტორგანიზაციები სუსტად მუშაობენ ყველაფერი როდია წესრიგში მოყვანილი.

სოფ. ნაკიეთის და ჭალა ნაკიეთის კოლმეურნეობებში, ჯერ კიდევ არაა ხვნა დაწყებული, საკოლმეურნეო ბრიგადებს გეგმები, გამწევი ძალა არ არის გადაყვანილი გაძლიერებულ კვებაზე და არც აქვთ საჭირო საკვები სათესლე მასალის შეგროვება არ არის დამთავრებული, მანქანა - იარაღების შეკეთება იგვიანებს, არ დაუმთავრებიათ მიწების მოწყობა, ნაკელის გატანისათვის არ მიუღიათ ზომები და სხვა.

სოფ. წოლის, მოიდანის და კომანდელის კოლმეურნეობებში, გამწევი ძალის გაუპიროვნებისა გამო, საქონელი ცუდ პირობებშია და ხვნისათვის გამოუსადეგარი.

შქმერის სოფ. საბჭოში, მართალია ჯერ კიდევ თოვლითაა მიწა დაფარული, მაგრამ წინასწარი სამზადისი ჩატარებას თოვლი ხელს არ შეუშლიდა. მაგ. თოვლი ვერ დააბრკოლებს მანქანა-იარაღების შეკეთებას, თესლის შეგროვებას და სხვ.

ყველა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება რაიონის პარტიულ საბჭოთა და განსაკუთრებით სამიწადმოქმედო ორგანიზაციებმა. საჭიროა მოსამზადებელი მუშაობის სასწრაფოდ დამთავრება და მინდვრად მუშაობის წარმატებით გაშლა.

შ. თვალჭრელიძე.

მეტი ყურადღება ერთპიროვნულ მეურნეობებს

კასპი, 17 აპრილი (სპეც. კორ.). კასპის რაიონში 15 აპრილისათვის საადრეო ხვნა ჩატარებული იყო 5447 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 69 პროც. აქედან შაქრის ჭარხლისათვის მოხნულია (მძრალად ხვნის ჩათვლით) 622,5 ჰექტ., (გეგმის 103 პროც.), ხოლო ბოსტნეულისათვის — 369 ჰექტ. (85 პროც.).

იმავე 15 აპრილისათვის საგაზაფხულო კულტურები დათესილი იყო— 3230 ჰექტარზე, (გეგმის 37 პროც.), აქედან **კოლმეურნეობებში** დათესილია 1677 ჰექტ. (51,6 პრ.), **ერთპიროვნულ მეურნეობებში** 1553 ჰექტ. (გეგმის 29 პროც.).

ცალკე კულტურების მიხედვით (ორივე სექტორი), დათესილი იყო: **ხორბალი** 143 ჰექტ. (50 პროც.), **ქერი**— 2128 ჰექტ., (84 პროც.), **სიმინდი** — 199 ჰექტ. (5 პროც.), **შაქრის ჭარხალი** — 455 ჰექტ. (გეგმის 75,7 პროც.). და სხვ.

პურეულის თესლი (200 ტონა) გარკვეული და შეწამლულია 100 პროცენტით. ხვნა-თესვის დაწყებამდე მუშა-პირუტყვისათვის რაიონში (კოლმეურნეობების და ერთპიროვნულ მეურნეობების მიერ) დაიჯავშნა 10.434 ცენტნერი საკვები, 5 მარტიდან მუშა-პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე.

რაიონში თესვის მიმდინარეობას ნაწილობრივად ხელს უშლის ქარები. თესვის გეგმის შესრულების დაბალი პროცენტი განსაკუთრებით თვალსაჩინოა (მთაგორიან ადგილებში) **თვალადიდის, ლამის ყანის, წითელ ქალაქის** და ნაწილობრივ **ქვეჭალის სას. საბჭოებში.**

საგაზაფხულო კულტურების თესვაში წინ მიდიან: **დოესის, კასპის, მეტეხის, და ხოვლეს სას. საბჭოები,** რომელნიც უახლოეს დღეებში დაამთავრებენ თესვას. **აღნიშნულ სასოფლო საბჭოებმა შაქრის ჭარხლის თესვის გეგმები უკვე 100 პროცენტით შეასრულეს.**

სასოფლო საბჭოებს, კოლმეურნეობებს და ცალკე საკოლმეურნეო ბრიგადებს შორის გაშლილია სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. ჩამორჩენილები აჰყავთ საზოგ. ბუქსირით. მაგ. ქვემო-ჭალის სას. საბჭომ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია წითელ-ქალაქის საბჭო, სოფ. ლამისყანამ გამოიწვია სოფ. ალაიანი და სხვ.

თესვა განსაკუთრებით ჩამორჩენილია ერთპიროვნულ მეურნეობების ხაზით, რომელთა მიმართ რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და უმთავრესად, სამიწადმოქმედო ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და რეალური დახმარება.

ვ. შ.

საერთაშორისო სოც.-დემოკრატიის კრიზისი

ავსტრო. მარქსისტები მიდიან გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გზით

ვენა, 17 აპრილი. სოციალ - დემოკრატიული პარტიის სრულიად ავსტრიის კონფერენციაზე მეორე ინტერნაციონალის დელეგატების სახით დაესწრნენ აგრეთვე უცხოეთის სოციალ-დემოკრატები—ჟუო (საფრანგეთი), დე-ბრუკერი (ბელგია) და სიტრინი (ინგლისი).

პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა ცენტრალური სამდივნოს წევრი, ვენის მუნიციპალიტეტის და ლანდტაგის თავმჯდომარე დანენბერგი. მოხსენება შეიცავდა აშკარა წინადადებას დოლფუსის მთავრობისადმი, შექმნას კოალიცია სოციალ-დემოკრატების მონაწილეობით. გაილაშქრა რა ანტიფაშისტური მთლიანი პროლეტარული ფრონტის წინააღმდეგ, დანენბერგმა პირველ ყოვლისა საჭიროდ მიაჩნია „უზრუნველყოფილი იქნას პარტიის რიგების შემჭიდროება და აღმოუჩინოს ცენტრალურ კომიტეტს სრული ნდობა“.

სოციალ - დემოკრატების მეორე ბელადი, ყოფილი საკავშირო კანცლერი რენერი, რომელიც, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია საბანკო წრეებთან და მეთაურობს სოციალ-დემოკრატიულ კოოპერატივებს, თავის მხრივ წინადადებას იძლეოდა „გამონახული ყოფილიყო ისეთი გამოსავალი, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემდა გადამწყვეტი ბრძოლა გადადებულიყო უფრო ხელსაყრელ დრომდე“.

ოტტო ბაუერმა მხარი დაუჭირა დანენბერგის და რენნერის პოზიციას. მაგრამ ურჩევდა პარტიის წევრებს მიანიჭონ მოქმედების თავისუფლება პარტიის ბელადებს, რომლებიც უდიდეს პასუხისმგებლობას ატარებენ.

კამათში გამომჟღავნებულ იქნა პარტიის რიგებში უკიდურესი უკმაყოფილება ხელმძღვანელობის პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს უკმაყოფილება გამოიხატა მითითებებში იმის შესახებ, რომ ცენტრალური კომიტეტი თავისი პოლიტიკით ბოროტად ბაძავს გერმანიის სოციალ - დემოკრატებს, რომლებიც „ნაკლები ბოროტების“ ლოზუნგით თანამიმდევრობით უჭერდენ მხარს ბრიუნინგის, პაპენის, შლეიხერის და ჰიტლერის მთავრობებს.

დელეგატ ლინტენეგერმა (სამხრეთ-ავსტრიის მოსაზღვრე ცენტრიდან ვილლახიდან) განაცხადა:

„თვით ყველაზე უფრო მცირე ქალაქებშიაც კი მუშები სასტიკად გმობენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ ბრძოლის უარყოფას და მოითხოვენ შეტევაზე გადასვლას. მუშები აცხადებენ, რომ პარტია, რომელიც თავისთავს მუშათა პარტიას უწოდებს, უნდა იყოს რევოლუციური, თუ მას არ სურს დაიღუპოს“.

სოციალ - დემოკრატი მუშების წრეებში სოციალ - დემოკრატიული ხელმძღვანელობის პოზიციას, რომელიც გამოაშკარავდა დანენბერგის, რენნერის და დანნებერგის გამოსვლებში, აფასებენ როგორც ავსტრო-მარქსიზმის თვითლიკვიდაციის აშკარად გამოცხადებას (ადს).

უთანხმოება საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერებს შორის

პარიზი, 17 აპრილი. სოციალისტური პარტიის ყრილობა, რომელიც ავინიონში გაიხსნა, წარმოადგენს ოჯახური უთანხმოების გამწვავებას პარტიის მემარჯვენე და „მემარცხენე“ ფრთას შორის. ძირითადი უთანხმოებაა—მთავრობის მიმართ ტაქტიკის საკითხზე. როგორც მემარჯვენეები ისე „მემარცხენე“ ლიდერები მომხრენი არიან მთავრობისათვის მხარის დაჭერის. მიუხედავად ამისა, „მემარცხენეები“ ბლიუმის და ფორის მეთაურობით, დემაგოგიური მოსაზრებებით, წინააღმდეგნი არიან ბურჟუაზიული მთავრობისათვის სისტემატიურად ხმების დაჭერის, მათ უფრო სასურველად მიაჩნიათ არ შეიბოჭონ ხელები მთავრობაში შესვლით და აწარმოვონ მთავრობისათვის მხარდაჭერის შენიღბული პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემს თავისუფალი მანევრების, ამავე დროს მიანიჭებს სოციალისტ-დეპუტატებს ყველა სარგებლიანობას და ანთავისუფლებს მათ ამომრჩევლების წინაშე პასუხისმგებლობისაგან.

მემარჯვენეები რენოდელის მეთაურობით, რომლებიც ყრილობაზე უმცირესობას შეადგენენ, უფრო პირდაპირი ხაზის ტაქტიკის მომხრენი არიან და მოითხოვენ დალადიეს კაბინეტში მონაწილეობას [illegible]. კენჭის ყრის დროს რენოდელის წინადადებამ შეკრიბა 899 ხმა, ხოლო ბლიუმის და ფორის წინადადებამ— 2.677 ხმა. (ადს).

დამოუკიდებელი მუშათა პარტიის კონფერენციის რეზოლიუცია

ლონდონი, 17 აპრილი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„დამოუკიდებელი მუშათა პარტიის კონფერენციამ დერბიში დღეს მიიღო ვალდებულება, რომლის მიხედვით, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მოწყობის ყოველგვარი ცდის შემთხვევებში დამოუკიდებელი მუშათა პარტია გამოვა საყოველთაო გაფიცვით, რომ ამით ხელი შეუშალოს ამ საქმეში ბრიტანეთის მთავრობას. რეზოლიუციაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ კონფერენცია გააკეთებს ყველაფერს რაც მასზეა დამოკიდებული იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ყოველგვარ ცდას შეაფერხონ საბჭოთა კავშირის განვითარება. ფენნერ ბროკვეიმ განაცხადა, რომ ომის შემთხვევაში მისი მომხრეები გარკვევით აგრძნობინებენ, რომ ისინი—აშკარად არიან საბჭოთა კავშირის მხარეზე. რეზოლიუცია მიღებულ იქნა“.

ლონდონი, 17 აპრილი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის კონფერენციაზე დერბიში 83 ხმის უმრავლესობით 79 ხმის წინააღმდეგ, მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას აძლევს პარტიის ხელმძღვანელობას (ნაციონალურ საბჭოს) გააბას კავშირი კომინტერნთან, რომ გამოარკვიოს, თუ რა გზით იქნებოდა შესაძლებელი, რომ დამოუკიდებელ მუშათა პარტიამ შესძლოს ხელი შეუწყოს მის მუშაობას. რეზოლიუცია შეტანილი იქნა ლონდონის დელეგატის ჟოისის მიერ, რომელმაც მიუთითა, რომ რეზოლიუციაში არ არის გათვალისწინებული კომინტერნში შესვლა, არამედ ყველა იმ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომლებიც მზად არიან გაყვენ რევოლუციონურ სოციალიზმს. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის მდივანი პეტონი გამოვიდა რეზოლიუციის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ დამოუკიდებელ მუშათა პარტიასა და კომინტერნს შორის არსებობენ მწვავე უთანხმოებანი ტაქტიკისა და მეთოდების მიმართ და განიმეორა ჩვეულებრივი მიზეზები „დიქტატურის“ შესახებ და სხვ. რეზოლიუცია მიღებულ იქნა კონფერენციის მონაწილეთა მღელვარე ტაშით (ადს).

სატრანზიტო ტვირთზიდვის შეწყვეტა მანჯურიიდან ევროპაში

ხაბაროვსკი, 17 აპრილი. აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის სადგურ მანჯურიაზე პოლიციის და იაპონელთა ხელისუფლების ძალდატანებითი მოქმედებასთან დაკავშირებით, რამაც შესწყვიტა ნორმალური სატვირთო და სამგზავრო მოძრაობა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზასა და ზაბაიკალის რკინის გზას შორის, და რაც ამით შლის ტვირთზიდვას ევროპისაკენ და ევროპიდან საბჭოთა კავშირის ტერიტორიით და აღმ. ჩინეთის რკინის გზით, — აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობამ მიიღო ოფიციალური შეკითხვა კენიგსბერგიდან, გერმანიის რკინის გზების ადმინისტრაციისაგან.

სატრანზიტო ტვირთზიდვა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზით და საბჭოთა გზებით სწარმოებს იმ კონვენციის თანახმად, რომელიც დადებულია გერმანიის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, ჩინეთის, იაპონიის და საბჭოთა კავშირის რკინის გზებს შორის. მოძრაობის შეწყვეტის დროს, იმ გზამ, რომელზედაც მოხდა ნორმალური მოძრაობის შემაფერხებელი ამბები, უნდა შეატყობინოს კონვენციის ყველა მონაწილეებს მომხდარი ამბების და კონვენციის შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის მმართველობა, ამხ. რუდიმ, გერმანიის რკინის გზების შეკითხვებსა და მანჯოუგოს და იაპონიის პოლიციისა და მოხელეების ძალმომრეობის შედეგად, მოძრაობის შეწყვეტასთან დაკავშირებით მიმართა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის სამმართველოს ინსტრუქციების მისაღებად იმ ნაბიჯების შესახებ. რომლებიც უნდა გადადგას აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზამ, როგორც საერთაშორისო სარკინიგზო კონვენციის მონაწილემ. (ადს).

ილიჩის ბუხტაში ამოხეთქა შადრევანმა

ბაქო, 19 აპრილი. 18 აპრილს, საღამოს, ილიჩის ბუხტის ხარეწამოზე, ჭაბურღილში № 794 ბურღილის გაწმენდის დროს, 970 მეტრის სიღრმიდან ამოხეთქა ნავთის შადრევანმა, შადრევანი კვლავ სცემს შეუსუსტებელი ძალით და **დღეღამეში 1000 ტონა ნავთს იძლევა.** ჭაბურღილი მდებარეობს ილიჩის ბუხტის ძველ ტერიტორიაზე, ახალი შადრევანი მოწმობს, რომ იქ მოთავსებულია კოლოსალური სიმძლავრის ნავთიანი ფენები. ამჟამად ენერგიული მუშაობა სწარმოებს ნავთის მოსაქცევად რეზერვუარებში (ადს).

საქმე ელექტრო-სადგურებში აღმოჩენილი მავნებლობის შესახებ

17 აპრილის დილის სხდომა

მოსკოვი, 18 აპრილი. 17 აპრილის დილის სხდომაზე რესპუბლიკის უზენაესი პროკურორი ამხ. **ვიშინსკი**, განაგრძობს რა თავის სიტყვას, გადადის ცალკე ელექტროსადგურებზე აღმოჩენილ მავნებლურ, კონტრრევოლუციურ მოქმედებათა დახასიათებაზე.

ზლატოუსტის ელექტროსადგურზე, გუსევის, სოკოლოვის და მაკდონალდის შეგნებული, ბოროტი მავნებლური მუშაობის მეოხებით, ზედი-ზედ ხუთჯერ იქნა მწყობრიდან გამოყვანილი 1.400 ცხენის ძალის მოტორი, რომელიც სამხედრო წარმოებას უწევდა სამსახურს, და ადგილი ქონდა მთელ სამ სხვა მავნებლურ მოქმედებას.

შემდეგ ამხ. ვიშინსკი ჩამოთვლის მავნებლურ მოქმედებებს, რომლებიც ჩაიდინეს ბრალდებულებმა ზუევის, ივანოვის და ბაქოს ელექტროსადგურებზე.

ამხ. ვიშინსკი აღნიშნავს, რომ მავნებლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მოსკოვის ელექტროსადგურებს, იმ უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი და სამხედრო მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვთ ენერგიის მხრით ამ სადგურებზე დამოკიდებულ საწარმოებს.

ამთავრებს რა ავარიული მავნებლური აქტების ჩამოთვლას, ამხ. ვიშინსკი კმაყოფილებით აღნიშნავს ბრალდებულის სკამზე მჯდომ პირთა უძლურებას და არარაობას იმ გიგანტურ წარმატებათა ფონზე, რომლებსაც მიაღწია მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური ინდუსტრიის ფრონტზე.

ამხ. ვიშინსკი შემდეგ ახასიათებს ცალკე ბრალდებულთა ბოროტმოქმედებას, როლს და პასუხისმგებლობას და აღნიშნავს, რომ არსად, არც ერთ პროცესში არ ყოფილა ისეთი ობიექტიური დამამტკიცებელი საბუთები, როგორიც ამ პროცესში მოიპოვება.

გუსევი — ზლატოუსტის ელექტროსადგურის უფროსი, რომელიც ორ წელიწადს მსახურობდა კოლჩაკის არმიაში, სავსებით ჩამოყალიბებული კონტრრევოლუციონერი, მზვერავი, ჯაშუში, მავნებელი, ყუმბარების და საყუმბარო მასალის გამოშვების შეწყვეტის მიზნით, აფუჭებს სატკეც საამქროს მსხვილი დაზგის მოტორს, გუსევი აგროვებს სამხედრო ცნობებს, გულმოდგინედ ასრულებს ჯაშუშურ მოვალეობას და მასალებს აწვდის ტორნტონს; აფუჭებს მანქანებს, აწყობს სადივერსიო აქტებს, რომელთა მიზანია ლახვარის ჩაცემა ჩვენი თავდაცვის უნარიანობისათვის.

ამხ. ვიშინსკი მოითხოვს გუსევის მიმართ უფრო მკაცრი განაჩენის გამოტანას, ვიდრე რომელიმე სხვა ბრალდებულის მიმართ.

სოკოლოვი — კოლჩაკელი. მან გუსევი აწინაურებს ძალური სადგურის მთავარი ელექტრიკოსის თანამდებობაზე, როგორც თანამონაწილეს მავნებლურ მუშაობაში. სოკოლოვმაც, ისე როგორც გუსევმა, თავი დამნაშავედ აღიარა. ამხ. ვიშინსკი ჩამოთვლის სოკოლოვის მიერ გუსევის დავალებით ჩადენილი მავნებლობის ფაქტებს, ისიც აგროვებს და აწოდებს ჯაშუშური ხასიათის ცნობებს, რომლებიც სამხედრო მზვერავებს განსაკუთრებით აინტერესებს.

ზლატოუსტის მავნებლური ჯგუფის მესამე ფიგურაა **მაკდონალდი** — მემონტაჟე ინჟინერი. მან გააბა მავნებლური კონტრრევოლუციონური კავშირი გუსევთან და სოკოლოვთან, ხოლო ზუევკაში — კოტლიარევსკისთან. მაკდონალდი, რომელიც მამხილებელი საბუთებით იქნა დაჭერილი და რომელმაც თავი სცნო დამნაშავედ მავნებლურ - ჯაშუშურ მუშაობაში და სხვადასხვა პირთა მოქრთამვაში, სასამართლოზე შეეცადა ხელი გადაეფარა თავის ჯაშუშური მუშაობისათვის იმით, რომ ის ვითომ აგროვებდა უწყინარ პოლიტიკურ და ეკონომიურ ცნობებს; მაგრამ ამ ცდას ამსხვრევენ გუსევის, ტორნტონის და სოკოლოვის ჩვენებანი, მაკდონალდის მუშაობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ჩაშლილი ყოფილიყო ქარხნების მუშაობა, გაჩერებულიყო ის ქარხნები, რომლებიც თავდაცვაზე მუშაობენ. ის ღებულობდა და ანაწილებდა ფულს მავნებლებსა და ჯაშუშებს შორის. მაკდონალდი დაჭერილ იქნა მამხილებელი მასალებით და მან გულწრფელად აღიარა მისთვის წაყენებულ ბრალდებათა სისწორე. ამხ. ვიშინსკი მთლიანად მხარს უჭერს მაკდონალდის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბრალდებლო დასკვნაში.

ნორდვოლი. ნორდვოლისათვის მთელი მოცულობით ბრალის დასადებად საქმეზე მეტი მასალა მოიპოვება. ნორდვოლი 1931—32 წელს ივანოვის ჰიდროელსადგურზე დაუკავშირდა ადგილობრივი მავნებლების ჯგუფს — ლობანოვს და სხვებს — და ასრულებდა მავნებლურ, სადივერსიო აქტებს, რომელთა მიზანი იყო მოწყობილობის გაფუჭება და ავარიების გამოწვევა, ნორდვოლი ფულს აძლევდა ლობანოვს, ლებედევს და სხვებს მოწყობილობის დეფექტების დამალვისათვის. ნორდვოლის წინააღმდეგ გვაქვს ლობანოვის ჩვენება. ნორდვოლი ადასტურებს, რომ მათ შორის ადგილი ჰქონდა საუბრებს კონტრრევოლუციურ თემებზე. ნორდვოლი ფულს აძლევდა მავნებლებს, ის ამას უარყოფს, მაგრამ არ უარყოფს ლობანოვისათვის ქრთამის გადაცემის ფაქტს. ცდა დაეხატა ეს ფაქტი, როგორც ლობანოვისათვის დახმარების გაწევის სურვილი, სამარცხვინოდ დამარცხდა საქმეში არსებული ფაქტიური მასალის მეოხებით, აგრეთვე თვით ნორდვოლის ჩვენებათა საფუძველზე.

ლობანოვი — მეორე ხარისხოვანი გახრწნილი და მავნებლის და ჯაშუშის ტიპი. თვითონ ლობანოვმა აღიარა, რომ ის სისტემატიურად აფუჭებდა მოტორებს და ქვაბის ძვირფას რიკულებს, განზრახ ანაგვიანებდა [illegible] და სჩადიოდა მთელ რიგ მავნებლურ, სადივერსიო აქტებს ლებედევთან და [illegible]თან ერთად. ისინი, ნორდვოლთან ერთად, აძლევდნენ მას ფულს, რომელსაც ლობანოვი ანაწილებდა თავის თანამონაწილეთა შორის. ამხ. ვიშინსკი მხარს უჭერს ლობანოვისათვის წაყენებულ ბრალდებას მთელი მოცულობით, როგორც ეს ჩამოყალიბებულია საბრალდებლო დასკვნაში.

ლებედევი — ლობანოვთან ერთად იღებდა მონაწილეობას მავნებლურ მოქმედებაში, ატარებდა სადივერსიო მავნებლურ მუშაობას და ამისთვის ღებულობდა ქრთამს. ლებედევმა აღიარა, რომ იგი ეწეოდა კონტრრევოლუციურ მავნებლურ მუშაობას ივანოვსკის ჰიდროელსადგურზე, მხოლოდ მუშათა მასების შემოქმედებითი ენთუზიაზმის და საქმის სიფხიზლის მეოხებით ვერ შესძლეს მტრებმა თავისი გეგმების განხორციელება.

ლაპარაკობს რა ბრალდებულ ზივერტზე, ამხ. ვიშინსკი აღნიშნავს, რომ ის დანაშაული, რომელშიაც ბრალი ედება ზივერტს, ძალიან წვრილმანია მან ვერ დაიცვა აგრეგატი მტვერისაგან გაქლიბვის დროს და იგი ტორნტონისაგან ღებულობდა მცირე თანხებს. თავის შემდგომ მუშაობაში მან რამდენიმე გამოასწორა მის მიერ მუშათა კლასის წინაშე ჩადენილი დანაშაული.

გადადის რა მოსკოვის ენერგეტიულ სამმართველოში მომუშავე მავნებელთა საქმიანობაზე ამხ. ვიშინსკი მიაქცევს სასამართლოს ყურადღებას, უწინარეს ყოვლისა, სუხორუჩკინზე, რომელიც წარმოადგენს ამ პროცესის ერთ-ერთ მთავარ და უმნიშვნელოვანეს ფიგურას. მას ვერ მიუდგებით ისე, როგორც ზივერტს და ლებედევს. ეკავა რა უაღრესად საპასუხისმგებლო პოსტი, სუხორუჩკინი მოქმედებდა ტორნტონის და დავალებით, იგი აფუჭებდა აგრეგატებს და აფერხებდა სადგურის ნორმალურ მუშაობას მოსკოვის ჰიდროელსადგურზე იგი ატარებდა მთელ რიგ მავნებლურ ღონისძიებებს. სუხორუჩკინს, როგორც ჩვენი მეურნეობის დიდ მავნებელს და დეზორგანიზატორს უზენაესმა სასამართლომ თავის განაჩენში უნდა გამოუტანოს შესაფერი და დამსახურებული სასჯელი.

კრაშენინიკოვი — მოსკოვის ჰიდროელსადგურის სარემონტო - სამონტაჟო განყოფილების უფროსი. მავნებლური მუშაობა მან დაიწყო იქიდან, რომ დამალა მოწყობილობის დეფექტები, მალავდა რა იმ დეფექტებს, რომლებსაც უნდა გამოეწვიათ ავარია, იგი მოქმედებდა ტორნტონის და ოლეინიკის დავალებით და ამისთვის მათგან ღებულობდა ფულს.

ზორინი — ეს არის პირდაპირი კავშირი ტორნტონთან. მისი დანაშაულებრივი საქმიანობა ვითარდება თანდათანობით, იგი ასრულებს ვალდებულებას შეასრულოს მავნებლური აქტები, იგი ჩამოდიოდა ავარიების ადგილებში, ვითომდა ავარიების მიზეზის გამოსარკვევად, ხოლო ამის ნაცვლად ართულებდა ადგილზე შექმნილ მდგომარეობას. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ ზორინი მუშაობდა საერთაშორისო ურთიერთობის გართულების მოლოდინში, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების მოლოდინში.

ოლეინიკი — ფირმა „მეტრო-ვიკერს"-ის მოსამსახურე, მუშაობდა მონკჰაუზის და ტორნტონის ხელმძღვანელობით, რომლებიც დიდ მზრუნველობას იჩენდნენ მის მიმართ და ძალიან ბევრს აძლევდნენ მას, როგორც თავიანთ საიმედო აგენტს. ტორნტონმა გაუხსნა მას მიმდინარე ანგარიში ინგლისის ბანკში, ამასთან ტორნტონი რეგულიარულად და ყოველთვიურად რიცხავდა თანხებს ოლეინიკის მიმდინარე ანგარიშზე ინგლისში, ამ საიმედო აგენტმა წამოაყრანტალა. სასამართლოს მან უამბო თავისი მავნებლური მუშაობის შესახებ, რომელსაც იგი ასრულებდა ტორნტონის და მონკჰაუზის დავალებით.

ამხ. ვიშინსკი გადადის ბრალდებულ კუშნის დახასიათებაზე. მაკდონალდმა აჩვენა, რომ ტორნტონი, მონკჰაუზი და კუშნი წარმოადგენენ იმ მზვერავთა ძირითად ჯგუფს, რომლებიც ეფარებოდნენ ფირმა „მეტრო-ვიკერს"-ის [illegible] და ეწეოდნენ ჯაშუშურ მუშაობას.

შემდეგ ამხ. ვიშინსკი აცხადებს, რომ კუშნის, რომელსაც წაუყენეს საკმაო მამხილებელი საბუთები უჭირავს თავი, როგორც გამოცდილ მზვერავს. კუშნიმ აღიარა, რომ სწორია მის მიმართ წაყენებული ბრალდებები ჯაშუშურ მუშაობაში, მაგრამ შემდეგში მან უარი განაცხადა მოეცა რაიმე ჩვენება. ამხ. ვიშინსკი მთლიანად უჭერს მხარს კუშნის მიმართ წაყენებულ ბრალდებას სადივერსიო და ჯაშუშურ მუშაობაში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ლაპარაკობს რა კუტუზოვას შესახებ, ამხ. ვიშინსკი აღნიშნავს, რომ კუტუზოვამ უღალატა თავისი ქვეყნის ინტერესებს ფულისთვის და ამიტომ პასუხი უნდა აგოს საკმაოდ სერიოზულად. ამავე დროს ამხ. ვიშინსკის შესაძლებლად მიაჩნია, რომ სასამართლომ შეუმსუბუქოს სასჯელი კუტუზოვას, ვინაიდან იგი გულწრფელ ჩვენებებს იძლევა სასამართლო - საგამომძიებლო ორგანოების წინაშე.

ახასიათებს რა მონკჰაუზის საქმიანობას, ამხ. ვიშინსკი დამტკიცებულად სთვლის, რომ იგი აგროვებდა სამხედრო ჯაშუშური ხასიათის ცნობებს, მონაწილეობას ღებულობდა მავნებლურ, სადივერსიო მუშაობაში და აძლევდა ქრთამს საბჭოთა ინჟინერებს ფირმა „მეტრო-ვიკერს"-ის მიერ ჩამოტანილი მოწყობილობის დეფექტების დაფარვისათვის.

ამხ. ვიშინსკი ამსხვრევს მონკჰაუზის განცხადებების სიცრუეს იმის შესახებ, თითქოს მისი პიროვნების შემბღალავი ჩვენებები წინასწარი გამოძიების დროს მან მისცა დაშინების გამო „18 საათის განმავლობაში განუწყვეტელი დაკითხვის" შედეგად.

ამხ. ვიშინსკი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შეტყობინებით, სასწრაფოდ დაამთავრეს ბრალდებულთა დაკითხვა ორი დღის განმავლობაში. სხვა არაფერი, თუ არა [illegible], — ამბობს ამხ. ვიშინსკი, — [illegible] მოითხოვდა, რომ რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო ეს პროცესი, რომ რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო წინასწარი გამოძიების პროცესი, საგამომძიებლო ორგანოები იძულებული იყვნენ ემუშავნათ 8—10 სათ. განმავლობაში შესვენებით. და ა-უცბად გამოჩნდა შესაფერისად ინსპირირებული მონკჰაუზი და აცხადებს „18 საათის დაკითხვის" და „დაშინების" შესახებ.

ბოლოს, ამხ. ვიშინსკი ახასიათებს ბრალდებულ ტორნტონს.

ამხ. ვიშინსკი აღნიშნავს, რომ თვით ტორნტონმა თავის ჩვენებაში აღიარა, რომ იგი ნამდვილად ღებულობდა ინფორმაციას ზლატოუსტიდან და რომ ამ ინფორმაციას მას აწოდებდნენ მხოლოდ გუსევი და მაკდონალდი. გუსევმა და აგრეთვე მაკდონალდმა უჩვენეს, რომ ის ინფორმაცია, რომელსაც ისინი აწვდიდნენ ტორნტონს, ეხებოდა ყუმბარების რაოდენობას, მაღალხარისხოვანი ფოლადის დატკეცვის დარგში წარმოებულ მუშაობას და სხვ. ჯაშუშური ქსელი, რომლის შესახებაც ლაპარაკობს ტორნტონი წინასწარი გამოძიების დროს და რომელიც შესდგებოდა ინგლისის დაზვერვის — „ინტელიჯენს-სერვის"-ის 27 აგენტისაგან, წარმოადგენს ტორნტონის როლის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მამხილებელ საბუთს.

ლაპარაკობს რა შემდეგ ბრალდებულის— ინგლისელ ინჟინერ გრეგორის შესახებ, რომელიც ამ საქმის გამო, ტორნტონის ჩვენებით მიცემულია პასუხისგებაში, ამხ. ვიშინსკის შესაძლებლად მიაჩნია მისი გამართლება.

დასასრულ ამხ. ვიშინსკი ამბობს, რომ რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58 მუხლის თანახმად წაყენებული ბრალდება მოითხოვს სოციალური დაცვის უმაღლესი ზომის შეფარდებას საბჭოთა მოქალაქეების — გუსევის, სუხორუჩკინის, ზორინის, ლობანოვის, კრაშენინიკოვის, ოლეინიკის და სოკოლოვის მიმართ და ინგლისელ მოქალაქეების—ტორნტონის, მონკჰაუზის, მაკდონალდის, ნორდვოლის და კუშნის მიმართ.

მაგრამ საბჭოთა სასამართლო, — აღნიშნავს ამხ. ვიშინსკი,—არ ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ კანონის ფორმალური მოთხოვნებით, იგი სწყვეტს ბრალდებულთა პასუხისმგებლობის საკითხს მთელი რიგ გარემოებათა თვალსაზრისით, რომლებსაც სასამართლო მუდამ ღებულობს მხედველობაში რა რიგ მძიმეც არ უნდა იყოს ჩადენილი დანაშაული. ჩვენი სასამართლო, — განაცხადა ამხ. ვიშინსკიმ, — არის ჩვენი სასამართლო... მე, როგორც სახელმწიფო ინტერესების წარმომადგენელი აქ, სასამართლოში, მოგახსენებთ, რომ ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს გარემოებას წარმოადგენს ის, რომ ამ მავნებლური მუშაობის მიუხედავად, ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება არ არის შერყეული და არც შეიძლება მისი შერყევა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ცდებს — დაეზიანებინათ ჩვენი სახელმწიფო მეურნეობის ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი არტერია, იგი იზრდება, მისი ძლიერება მტკიცდება და ამასთან დაკავშირებით ეს ხალხი წარმოადგენს არარაობას, პიგმეებს".

17 აპრილის საღამოს სხდომა

დამცველთა სიტყვები

მოსკოვი, 18 აპრილი. საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სპეციალური საკრებულოს საღამოს სხდომა იწყება დამცველის—ამხ. კაზნაჩეევის სიტყვით.

ამხ. კაზნაჩეევი აღიარებს, რომ მისმა მარწმუნებლებმა—გუსევმა, სოკოლოვმა და ოლეინიკმა ჩაიდინეს მძიმე დანაშაული საბჭოთა ქვეყნის წინაშე. აღნიშნავს რა, რომ ამ უკანასკნელ დროს გუსევსა და სოკოლოვში მოხდა საგრძნობი გარდატეხა, რაც მოწმობს იმას, რომ შესაძლებელია მათი გამოსწორება, ამხ. კაზნაჩეევი სთხოვს სასამართლოს შეუნარჩუნოს მათ სიცოცხლე და მისცეს საშუალება პატიოსანი შრომით გამოისყიდონ თავისი დანაშაული, რაც შეეხება ოლეინიკს, ამხ. კაზნაჩეევი აღნიშნავს, რომ იგი წარმოადგენდა ტორნტონის ბრმა იარაღს და მისი ნებასურვილის მექანიკურად აღმსრულებელს. ამხ. კაზნაჩეევი სთხოვს სასამართლოს შეუმსუბუქოს სასჯელი ოლეინიკს.

დამცველი—ამხ. შვარცი აღნიშნავს, რომ სუხორუჩკინმა გულწრფელად აღიარა თავისი დანაშაული, შეიგნო იგი და სამუდამოდ გასწყვიტა კავშირი წარსულთან. შვარცის აზრით, გულწრფელად აღიარა თავისი დანაშაული ბრალდებულ კრაშენინიკოვმაც, რომელშიაც 1932 წლის დამლევს მოხდა რადიკალური გარდატეხა, ამხ. შვარცი ამბობს, რომ ზორინი შევიდა კონტრ-რევოლუციურ ორგანიზაციაში დიდი ხნის მერყეობის შემდეგ და სხვების ზეგავლენით, მან ვერ მოასწრო შესდგომოდა მავნებლურ მუშაობას. ამხ. შვარცი სთხოვს სასამართლოს შეუნარჩუნოს სიცოცხლე მის მარწმუნებლებს და მისცეს მათ საშუალება გამოისყიდონ თავისი დანაშაული.

დამცველი—ამხ. პინესი მიუთითებს, რომ ბრალდებული ლობანოვი წარმოადგენს ჩვეულებრივ ობივატელს, რომელიც მხოლოდ ნორდვოლის ზეგავლენით შევიდა მავნებელთა რიგებში. ბრალდებული ლებედევი ბოროტმოქმედების გზაზე დააყენა ინგლისელ ინჟინერმა ელიოტმა, რომელმაც ისარგებლა იმით, რომ ლებედევს უყვარდა ღვინო. ზივერტი მოხვდა ტორნტონის ქსელში თავისი გულუბრყვილობის და მინდობის მეოხებით.

ამხ. პინესი აღნიშნავს, რომ ამ ბრალდებულებმა გულწრფელად აღიარეს თავისი დანაშაული და სთხოვს სასამართლოს გაამართლოს ლებედევი და ზივერტი, ხოლო ლობანოვს შეუმსუბუქოს სასჯელი.

მაკდონალდის დამცველი—ამხ. სმირნოვი თავის სიტყვის დასაწყისში მიაქცევს სასამართლოს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მისი მარწმუნებელი გულწრფელად მთლიანად გამოტყდა თავის დანაშაულში ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების დროს, არ არის სადაო მისთვის წაყენებულ ბრალდებათა ფაქტიური მხარე, არ იწვევს იურიდიულ დავას საკითხი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის შესახებ. მაგრამ სასამართლომ უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, რომ მაკდონალდი გამოსულია ინგლისურ წვრილბურჟუაზიული ოჯახიდან, რომ იგი 17 წლის ასაკიდან ეწეოდა დაქირავებულ შრომას აქ, საბჭოთა კავშირში, ამასთან იგი იყო სხვისი ხელქვეითი და ასრულებდა ტორნტონის და სხვების განკარგულებებს. დამცველი სთხოვს სასამართლოს განაჩენის გამოტანის დროს მხედველობაში მიიღონ ყველა ეს გარემოებანი და მისცეს მაკდონალდს საშუალება გამოისყიდოს თავისი დანაშაული.

ამით მთავრდება საღამოს სხდომა. სასამართლოს სხდომა გადაიდო 18 აპრილის დილის 10 საათამდე.

18 აპრილის დილის სხდომა

მოსკოვი, 19 აპრილი. 18 აპრილის დილის სხდომა დაიწყო ტორნტონის დამცველის, ამხ. ბრაუდეს სიტყვით. ბრაუდემ აღნიშნა თავისი როლის განსაკუთრებული სიძნელე, რამდენადაც მისი მარწმუნებლის წინააღმდეგ გამოდიოდა ბრალდებულთა უმრავლესობა. მაგრამ დამცველი მიუთითებს, რომ ტორნტონმა არ სცნო თავი დამნაშავედ მავნებლურ და ჯაშუშურ მუშაობაში; ტორნტონის მამხილებელ ჩვენებებს, რომლებსაც ბრალდებულნი გასამართლების დროს იძლეოდნენ, ბრაუდე აფასებს როგორც გამოაშკარავებული მავნებლების ცდას გაამართლონ თავისი მავნებლური მუშაობა თავისი ბოროტმოქმედების მთელი სიმძიმის ტორნტონისათვის დაკისრებით. მაგრამ ამხ. ბრაუდე ფიქრობს, რომ თვით ბრალდებულთა ფიგურები უკარგავენ მნიშვნელობას მათ ჩვენებებს. ამხ. ბრაუდე მიუთითებს იმაზე, რომ ტორნტონის ცნებები ჯაშუშობის შესახებ საერთოდ უაღრესად ბუნდოვანია და საგრძნობლად განირჩევა ჩვენი ცნებებისაგან, რამდენადაც კაპიტალისტური სისტემის და მისი დამახასიათებელი წარმოების ანარქიის დროს მეტოქე კომერციული ფირმისაგან საიდუმლოების გამოტყუება ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო მოვლენაა.

ეხება რა ბრალდებას მოსყიდვაში, ამხ. ბრაუდე აღნიშნავს, რომ ტორნტონის უბედურება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ მან კაპიტალისტური მეურნეობის მეთოდები გადმოიტანა საბჭოთა ქვეყანაში. ამხ. ბრაუდე სთხოვს სასამართლოს მიიღოს ეს მხედველობაში განაჩენის გამოტანის დროს.

გრეგორის და ნორდვოლის დამცველი, ამხ. დოლმატოვსკი იცავს მხოლოდ ნორდვოლს, რამდენადაც თვით სახელმწიფო ბრალმდებელმა აღიარა, რომ სასამართლოს გამოძიება არ იძლევა საკმაო მასალას გრეგორისათვის მსჯავრის დასადებად. ამხ. დოლმატოვსკი მიაქცევს სასამართლოს ყურადღებას იმაზე, რომ ნორდვოლი დადებითად მუშაობდა მაკეევკაში და აცხადებს, რომ არ შეიძლება სავსებით დაეჯეროთ ბრალდებულ ოლეინიკის ჩვენებებს. იმ შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ნორდვოლის მიერ ქრთამის მიცემას ლობანოვისათვის, დამცველი ამბობს, რომ ნორდვოლმა აქ დაუშვა ის შეცდომა, რომ მან დაივიწყა ზოგიერთი ფაქტები და დეტალები. თუმცა ნორდვოლი ირიცხება ჯაშუშთა სიაში, რომელიც შეადგინა ტორნტონმა, მაგრამ იგი ნორდვოლი მაკეევკის და ივანოვსკის ჰიდროელსადგურის შესახებ, სადაც იგი მუშაობდა იძლეოდა ძალიან სუსტ ინფორმაციას. ამხ. დოლმატოვსკის აზრით, ნორდვოლი არ შეიძლება ჩაითვალოს საშიშ ადამიანად და სთხოვს სასამართლოს გაამართლოს იგი.

კუშნის დამცველის, ამხ. ლიდოვის აზრით კუშნის არ მიუძღვის დანაშაული ბაქოს ელექტროსადგურზე მომხდარ ავარიებში, ვინაიდან ავარია მოხდა ცეცხლფარეშების გამოუცდელობის გამო, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ კუშნის. ტორნტონის ცნობილში კუშნი არ არის მოხსენიებული როგორც მზვერავი, ხოლო მაკდონალდი კუშნის ჯაშუშური მუშაობის შესახებ ლაპარაკობდა მეტად ფრთხილად, გამოსთქვამდა რა მხოლოდ თავის მოსაზრებებს.

რაც შეეხება ოლეინიკის ჩვენებებს კუშნის წინააღმდეგ, დამცველის აზრით, ეს ჩვენებები აიხსნება იმით, რომ ბრალდებული ოლეინიკი ცუდად არის განწყობილი უცხოელების მიმართ. ეხება რა ბრალდებას ეკონომიური და პოლიტიკური ცნობების შეკრებაში, დამცველი სთხოვს სასამართლოს მიიღოს მხედველობაში, რომ არ არის დადასტურებული აღნიშნული ცნობების საიდუმლო ხასიათი.

დასასრულ ამხ. ლიდოვი გამოსთქვამს რწმენას, რომ სასამართლო გაამართლებს ბრალდებულ კუშნის.

სხდომის განახლების შემდეგ, სიტყვა წარმოსთქვა ბრალდებულ მონკჰაუზის დამცველმა კომოდოვმა. ამხ. კომოდოვის აზრით, არ არის დამტკიცებული მონკჰაუზის მონაწილეობა ჯაშუშობასა და დივერსიებში, იგი სცნობს მხოლოდ თავისი მარწმუნებლის არა პირდაპირ დანაშაულს ქრთამის მიცემაში, ამხ. კომოდოვი ემყარება იმას, რომ არც გუსევს, არც სოკოლოვს და არც მაკდონალდს არ განუცხადებიათ, რომ ისინი ღებულობდნენ მავნებლურ დავალებებს ზლატოუსტის შესახებ მონკჰაუზისაგან, არამედ ისინი ასახელებდნენ მხოლოდ ტორნტონს. ამხ. კომოდოვის სიტყვით, ბრალდებული ოლეინიკი ეწეოდა მავნებლობას იმ პერიოდში, როცა იგი მუშაობდა არა მონკჰაუზის, არამედ ტორნტონის ხელმძღვანელობის ქვეშ. ამხ. კომოდოვი თავის სიტყვის დასასრულს მიუთითებს, რომ მონკჰაუზის წინააღმდეგ წამოყენებული მამხილებელი საბუთები ძალიან სადაოა.

ბრალდებულების — კოტლიარევსკის და კუტუზოვას დამცველი ამხ. ლიბსონი, აღიარებს რა თავის სიტყვაში თავის მარწმუნებელთა მძიმე დანაშაულს, აღნიშნავს, რომ სოციალური წარმოშობით და მუშაობის პირობების მიხედვით არა გვაქვს საფუძველი ჩავთვალოთ ბრალდებული კოტლიარევსკი ისეთ ბოროტ მავნებლად, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელი იყოს. ამხ. ლიბსონის აზრით, კოტლიარევსკი ჯაშუშურ და სადივერსიო მუშაობაში ჩაება მაკდონალდმა შანტაჟის გზით და, რომ კოტლიარევსკი შეიძლება გამოსწორდეს და გახდეს კეთილსინდისიერ მუშაკად.

ლაპარაკობს რა კუტუზოვას შესახებ, დამცველი ამხ. ლიბსონი აღნიშნავს, რომ იგი გამოსულია მშრომელი ოჯახიდან და პატიოსნად მუშაობდა „მეტრო-ვიკერს"-ის კანტორაში გადასვლამდე. ამხ. ლიბსონის აზრით, ბრალდებული კუტუზოვა, რომელმაც გულწრფელად აღიარა თავისი დანაშაული, ღირსია ყოველგვარი შეღავათის.

ამხ. ლიბსონის სიტყვით დამთავრდა მხარეების კამათი. ამხ. ვიშინსკი თავმჯდომარის შეკითხვაზე აცხადებს, რომ იგი საჭიროდ არ სთვლის სახელმწიფო ბრალმდებელთა რეპლიკებს.

სასამართლო იწყებს ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვების მოსმენას. ბრალდებულები — მონკჰაუზი, ტორნტონი, ნორდვოლი, კუშნი და გრეგორი თავის უკანასკნელ სიტყვებს ამბობენ ინგლისურ ენაზე. ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები იყო მოკლე, მხოლოდ მონკჰაუზმა ვრცლად განმარტა, თუ რისთვის მისცა მან სასამართლოს გამოძიების დროს აბნეული ჩვენება დაკითხვის საათების საკითხზე.

მონკჰაუზმა, ტორნტონმა, ნორდვოლმა, კუშნიმ და გრეგორიმ არ სცნეს თავი დამნაშავედ. ბრალდებულმა მაკდონალდმა მოკლედ განაცხადა:

„მე თავი დამნაშავედ ვიცანი და მეტი დასამატებელი არაფერი მაქვს".

დანარჩენმა ბრალდებულებმა თავი დამნაშავედ იცნეს მათთვის წაყენებულ ბრალდებებში და სთხოვეს სასამართლოს მისცეს მათ საშუალება პატიოსანი მუშაობით გამოისყიდონ თავისი დანაშაული საბჭოთა კავშირის წინაშე.

14 საათსა და 35 წუთზე სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად.

განაჩენი

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა სახელით

საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სპეციალურმა საკრებულომ შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე—ვ. ვ. ულრიხი.
წევრები—ლ. ქ. მარტენსი და გ. ა. დმიტრიევი.
სათადარიგო წევრი—ა. ვ. ზილიკოვი,
მდივანი—ა. ფ. კოსტიუშკო.

სახელმწიფო ბრალმდებლების—რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის პროკურორის—ა. ი. ვიშინსკის და მისი მოადგილის—გ. ქ. როგინსკის, დამცველების: მოსკოვის დამცველთა კოლეგიის წევრების—ბრაუდეს, სმირნოვის, კომოდოვის, ლიდოვის, დოლმატოვსკის. შვარცის, პინესის, კაზნაჩეევის და ლიბსონის მონაწილეობით—სასამართლო ღია სხდომებზე 1933 წლის 12—13—14—15—16—17 და 18 აპრილს განიხილა საქმე ბრალდებულთა გამო.

1. **გუსევი**, ვასილი ალექსის ძე, 33 წლის დაბადებული ქ. პენზაში, უცოლო, უმაღლესი ტეხნიკური განათლებით, სახელმწიფო მოსამსახურე, პასუხისგებაში არ ყოფილა, ზლატოუსტის ელექტრო-სადგურის ყოფილი უფროსი,—ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58—6, 58—7, 58,—9 და 58—11 მუხ. მუხ.

2 **გრეგორი**, ალბერტ ვილიამის ძე, 52 წლის, დაბადებული ინგლისში, ცოლიანი, უმაღლესი ტეხნიკური განათლებით, ინგლისის ქვეშევრდომი, ინგლისურ ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის სამონტაჟო ინჟინერი—ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58—9 და 58—11 მუხ. მუხ.

3. **ზივერტი**, იური ივანეს ძე, 50 წლის, სახელმწიფო მოსამსახურე, დაბადებული ყოფ. კურლანდიის გუბერნიაში, [illegible], დაბალი განათლებით, პასუხისგებაში არ ყოფილა, ყოფილი ოსტატი, ტრანსფორმატორების და ზეთოვანი ამომრთველების მონტაჟის დარგში ივანოვსკის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურზე—ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის—58—6, 58—7, 58—9 და 58—11 მუხ. მუხ.

4. **ზორინი**, ნიკოლოზ გრიგოლის ძე, 59 წლის დაიბადა ქალ. მოსკოვში, უმაღლესი განათლებით, სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსი, ცოლიანი, გასამართლებული არ ყოფილა, სახელმწიფო მოსამსახურე „მოსენერგო"-ს თბო-ჯგუფის უფროსი ინჟინერი ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58—7 და 58—11.

5. **კრაშენინიკოვი**, მიხეილ დიმიტრის ძე, 3[illegible] წლისა, დაიბადა ყოფ. ვლადიმერის გუბერნიის სოფ. ნოვოეში, სპეციალობით ინჟინერ-ელექტრიკოსი, ცოლიანი, გასამართლებული არ ყოფილა, მოსკოვის ქალაქის ელექტრო სადგურის სარემონტო-სამონტაჟო განყოფილების ყოფილი უფროსი, ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58—7 და 58—11

6. **კოტლიარევსკი**, მოსე ლევის ძე, 29 წლისა, დაიბადა ზინოვიევსკის ოლქის ბობრინეცში, უმაღლესი განათლებით, სახელმწიფო მოსამსახურე, სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსი, გასამართლებული არ ყოფილა, ცოლიანი, ზუევსკის სახელმწიფო ელექტრო-სადგურის სატურბინო საამქროს ყოფ. გამგე, ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58—7 და 58—11.

7. **კუტუზოვა**, ანნა სერგის ასული, 37 წლისა, დაიბადა ქალ. ლენინგრადში, საშუალო განათლებით, გასამართლებული არ ყოფილა უცხოეთის ფირმის „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის რწმუნებულის (საბჭოთა კავშირში) ყოფ. მდივანი, ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის. კოდექსის მუხ. 58—6 58—7. 58—9 და 58—11.

8. **კუშნი**, ჯონი, 35 წლისაა, დაიბადა აფრიკაში ქალაქ იოგანესბურგში, ინგლისური ფირმის „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის ელექტრიკი, ინგლისის ქვეშევრდომი, უმაღლესი განათლებით. ბრიტანეთის არმიის ყოფილი ოფიცერი, ინგლისის ფირმის „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მემონტაჟე ინჟენერი, ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58—6, 58—7, 58—9 და 58—11

9. **ლებედევი**, ვიაჩესლავ პეტრეს ძე, 52 წლისა, სახელმწიფო მოსამსახურე, დაიბადა ქალაქ ივანოვო-ვოზნესენსკში. საშუალო განათლებით, მეფის არმიის ყოფილი უნტერ-ოფიცერი, ცოლიანი, ივანოვსკის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ყოფ. ოსტატი, ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58—7, 58—9 და 58—11.

10 **ლობანოვი**, ალექსანდრე ტიმოთეს ძე, 35 წლისა, სახელმწიფო მოსამსახურე, დაიბადა ვლადიმერის გუბერნიის სოფ. სტარომაშენაიაში, მექანიკის შვილი. უმაღლესი ტეხნიკური განათლებით, ცოლიანი, გასამართლებული არ ყოფილა, ივანოვსკის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის საექსპლოატაციო განყოფილების ყოფილი უფროსი ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58—7, 58—9 და 58—11

11. **მაკდონალდი**, ვილიამ ლიონელი, 39 წლისა, დაიბადა ქალაქ ლონდონში, ინჟენერის შვილი, უმაღლესი ტეხნიკური განათლებით, ინგლისის ქვეშევრდომი, უცოლო, ინგლისური ფირმის „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მემონტაჟე-ინჟენერი, ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58—6, 58—7, 58—9 და 58—11.

12 **მონკჰაუზი**, ალლანი, 46 წლისა, დაიბადა ახალ ზელანდიაში, ქალ. სტატსფორდში, ფერმერის შვილი, ბრიტანეთის არმიის საინჟინრო ჯარების ყოფილი კაპიტანი, უმაღლესი ტეხნიკური განათლებით ცოლიანი, ინგლისის ქვეშევრდომი, მუშაობდა საბჭოთა კავშირში ინგლისის ფირმის „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის რწმუნებულად, ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58—6, 58—7, 58—9 და 58—11.

13. **ნორდვოლდი**, ჩარლზი, 31 წლისა. დაიბადა ქალაქ ბერლინში, ინჟენერის შვილი, უმაღლესი ტეხნიკური განათლებით, ცოლიანი, ინგლისის ქვეშევრდომი, ინგლისური ფირმის „მეტროპოლიტენ"-„ვიკერს"-ის მემონტაჟე-ინჟენერი, ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ 58—7, 58—9 და 58—11.

14 **ოლეინიკი**, პეტრე ერემიას ძე, 52 წლისა დაიბადა ყოფ. პოლტავის გუბერნიის პერეკრესტოვშჩინას ხუტორში, საშუალო განათლებით, ცოლიანი, გასამართლებული არ ყოფილა. ინგლისური ფირმის „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის უფროსი მონტიორი, ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58—6, 58—7 და 58—11

15. **სოკოლოვი**, ვასილ ანდრიას-ძე, სახელმწიფო მოსამსახურე, დაიბადა ბელორუსიის ს. ს. ს. რესპუბლიკის ბირსკის რაიონის სოფ. [illegible], შინამრეწველის შვილი, საშუალო ტეხნიკური განათლებით, სპეციალობით ტეხნიკ-ელექტრო-მექანიკოსი, ცოლიანი, გასამართლებული არ ყოფილა, ზლატოუსტის ქარხნის ელექტრო სადგურის უფროსის ყოფ. თანაშემწე, ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58-6, 58-7, 58-9 და 58-11.

16. **სუხორუჩკინი**, ლეონიდ ალექსანდრეს-ძე, 39 წლისა, სახელმწიფო მოსამსახურე, დაიბადა ჩრდილოეთ-კავკასიის მხარის ნოვოპავლოვსკის სტანიცაში, ვაჭრის შვილი, უმაღლესი განათლებით, სპეციალობით ინჟინერ-ელექტრიკოსი, ცოლიანი, გასამართლებული არ ყოფილა, მოსკოვის ქალაქის პირველი ელექტროსადგურის საექსპლოატაციო განყოფილების ყოფილი უფროსი, ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭ. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58-7, 58-9 და 58-11.

17. **ტორნტონი**, ლესლი ჩარლზი, 45 წლისა, დაიბადა ქალაქ ლენინგრადში, მეფაბრიკის შვილი, ინგლისის ქვეშევრდომი, ცოლიანი, უმაღლესი განათლებით, გასამართლებული არ ყოფილა, ინგლისური ფირმის „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის უფროსი მემონტაჟე-ინჟინერი, ბოროტმოქმედებებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58-6, 58-7, 58-9 და 58-11.

წინასწარი და სასამართლო გამოძიების მასალებით, საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სპეციალურმა საკრებულომ გამოარკვია შემდეგი:

მთელი რიგ წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის მსხვილ ელექტროსადგურებზე, რომლებიც შედიან „მოსენერგო"-ს სისტემაში, ზლატოუსტის, ჩელიაბინსკის, ივანოვსკის, ბაქოს და სხვ. ელსადგურებზე ადგილი ჰქონდა ცალკე ქვაბების, მოტორების, ტურბინების, გენერატორების და სხვ. სისტემატიურ ავარიებს, რომლებსაც ისინი გამოჰყავდა მწყობრიდან ცოტათ თუ ბევრად ხანგრძლივი ვადით და რომლებიც ამცირებდნენ ელექტროსადგურების სიმძლავრეს.

წინასწარი გამოძიების სტადიაში შექმნილმა და სასამართლოს სხდომაზე გამოწვეულმა სპეც. ტეხნიკურმა საექსპ. კომისიამ მისთვის წარდგენილი ცნობების საფუძველზე გამოიტანა დასკვნა, რომლის მიხედვით ავარიების ყველა გამოკვლეულ შემთხვევებში ადგილი ქონდა ან დანაშაულებრივ დაუდევრობას, ან პირდაპირ მავნებლობას ზემოთ-ჩამოთვლილ სადგურებზე მომუშავე ტეხნიკური პერსონალის მხრივ.

სასამართლო გამოძიების იმ მასალის საფუძველზე, რაც წარედგინა სასამართლოს, უკანასკნელი აღნიშნავს, რომ დასახელებული ავარიების მიზეზს წარმოადგენდა იმ კონტრრევოლუციურ ჯგუფების მავნებლური მოქმედება, რომლებიც შესდგებოდნენ ელექტროსადგურების სახელმწიფო მოსამსახურეებისაგან, უმეტეს შემთხვევაში უმაღლეს ტეხნიკურ პერსონალისაგან, და რომლებიც მოქმედებდნენ ტეხნიკური დახმარების გაწევის შესახებ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატთან დადებულ ხელშეკრულების საფუძველზე საბჭოთა კავშირში მომუშავე კერძო ინგლისური ფირმის „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის ზოგიერთი მოსამსახურის თანამონაწილეობით.

1. მავნებლობა ზლატოუსტის ელექტრო სადგურზე

1. ელექტროსადგურის უფროსი, სახელმწიფო მოსამსახურე, კოლჩაკის არმიის ყოფილი მოხელე ვ. ა. გუსევი, რომელმაც მიზნად დაისახა სახელმწიფო მრეწველობისათვის და საბჭოთა კავშირის თავდაცვის-უნარიანობისათვის ზიანის მიყენება, სახელმწიფო მოსამსახურესთან. თავის თანაშემწე ა. ვ. სოკოლოვთან და მთელ რიგ სხვა პირებთან ერთად, რომელთა საქმეები გამოყოფილია განსაკუთრებულ გასარჩევად.

ა) 1931 და 1932 წლის განმავლობაში, სისტემატიურად აფუჭებდა 1.400 ცხ. ძალის მოტორს, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა, ზლატოუსტის მექანიკურ ქარხნის სატკეცი საამქროს დიდი დაზგა, კერძოდ, მან ჩადვა ნაჭერი რკინა რკინებს შორის არსებულ სივრცეში იმ მიზნით, რომ შეეჩერებია ყუმბარების გამოშვება. ერთ-ერთ ასეთი ავარიის შედეგად, ყუმბარების დამამზადებელი საამქროები არ მუშაობდნენ თვე ნახევრის განმავლობაში;

ბ) 1931 წლის დამლევს გაყინა ქვაბი № 8. იმისათვის, რომ შეესუსტებია ელექტროსადგურის საქვაბე მეურნეობა;

გ) იმავე 1931 წლის დასასრულს დააზიანა ნახშირის მიმწოდებელი მექანიზმი № 1, კბილოვან გადამცემის კბილებს შორის ლითონის საგნების ჩადების გზით, რის შედეგადაც გატყდა ეს გადამცემი და საძირკველი. ამის შემდეგ, გუსევის განკარგულებით დაშალეს ნახშირის მიმწოდებელი მთელი მექანიზმები და ამგვარად ისინი არ მუშაობდნენ წელიწად ნახევრის განმავლობაში, გუსევის დაპატიმრებამდე.

დ) განზრახ, მავნებლური მიზნით დიდხანს გააჭიანურა №№ 1, 2 და 11 ქვაბების მონტაჟი. გუსევის ამ დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად ელექტროსადგურის სიმძლავრე 12.000 კილოვატიდან შემცირდა 6.000 კილოვატამდე, ე. ი. ნახევრად.

2. გუსევი და სოკოლოვი ამავე დროს ამზადებდნენ მთელ რიგ ავარიებს, რომლებსაც უნდა გაეჩერებინათ ელექტროსადგური და შეეწყვიტათ ელექტროენერგიის მიწოდება ზლატოუსტის ქარხნებისათვის საბჭოთა კავშირზე სამხედრო თავდასხმის მომენტში, რასაც მოელოდნენ მავნებლები.

3. ამ დანაშაულებრივ მუშაობას გუსევი და სოკოლოვი აწარმოებდნენ ინგლისურ ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მოსამსახურე, სამონტაჟო ინჟინერ ვ. ლ. მაკდონალდთან შეთანხმებით, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ავარიების გეგმების შემუშავებაში.

4. ამას გარდა, იმავე მაკდონალდის დავალებით, გუსევი და სოკოლოვი უშუალოდ და მესამე პირების მეშვეობით აგროვებდნენ მაკდონალდისათვის და აწარმოებდნენ მას საბჭოთა კავშირის საზიანოდ სამხედრო-სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო ცნობებს, რომლებიც ეხებოდნენ:

ა) ზლატოუსტის ქარხნების სამხედრო საამქროების მუშაობას;

ბ) ყუმბარების და მათი ტიპების დამზადებას;

გ) მაღალ ხარისხოვანი ფოლადის წარმოების სამხედრო საჭიროებისთვის;

დ) ელექტროსადგურის და ზლატოუსტის ქარხნების სამობილიზაციო გეგმებს.

5. აღნიშნული დანაშაულებრივი საქმიანობისათვის გუსევმა და სოკოლოვმა მაკდონალდისაგან მიიღეს ქრთამი — გუსევმა სხვადასხვა დროს — სულ 2.500 მანეთი და სოკოლოვმა — 1.000 მანეთი.

6. ამ ბოროტმოქმედებას მაკდონალდი სჩადიოდა ინგლისელი ქვეშევრდომის, ფირმა —მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მოსკოვის კანტორის მთავარი სამონტაჟო ინჟინერის — ლ. ჩ. ტორნტონის თანხმობით და მისი დავალებით, რომელთანაც, ისე როგორც მაკდონალდთან, გუსევი პირადად ადგენდა ავარიის გეგმებს 1931 წელს ზლატოუსტში და 1932 წელს ხარკოვის სადგურზე შეხვედრის დროს. ამ ორი შეხვედრის დროს გუსევმა გადასცა ტორნტონს სამხედრო-სახელმწიფო მნიშვნელობის მთელი რიგი საიდუმლო ცნობები.

გუსევის, სოკოლოვის და მაკდონალდის მიერ ჩადენილი დანაშაული გათვალისწინებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი 58-6. 58-7, 58-9 და 58-11 მუხლებში. ტორნტონის დანაშაული ჩამოთვლილია ქვემოთ.

2. მავნებლობა ზუევსკის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურზე

ზუევსკის ელექტროსადგურზე მთავარი მავნებელი იყო სადგურის სატურბინო საამქროს გამგე, სახელმწიფო მოსამსახურე მ. ლ. კოტლიარევსკი, რომელიც იმ მიზნით, რომ მიეყენებინა ზიანი საბჭოთა კავშირის სამრეწველო ძლიერებისათვის 1932 წლის ივნისში მოაწყო № 8 [illegible]-გენერატორის ავარია, გენერატორში ჭანჭიკის ჩარჭობის გზით, და ვასილიევთან ერთად, რომელიც შემდეგ გარდაიცვალა, მოაწყო № 1 და მე-3 ტურბინების ზეთოვანი ტურბოებ-ბის ავარიები, აღნიშნული ტუმბოების განზრახ დაზიანების გზით.

ეს მავნებლური აქტები ჩაიდინა კოტლიარევსკიმ იმავე მაკდონალდის მონაწილეობით, რომლისაგანაც კოტლიარევსკიმ აღნიშნული დანაშაულებრივი მუშაობისათვის ქრთამად მიიღო 1.000 მანეთი.

კოტლიარევსკის ბოროტმოქმედება გათვალისწინებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-7, 58-9 და 58-11 მუხლებში.

3. მავნებლობა ივანოვსკის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურზე

ივანოვის ჰიდროელსადგურზე მავნებლობას ახორციელებენ საექსპლოატაციო განყოფილების გამგე ა. ტ. ლობანოვი, ამ მავნებლობაში მონაწილეობას ღებულობდნენ იმავე ელექტროსადგურის ოსტატი ვ. პ. ლებედევი, „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მოსამსახურე, ინგლისის ქვეშევრდომი — ჩ. ნორდვოლი და სხვა პირები, რომელთა საქმეც გამოყოფილია.

ლობანოვმა მოაწყო შემდეგი ავარიები:

ა) სისტემატიურად აფუჭებდა ელექტრო წრედის რიკულების მოტორებს, აღნიშნული მოტორების მოსამზადებელი კაბელის გადაჭრის გზით.

ბ) განზრახ ანაგვიანებდა სილით ქვაბების მასაზრდოებელ ტუმბოს მოტორის საკისრებს, რის გამო მოტორი გაფუჭდა.

გ) განზრახ გააფუჭა № 5 ქვაბის კვამლსაწოვის მოტორი, მოტორის ვენტილაციის დახურვის გზით.

დ) ელექტროსადგურის შეუფერხებელი მუშაობის დარღვევის მიზნით, მან რამდენიმეჯერ განზრახ განაცალკევა სადგურის საკუთარი საჭიროების ფიდერები.

აღნიშნული მავნებლური აქტების შედეგად ფერხდებოდა სადგურის მუშაობა და მცირდებოდა ელექტროენერგიის მიწოდება იმ ქარხნებისა და ფაბრიკებისათვის, რომლებსაც ენერგიას აწვდიდა ივანოვსკის ჰიდროელსადგური. —

2. ა და ბ. პუნქტებში აღნიშნულ ავარიების უშუალო შემსრულებელი იყო ლებედევი. რომელიც მოქმედებდა ლობანოვის დავალებით.

3. ამ მავნებლური საქმიანობისათვის ლობანოვმა ნორდვოლისაგან მიიღო ქრთამათ 3.000 მანეთი, აქედან 800 მანეთი მან გადასცა ლებედევს.

ლობანოვის, ლებედევის და ნორდვოლის ბოროტმოქმედება გათვალისწინებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-7, 58-9 და 58-11 მუხლებში

4. ივანოვსკის იმავე ელექტროსადგურზე, აღნიშნულ პირებთან კავშირის გარეშე, ტორნტონის პირდაპირი დავალებით, სადგურის ოსტატმა, სახელმწიფო მოსამსახურე ზივერტმა 1931 წელს შეაფერხა ტრანსფორმატორის მონტაჟი, რისთვისაც ტორნტონისაგან ორჯერ მიიღო ქრთამი სულ 800 მანეთი. ზივერტის დანაშაული გათვალისწინებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-7 და 58-11 მუხლებში.

4. მავნებლობა მოსკოვის ენერგეტიულ სამმართველოს ელექტროსადგურებზე

მავნებლობას მოსკოვის ენერგეტიულ სამმართველოს ელექტროსადგურებზე ახორციელებენ შემდეგი პირები:

მოსკოვის პირველი საქალაქო ელექტრო სადგურის საექსპლოატაციო განყოფილების უფროსი, სახელმწიფო მოსამსახურე— ლ. ა. სუხორუჩკინი, მოსკოვის ენერგეტიული სამმართველოს სატურბინო მეურნეობის თბოჯგუფის უფროსი ინჟინერი, სახელმწიფო მოსამსახურე — ნ. გ. ზორინი და მოსკოვის პირველი საქალაქო ელექტრო სადგურის სარემონტო სამონტაჟო განყოფილების უფროსი, სახელმწიფო მოსამსახურე—მ. დ. კრაშენინიკოვი.

1 სუხორუჩკინი:

ა) 1928—1933 წლების მანძილზე ტორნტონთან შეთანხმებით სისტემატიურად მალავდა ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მიერ მიწოდებულ მოწყობილობის სერიოზულ დეფექტებს, აგრეთვე მალავდა დეფექტებს აღნიშნული მოწყობილობის მონტაჟის დროს, რამაც გამოიწვია მთელი რიგი ავარიები, შეამცირა სადგურის მუშაობის უნარი, და შეუძლებელი გახადა ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-სათვის შესაფერი ფულადი თანხების გადასახდევინება რეკლამაციის წესით.

ბ) 1931 წლის დასასრულს, პირადად, მოსკოვის საქალაქო პირველ ელექტროსადგურზე ავარიის გამოწვევის მიზნით, შეაერთა № 26 და 27 გენერატორების ერთფაზიანი კაბელების ტყვიის გარსი რკინის თაროსთან, ავარია თავიდან იქნა აცილებული მხოლოდ მუშების სიფხიზლის მეოხებით.

გ) 1930 და 1931 წლებში რამდენიმეჯერ შეხვდა ტორნტონს და შეუთანხმა მას ელექტროსადგურის დანგრევის საშუალების საკითხზე იმ მომენტისათვის, თუ დაიწყებოდა ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

2. ზორინმა, იმავე ტორნტონთან 1931 1932 წლებში მიღწეული შეთანხმების თანახმად, საბჭოთა კავშირის მრეწველობისათვის ზიანის მიყენების მიზნით, მოსკოვის პირველ ჰიდრო-ელსადგურზე და ორეხოვის თბო-ელექტროცენტრალში [illegible] მთელი რიგი მავნებლური ღონისძიებანი, ფარავდა რა ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მიერ მოწოდებული მოწყობილობის ორგანიულ დეფექტებს, რაც იწვევდა სისტემატიურ ავარიებს ამ სადგურებზე, ამცირებდა მოწყობილობის მუშაობის უნარიანობას, ადიდებდა მისი ექსპლოატაციის ღირებულებას და იწვევდა სარეკლამაციო თანხების დაკარგვას.

3. კრაშენინიკოვმა 1928—1932 წლების განმავლობაში მოსკოვის პირველ ჰიდრო-ელექტროსადგურზე გაატარა მთელი რიგი მავნებლური აქტები, ფარავდა რა ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მიერ მოწოდებულ მოწყობილობის და მისი მონტაჟის დეფექტებს, რაც იწვევდა სისტემატიურ ავარიებს სადგურში და სარეკლამაციო თანხების დაკარგვას.

აღნიშნულ დანაშაულებრივ მოქმედებისათვის სუხორუჩკინმა, ზორინმა და კრაშენინიკოვმა ტორნტონისაგან მიიღეს ქრთამი: სუხორუჩკინმა 2.000 მანეთი და 350 მანეთი „ტორგსინ"-ის ბონებით, ზორინმა 1.000 მანეთი და კრაშენინიკოვმა—[illegible] მანეთი. **სუხორუჩკინის, ზორინის და კრაშენინიკოვის** დანაშაულებრივი მოქმედებანი გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58-7, 58-11, ხოლო სუხორუჩკინის, გარდა მისა, საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 58-9 მუხლით.

V. ელექტროსადგურების ზემოთაღნიშნულ სახელმწიფო მოსამსახურეთა მავნებლური კონტრრევოლუციური მოქმედება დაკავშირებული იყო, როგორც ზემოთმოყვანილი ფაქტებიდან სჩანს კერძო ინგლისური ფირმის „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის ცალკე მოსამსახურეთა დანაშაულებრივ მოქმედებასთან.

სასამართლომ გამოარკვია შემდეგი:

1. ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მოსამსახურეთა შორის ხელმძღვანელ როლს კონტრრევოლუციურ ბოროტმოქმედებათა ჩადენაში თამაშობდა ამ ფირმის მთავარი მემონტაჟე ინჟინერი ლ. ჩ. ტორნტონი, რომლის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ცალკე ელექტროსადგურებზე მავნებლობას ახორციელებდნენ ფირმის ინჟინერები და მონტიორები — ინგლისის ქვეშევრდომი — ზემოთმოხსენებული მაკდონალდი და ნორდვოლი, აგრეთვე ინჟინერი კუშნი და საბჭოთა კავშირის მოქალაქე — ფირმის მონტიორი პ. ე. ოლეინიკი, ამ პირების საშუალებით, ისე როგორც უშუალოდ, ტორნტონი:

ა) კავშირის ამამდე ელექტროსადგურების სახელმწიფო საბჭოთა მოსამსახურეების კონტრრევოლუციურ ჯგუფებთან, უთანხმდებოდა მათ (გუსევი, სუხორუჩკინი, ზორინი) ავარიების მოხდენის შესახებ, ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მიერ მოწოდებულ მოწყობილობის დეფექტების დაფარვის შესახებ (კრაშენინიკოვი, ზივერტი) და აძლევდა ქრთამს სახელმწიფო მოსამსახურეებს მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ მოქმედებისათვის.

ბ) ეწეოდა სამხედრო ჯაშუშობას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მაკდონალდის, კუშნის და ოლეინიკის საშუალებით აგროვებდა, სამხედრო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საიდუმლო ცნობებს და მიღებულ ცნობებისათვის აღნიშნული პირების მეშვეობით აძლევდა ქრთამს საბჭოთა სახელმწიფო მოსამსახურეებს, (გუსევი, სოკოლოვი და სხვ.).

ტორნტონის დანაშაულებრივი მოქმედებანი გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58-6, 58-7, 58-9, და 58-11.

2. ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მოსკოვის კანტორის რწმუნებულმა **მონკჰაუზმა**: ა) იცოდა ტორნტონის მოქმედებათა შესახებ ელექტროსადგურების საბჭოთა სახელმწიფო მოსამსახურეების მავნებლურ კონტრრევოლუციურ ჯგუფებთან ერთად ამ ელექტროსადგურებზე ავარიების მოწყობის გზით.

ბ) იგი მონაწილეობას იღებდა ელექტრო სადგურების სახელმწიფო მოსამსახურეთათვის ქრთამის მიცემაში ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მიერ მოწოდებულ მოწყობილობის დეფექტების დაფარვისათვის, აგრეთვე ამ მოწყობილობის მონტაჟის დეფექტების დაფარვისათვის, რაც იწვევდა ავარიებს. მონკჰაუზის დანაშაულებრივი მოქმედებანი გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58-7, 58-9 და 58-11.

3. ტორნტონის მავნებლურ დავალებათა შემსრულებლად ბაქოს ელექტროსადგურზე იყო ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მემონტაჟე ინჟინერი კუშნი, რომელმაც 1928 წელს, ამ სადგურზე მოაწყო № 11 ტურბინის ავარია და შეაგროვა სამხედრო ხასიათის საიდუმლო ცნობები ტორნტონისათვის გადასაცემად. კუშნის დანაშაულებრივი მოქმედებანი გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58-9 და 58-11.

4. ტორნტონის დანაშაულებრივ დავალებათა შემსრულებლად მთელ რიგ ელექტროსადგურებზე (მოსკოვის პირველი ჰიდროელექტროსადგური, მაკეევკა, მოტოვილიხა) იყო ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს-ის მოსკოვის კანტორის მოსამსახურე, საბჭოთა კავშირის მოქალაქე **ოლეინიკი**.

ა) რომელიც სისტემატიურად ფარავდა ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მიერ მიწოდებულ მოწყობილობის დეფექტებს, რამაც გამოიწვია მთელი რიგი ავარიები.

ბ) აგროვებდა სამხედრო ხასიათის საიდუმლო ცნობებს და აწარმოებდა აგენტურის შერჩევას ტორნტონისათვის. ოლეინიკის დანაშაულებრივი მოქმედებანი გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58-6, 58-7, და 58-11.

5. ა. ს. **კუტუზოვა**, რომელიც მსახურობდა ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მოსკოვის კანტორაში მდივნის თანამდებობაზე, და რომელმაც იცოდა ამ ფირმის ზემოთ-აღნიშნული მოსამსახურეთა კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ, სისტემატიურად აწვდიდა და უგზავნიდა ფულად ჯილდოს ელექტროსადგურების სახელმწიფო საბჭოთა მოსამსახურეების კონტრრევოლუციურ ჯგუფების ცალკე მონაწილეებს მათი ჯაშუშური და მავნებლური მუშაობისათვის. კუტუზოვას ბოროტმოქმედებანი გათვალისწინებულია საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58-6, 58-11.

VI. აღნიშნულის საფუძველზე, გაითვალისწინა რა სასამართლოს მიერ გამორკვეული საქმის გარემოებანი, თვითეული ზემოთდასახელებული პირის დანაშაულის ხარისხი და საბჭოთა კავშირის ცაკის ა. წ. 14 მარტის დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმად საბჭოთა სახელმწიფო მოსამსახურენი, რომლებიც გამოაშკარავებულნი იქნებიან მავნებლობაში, როგორც თავის სამშობლოს მოღალატენი უფრო სასტიკ პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი, ვიდრე კერძო საწარმოთა მოსამსახურენი.

სასამართლომ მიუსაჯა

I

1. **გუსევს**, ვასილი ალექსის ძეს,
2. **სუხორუჩკინს**, ლეონიდ ალექსანდრეს-ძეს,
3. **ლობანოვს**, ალექსანდრე ტიმოთეს-ძეს,

სახელმწიფო მოსამსახურეებს — საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს — თავისუფლების აღკვეთა ათი წლით, უფლებების აყრით 5 წლით და მთელი ქონების კონფისკაციით. დახვრეტის ნაცვლად ამ ზომის შეფარდებას სასამართლო ასაბუთებს მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ აღნიშნულ ბრალდებულთა დანაშაულებრივ მავნებლურ მოქმედებას ლოკალური ხასიათი ქონდა და მას სერიოზული ზიანი არ მოუტანია საბჭოთა კავშირის სამრეწველო ძლიერებისათვის.

II

4. **სოკოლოვს**, ვასილი ანდრიას-ძეს,
5. **ზორინს**, ნიკოლოზ გრიგოლის-ძეს,
6. **კოტლიარევსკის**, მოსე ლევის ძეს,

სახელმწიფო მოსამსახურეებს — საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს, იმავე საფუძველზე — თავისუფლების აღკვეთა 8 წლით ზემოთაღნიშნული შედეგებით.

III

7. **კრაშენინიკოვს**, მიხეილ დიმიტრის ძეს,

სახელმწიფო მოსამსახურეს — საბჭოთა კავშირის მოქალაქეს—იმავე საფუძველზე— თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, უფლებების აყრით 5 წლით, ქონების კონფისკაციის გარეშე.

IV

8. **ლებედევს**, ვიაჩესლავ პეტრეს-ძეს, სახელმწიფო მოსამსახურეს — საბჭოთა კავშირის მოქალაქეს — მიიღო რა მხედველობაში, რომ იგი წარმოადგენდა იარაღს ლობანოვის ხელში და საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-51 მუხლის საფუძველზე — თავისუფლების აღკვეთა ორი წლით უფლებათა აყრის და ქონების კონფისკაციის გარეშე.

V

ფირმის „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მოსკოვის კანტორის მოსამსახურეებს,

9. ინგლისელ ქვეშევრდომს **ტორნტონს**, ლესლი ჩარლზს, თავისუფლების აღკვეთა სამი წლით და

10. ინგლისელ ქვეშევრდომს **მაკდონალდს**, ვილიამ ლიონელის ძეს რა, რომელიც მოქმედებდა მისი უშუალო უფროსის ტორნტონის, პირდაპირი წაქეზებით, ერთი მხრით, და [illegible] თავის დანაშაულებრივი მოქმედების გულწრფელად აღიარების გამო, რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 51-ის საფუძველზე, [illegible] მოთხოვნილი რეპრესიების [illegible] თავისუფლების აღკვეთით ორი წლით,

11. ინგლისელი ქვეშევრდომის **მონკჰაუზს** ალანს, ნორდვოლს ჩარლზს, რომელიც არ ღებულობდნენ უშუალო მონაწილეობას ელექტრო სადგურზე ავარიების მოწყობაში და

12. **კუშნი** ჯონის მიმართ, მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების ხანდაზმულობის გამო (1928 წელი). რ.ს.ფ.ს.რ.-ის სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 51-ის საფუძველზე, [illegible] საბჭოთა კავშირის [illegible] 5 წლით [illegible] მონკჰაუზი, ნორდვოლი და კუშნი [illegible] არიან

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

14 აპრილის პარტდღე თბილისის პარტორგანიზაციაში

განვამტკიცოთ შემოწმებული კადრებით მუშათა მომარაგების ორგანოები

საწარმოთა პარტორგანიზაციების შეუნელებელი ყურადღება საგარეთუბნო მეურნეობებში თესვის გეგმების შესრულებას

ყოველდღიური ხელმძღვანელობა საგარეთუბნო მეურნეობებს

(მაუდის ფაბრიკა)

მუშათა მომარაგების შემდგომი გაუმჯობესება, თვითეული ფაბრიკა-ქარხნისათვის მტკიცე სასურსათო ბაზის შექმნა, მუშათა დახურულ კოოპერატივების, სასადილოების დამხმარე მეურნეობათა კადრების შემოწმება და გაწმენდა კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან — აი ძირითადი საქმეები, რომელთა გარშემო უნდა გაემახვილებია პარტ. ორგანიზაციის ყურადღება 14 აპრილის ერთიან პარტდღეს. მაუდკამვოლის ფაბრიკაში პარტდღისათვის მოსამზადებელი მუშაობის წარმატებით ჩატარებამ უზრუნველყო პარტკომკავშირული მასების და უპარტიო მუშების აქტიური მონაწილეობა.

მაუდის ფაბრიკა ეკუთვნის იმ საწარმოთა რიცხვს, სადაც მუშათა მომარაგების საქმე საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილებით გადაცემული აქვს საქარხნო სამართვ. ამხ. რუხაძის მოხსენების გარშემო კამათში გამოსული მუშები, რომლებმაც შეამოწმეს მუშათა დახურული კოოპერატივის, სასადილოს და დამხმარე მეურნეობათა მუშაობა, აღნიშნავდნენ მთელ რიგ დეფექტებს ამ დარგში. მუშათა ბრიგადამ **სპანდაროვის** ხელმძღვანელობით შეამოწმა ვაშლისჯვარში საგარეთუბნო მეურნეობის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ მეურნეობის ბრიგადირს არ აქვს გეგმა, დაუდევრობას და უყურადღებობას აქვს ადგილი სათბურების მოვლის საქმეში. შრომის ორგანიზაცია იმდენად მოუწესრიგებელია, რომ დასასვენებელ დღეს როდესაც ბრიგადა ამოწმებ და მეურნეობას არავინ დახვდათ იქ. მუშების შეკითხვაზე, რატომ სათბურები არ არის ახდილი, დღეს ხომ მზიანი დღეა, ბრიგადირი უპასუხებს: ჩვენ მხოლოდ 8 საათს ვმუშაობთ, საუზმის შემდეგ ყველა დაიფანტენ და სათბურები ასე დატოვესო.

ასეთივე მდგომარეობაა მესვეურის მესაქონლეობის ფერმაში; ეს ფერმა ქარხანამ შეიძინა ცეკავშირისაგან. ფერმის კადრების შემადგენლობაში გამომჟღავნებულ იქნა კლასობრივად უცხო ელემენტები. ხელმძღვანელები, როდი იწუხებენ თავს, რომ წესიერად მოუარონ საქონელს. უსუფთაობაა ბოსლებში, დაუდევრობის და უყაირათობის აღმაშფოთებელი ფაქტები ძროხების მოვლის საქმეში — აი რას წააწყდნენ ბრიგადები მესვეურის ფერმაში.

არ არის ვეტერინარული ზედამხედველობა. იქნებ ეს აიხსნება კადრების სიმცირით. არა. ფერმას საკმაო რაოდენობით ყავს მომვლელების და ზოოტეხნიკოსების კადრი. მაგრამ ბევრ მათგანს არც კი შესტკივათ გული ფერმაზე. ფერმის ხელმძღვანელების უთავბოლო მუშაობას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დღემდე არ არის გადარჩეული საქონელი, ბოსლებში, ღორები და ძროხები ერთმანეთშია არეული. გასაგებია ამის შემდეგ, რომ 90 ძროხა იძლევა მხოლოდ 150 ლიტრ. რძეს. იმის ნაცვლად, რომ ზოოტეხნიკმა ყოველდღიური მეთვალყურეობა გაუწიოს ფერმას, ის არ არის გამოყენებული თავის დანიშნულებისამებრ.

კომკავშირის მსუბუქი კავალერიის ბრიგადამ —აღნიშნავს ამხ. საკაძე — შეამოწმა პურის ტალონების გაცემის პრაქტიკა და სასადილოს მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ იყო გამოტანილი დადგენილება სასადილოში საბონემენტო სისტემის შემოღების შესახებ, დღემდე ეს საქმე არ არის მოგვარებული. ამიტომ ფაბრიკის სასადილოში ზოგჯერ სადილობენ ისეთი პირებიც, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ჩვენს წარმოებასთან.

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა (სადილის ხარისხის გაუმჯობესება, სასადილოს აპარატის კადრებით ნაწილობრივ შევსება და სხვ.) დღემდე ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ დეფექტებს. სუსტია სანიტარული ზედამხედველობა, ამიტომ ადგილი აქვს უსუფთაობას.

ჩვენმა ბრიგადამ გამოარკვია — აღნიშნავს ამხ. მოწყობილიძე, — რომ მუშათა დახურული კოოპერატივის მაღაზიებში ზოგიერთი მუშაკები ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას იჩენენ მომხმარებლებისადმი.

დღემდე არ არის მოწესრიგებული მიღებული სამრეწ. საქონლ. მუშათა შორის წესიერად განაწილება. აგრეთვე არის იმის ფაქტებიც, რომ უხეშად ირღვევა ერთმართველობა. კანტორის თანამშრ. იძლევიან განკარგულებას სამრეწველო საქონლის გაცემის შესახებ. ყველაფერი ეს იმას ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული მუშათა კონტროლი მომარაგების დარგში.

ამხ. მიზგერი აღნიშნავს, რომ კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ყამარაულმა, ალიბეგაშვილმა და სხვ.

პარტიის და კომკავშირის ცალკე საამქრო უჯრედებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებები, რომ მომავალში უფრო ფართოდ გაშლიან მუშაობას მუშათა მომარაგების გაუმჯობესებისა და ფაბრიკისათვის მტკიცე სასურსათო ბაზის შესაქმნელად. კომკავშირელები ვიღებთ ვალდებულებას— აღნიშნავს ამხ. სიმონიანი—რომ სანიმუშოდ დავაყენებთ კომკავშირული მაღაზიის მუშაობას, გამოვყოფთ კომკავშირელთა დამკვრელ ბრიგადებს ხუთ-ხუთი კაცის შემადგენლობით და მივამაგრებთ ცალკე ცვლებზე, რომ სასადილოს გაუწიოს დახმარება, რომ უკეთ იქნას დაყენებული მუშათა მომსახურეობა. ჩავატარებთ შაბათობას დამხმარე მეურნეობებში 18 და 24 აპრილს, რომ ამით დავეხმაროთ საგარეთუბნო მეურნეობებს საგაზაფხულო თესვის გეგმების შესრულებაში და სხვ.

საქსოვი საამქროს პარტიული უჯრედი იღებს ვალდებულებებს სანიმუშოდ დააყენოს მესვეურის მესაქონლეობის ფერმა. საქსოვ-საამქროს მუშებს გამოეხმაურენ კამვოლის საამქროს მუშები. მათ აიღეს ვალდებულება გაუწიონ რეალური დახმარება დამხმარე მეურნეობას ბოსტნის თესვის გეგმის შესრულებაში.

კრებამ მიიღო კონკრეტული დადგენილება, რომელშიაც დასახულია ღონისძიებები მუშათა მომარაგების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. დაწესებულ იქნა დადგენილების ცალკე მუხლების შესრულების ვადები, გამოიყო დამკვრელი ბრიგადა, რომელსაც დაევალა შეამოწმოს პარტკომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრების მიერ მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

დამსწრე

მუშათა დახურული კოოპერატივი უნდა გაიწმინდოს კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან

მკერავი № 1 ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია მომზადებულად შეხვდა მორიგ პარტიულ დღეს.

მუშათა მომარაგების გაუმჯობესების და ფაბრიკისათვის მტკიცე სასურსათო ბაზის შექმნის შესახებ მკერავი № 1 ფაბრიკის დირექტორის, მკერავტრესტის მუშათა დახურული კოოპერატივის, ადგილობრივ სასადილოს და ფაბრიკის საგარეთუბნო მეურნეობის წარმომადგენელთა მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად ეხებოდენ მუშათა მომარაგების საკითხებს და სახავდენ ღონისძიებებს შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მკერავტრესტის პირველ და მეორე ფაბრიკას წეროვანში აქვთ საგარეთუბნო მეურნეობა 37 ჰექტარი მიწის ფართობით. მუშები ძლიერ არიან დაინტერესებული რა კეთდება ამ მეურნეობაში. მოეწყო შაბათობა მაგრამ შაბათობამ არ მოგვცა დადებითი შედეგები. რატომ? შაბათობა იმდენად უწესიროდ მოეწყო, რომ არ იქნა წინასწარ გათვალისწინებული რა ემუშავათ. მეურნეობაში არ აღმოჩნდა: ბარი, ფარცხი, გამწევი ძალა და სხვ. მეურნეობას დღემდე არა აქვს სათანადო ბინები მუშებისათვის, არ არის მომარაგებული კართოფილის თესლი და სხვა. ამან დააბრკოლა თესვის კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარება; დღემდე წეროვანის საგარეთუბნო მეურნეობაში დათესილია —ადრეული კულტურები 80 ჰექტარი, კართოფილი 5 ჰექტარის მაგივრად მხოლოდ 2 ნახევარი ჰექტარი.

მკერავის ფაბრიკის მუშათა დახურულ კოოპერატივის ზოგიერთ წერტებში ადგილი აქვს მიღებულ სამრეწველო და სასურსათო პროდუქტების გადამალვას რომელიც შემდეგ ნაცნობ მეგობრებზე ნაწილდება. დიახ ეს ფაქტია, რომელიც არავისთვის არ არის საიდუმლო. მაგალითისათვის წასვლა შორს არ დაგვჭირდება. მკერავტრესტის 1ლ- მაღაზიაში კერძო პირებზე გაყიდეს რამოდენიმე კილო შაქარი, 2.430 კილო კართოფილი უგზოუკვლოდ დაიკარგა, 211 მუშას კართოფილი არ მიუღია, ასეთივე აღმაშფოთებელ ფაქტებს ჰქონდა ადგილი მესამე მაღაზიაში, 370 ფუთი კართოფილი რომელიც ფაბრიკის მუშებისათვის უნდა დაერიგებიათ, ტრესტის თანამშრომლებს გაუნაწილეს და სხვ.—მოსათმენია ასეთი მდგომარეობა? — არა. მუშები მოითხოვენ კლასიურად უცხო და ბიუროკრატიული ელემენტებისაგან დ.მ.კ. გაწმენდას.

როდესაც მუშგლეხინის მიერ გამოყოფილმა მუშათა ბრიგადამ ამ აღნიშნული ფაქტების გამო პასუხი მოსთხოვეს დახურული გამანაწილებლის გამგეობის წევრს ამხ. მეტრეველს, მან ბრძნულად განაცხადა: „მე ვიცი როგორ უნდა გავანაწილო, თქვენ ნუ ჩაერევით ჩემს საქმეშიო“.

ცუდად მუშაობს სასადილო. ტრესტის ხელმძღვანელები „ვერ იცლიან“ ისეთი „წვრილმანებისათვის“ როგორიც სასადილოა. ხშირია შემთხვევები რომ ღამის ცვლა უვახშმოთ რჩება, სასადილოს ნორმალურ მუშაობას აფერხებს ინვენტარის ნაკლებობა, არ არის დაცული სისუფთავე, დაცემულია შრომის დისციპლინა მიზეზი? მიზეზი ისაა, რომ სასადილოს აპარატში მოკალათებულია კლასიურად უცხო ელემენტები, რომლებიც ეწევიან სპეკულიაციას მუშების პროდუქტით.

იქნებ თანხები არ არის საკმარისი? მაგრამ რით უნდა ავხსნათ რომ მუშათა კვების გაუმჯობესებისთვის გადადებული თანხა 11 ათასი მანეთი, დღემდე არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებული.

კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად მოითხოვდენ სასადილოს გამგის ამხ. მაშასახლისოვის მოხსნას სამუშაოდან, მუშათა დახურულ კოოპერატივის და სასადილოს აპარატის გაწმენდას კლასობრივ უცხო და ბიუროკრატიულ ელემენტებისაგან. მუშათა მტკიცე კონტროლის ორგანიზაციას.— სწორია ეს დასკვნები მაგრამ საჭიროა დასახული ღონისძიებათა სისრულეში მოყვანა.

კრებამ მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი მუშათა მომარაგების და კვების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საგარეთუბნო მეურნეობაში თესვის წარმატებით ჩატარების საქმეში. დადგენილება არ უნდა დარჩეს ქაღალდზე.

ალ. გვინჩიძე.

რ. ლიუქსემბურგის სახელობის ფაბრიკაში 14 აპრილის პარტდღესთან დაკავშირებით მუშათა ბრიგადა იხილავს მომარაგების გაუმჯობესების საკითხზე დამკვრელი მუშების მიერ შემოტანილ წინადადებებს

დასტოვონ საბჭოთა კავშირის საზღვრები სამი დღე-ღამის განმავლობაში განაჩენის გამოტანის მომენტიდან.

14. **ოლეინიკს**, პეტრე ერემის ძეს, საბჭოთა კავშირის მოქალაქეს, ღებულობს რა მხედველობაში ის სამსახურებრივ დამოკიდებულებას ტრესტისაგან, და როგორც კერძო ფირმის მოსამსახურეს — თავისუფლების აღკვეთა სამი წლით უფლებების აუყრელად და ქონების ჩამოურთმევლად.

15. **კუტუზოვას**, ანნა ხერის ასულს, საბჭოთა კავშირის მოქალაქეს, იმავე საფუძვლით — თავისუფლების აღკვეთა წელიწადნახევრით უფლებების აუყრელად და ქონების ჩამოურთმევლად.

თავისუფლების აღკვეთა მისჯილთ ყველას ჩაეთვალოს წინასწარი პატიმრობის ვადა.

VI

16. **ზივერტს**, იური ივანეს-ძის, სახელმწიფო მოსამსახურის, საბჭოთა კავშირის მოქალაქის მიმართ, ღებულობს რა მხედველობაში, რომ თავისი მუშაობით 1931 წლ. შემდეგ მან დაამტკიცა, რომ გულწრფელად გასწყვიტა კავშირი მავნებლებთან, რ.ს.ფ.ს.რ.-ის სისხლის სამართლის მუხ. 58-ის სა... ფუძველზე არ შეეფარდოს რეპრესიის ღონისძიება და განთავისუფლებულ იქნას პატიმრობიდან.

17. **გრეგორი**, ალბერტ ვილიამი, ინგლისელი ქვეშევრდომი, მისთვის წარდგენილი ბრალდების არასაკმარისობის გამო, გამართლებულ იქნას.

განაჩენი საბოლოოა, არ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მისი გამოცხადების მომენტიდან.

საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სპეციალურ სასამართლოს თავმჯდომარე:— **ვ. ულრიხი.**

სასამართლოს წევრები: **ლ. მარტენსი, დმიტრიევი.**

ქალ. მოსკოვი, 1933 წლის 19 აპრილი.

განაჩენის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ ამხ. ულრიხმა, მისცა განკარგულება სასამართლოს კომენდანტს დააპატიმროს მსჯავრდადებული ტორნტონი, ხოლო ბრალდებული ზივერტი გაანთავისუფლოს პატიმრობიდან და სასამართლოს მდივანს — [illegible] —ნორდვალს, მონკჰაუზს და კუშნის საბჭოთა კავშირიდან გასვლის შესახებ სამი დღის ვადაში განაჩენის წაკითხვის მომენტიდან.

როგორ ჩატარდა პარტდღე ფეხსაცმელების ფაბრიკაში

14 აპრილს შესდგა სტალინის სახელობის ფეხსაცმელების ფაბრიკის პირველი ცვლის პარტუჯრედის ღია კრება, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: საგარეთუბნო მეურნეობის მუშაობის და მუშათა მომარაგების მდგომარეობის შესახებ. მომარაგების დარგში ტყავტრესტის მმართველის მოადგილის და დახურულ კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის მოხსენებებიდან და შემმოწმებელი ბრიგადების თანამოხსენებებიდან გამოირკვა მთელი რიგი დეფექტები მუშათა მომარაგების დარგში.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების უგეგმო მუშაობა და მოუქნელობა. ადგილი ჰქონდა აგრეთვე უთაურობასაც, კერძოთ თვითდამზადების საქმეში. მაგალითად: კაზახის რაიონში სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დასამზადებლად მივლინებული იქნება ექვსი კაცი. დაიხარჯა მივლინებაზე ორი ათასი მან. გარდა ამისა თვითდამზადებისათვის გაგზავნილი იყო ცხრა ათასი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი. მიუხედავათ ამისა ერთი მანეთის პროდუქციაც არ ყოფილა დამზადებული.

ტრესტს აქვს საგარეთუბნო მეურნეობა სოღანლუღში. ბრიგადებმა გამოარკვიეს, რომ საგარეთუბნო მეურნეობის მუშაობა უგეგმოთ სწარმოებს, მეურნეობა ჩამორჩება საგაზაფხულო თესვის გეგმების შესრულებაში. გეგმით მეურნეობას უნდა დაეთესა კარტოფილი ოთხი ჰექტარი, დღემდის თესლიც კი არ არის მომარაგებული. თესლი მოაგონდათ მხოლოდ მაშინ, როცა თესვა უნდა დაწყებულიყო. პარტიის რაიკომის დადგენილებით საგარეუბნო მეურნეობას უნდა შეეძინა 22 ძროხა და 75 ღორი. შეძენილია მხოლოდ 3 ძროხა და 7 ღორი. დღემდის საქონლისათვის ბინების მშენებლობა არ არის დაწყებული საგარეუბნო მეურნეობა არ არის უზრუნველყოფილი მუშა ხელით. საჭიროა 16 მუშა, ყავთ მხოლოდ 9. მუშებს შორის არ სწარმოებს არავითარი მასიური კულტურული მუშაობა, არ არის გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, სუსტია შრომის დისციპლინა, ადგილი აქვს გაუპიროვნებას და მუშა ხელის ცვალებადობას.

შემმოწმებელი ბრიგადებისა და „მსუბუქი კავალერიის“ მიერ მუშათა დახურული კოოპერატივის სასადილოს და პურის წერტების შემოწმებამ გამოამჟღავნა აგრეთვე დაუდევრობის და ბოროტმოქმედების მაგალითები. დახურული სასადილო არ არის მომარაგებული, დაბალია სადილების ხარისხი, არ არის დაცული სანიტარული პირობები, ძვირათ იყიდება სადილები, ადგილი ჰქონდა ოფიციანტების მხრივ მუშებისადმი უხეშ დამოკიდებულებას, პურის წერტის გამგე ლაშხი უცხო ელემენტია, არ არის პროფკავშირის წევრი, იგი აკლებდა პურს მომხმარებლებს (იპარავდა წონაში), ასევე პურის გამყიდველი პარონიანი უხეშად ეპყრობოდა მომხმარებლებს და წონაშიც ატყუებდა. ხორცის გამყიდველი თვალაძე არის ყოფილი ვაჭარი, ატყუებდა მომხმარებლებს წონაში, ხშირად თვითონ მიდიოდა სასეირნოთ და სტოვებდა საყასბოში თავის ნათესავებს. ზემოაღნიშნული მდგომარეობის შესახებ იცოდა მომარაგების განყოფილებამ, მაგრამ არ აქცევდა ყურადღებას.

უჯრედის კრებამ ამ დეფექტების აღმოფხვრისათვის მიიღო შემმოწმებელ ბრიგადის მიერ წამოყენებული კონკრეტული ღონისძიებანი, უჯრედის დადგენილების საფუძველზე ტყავ ტრესტმა გამოყო ოცი ათასი მანეთი საგარეუბნო მეურნეობაში ძროხებისა და ბინების ასაგებათ, მშენებლობა უნდა დამთავრდეს მეორე კვარტალში. კართოფილის თვით დამზადების ჩასატარებლად ყვარელის რაიონში მივლინებულ იქნება ერთი კაცი.

მუშათა დახურულ კოოპერატივის გამგეობას დაევალა დეკადის ვადაში დასდოს ხელშეკრულება სურსათის მოწოდებაზე ამხ. ფ. მახარაძის და 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობებთან. პარტიული გავლენის გაძლიერების მიზნით ფაბრიკის ერთი საამქროს უჯრედი მიმაგრებული იქნა საგარეუბნო მეურნეობაზე.

კრებამ დასახა აგრეთვე ღონისძიებანი დახურულ მუშათა კოოპერატივში სასადილოში და პურის წერტებისათვის საუკეთესო კადრების შესარჩევად. პარტდღე ჩატარდა თვითკრიტიკის ნიშნით. საჭიროა უჯრედის მიერ მიღებული გადაწყვეტილებათა ბოლშევიკური რეალიზაცია.

ნავთლუღის საბჭოთა მეურნეობის დამკვრელი მუშა ივანოვსკი, რომელიც სანიმუშოდ უვლის მუშა პირუტყვს

ორთქლმავალი, სასადილო, ბოსტანი

(პარტდღე სტალინელებთან)

ერთი შეხედვით ამ ცნობებს შორის არ არსებობს პირდაპირი კავშირი. თითქო საქმე, სრულიად დამოუკიდებელი რამ იყოს; საქმის შინაარსთან გაცნობის შემდეგ კი ირკვევა, რომ ჯანსაღი ორთქლმავლისათვის ბრძოლა მჭიდრო კავშირია ბრძოლასთან უკეთესი კვებისათვის, ბოსტნეულის მაღალი მოსავლიანობისათვის.

ამხ. სტალინის სახ. სარემონტო ქარხნის პარტუჯრედების კრებაზე ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა ეს მტკიცე კავშირი ორთქლმავალსა, სასადილოსა და ბოსტანს შორის. ეს მოხდა 14 აპრილს, ერთიან პარტიულ დღეს, როდესაც სტალინელებმა განიხილეს მუშათა მომარაგების საკითხები.

ამ დღეს, პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში შეიკრიბა ქარხნის მოწინავე საამქროები. **ამწყობი, საქვაბე, სატენდერო, ქარხნის კოოპერატივი**; დიახ ქარხნის კოოპერატივიც, რადგან კოოპერატივი და სასადილოები ახლა სრულუფლებიან საამქროს წარმოადგენენ ქარხნებში, მათ შორის სარემონტო ქარხანაშიც.

პარტიული დღე მხოლოდ ერთ საკითხს მიეძღვნა: **მუშათა მომარაგების მდგომარეობას ქარხანაში.**

200-მდე კომუნისტი, კომკავშ. და უპარტიო მუშა მოვიდა ამ კრებაზე, რომ მოისმინონ და თავიანთი აზრი გამოსთქვან ამ საინტერესო საკითხებზე.

საქარხნო კოოპერატივის თავმჯდომარე ამხ. **ნოზაძე** აკეთებს მოხსენებას; იგი დღეს ანგარიშს აბარებს პარტიულ ორგანიზაციას და მის ავტორიტეტულ დასკვნებს მოელის მომავალი მუშაობისათვის. მოხსენება მოკლე, მაგრამ ამომწურავია.

—ჩვენ უნდა შევაჯამოთ, თუ როგორ გარდავქმენით მუშათა მომარაგების საქმე. და მომხსენებელმა შეაჯამა ჩატარებული მუშაობა.

ქარხნის კოოპერატივი მუშებთან და მათი ოჯახის წევრებთან ერთად 14,200 მომხმარებელს ემსახურება, 38 სავაჭრო წერტის და ათეული სასადილოს საშუალებით. ფართო მოხმარების საქონლიდან, რომელიც გასულ წელს მიიღეს ქარხნის დამკვრელებმა, განსაკუთრებული ადგილი ფეხსაცმელებს ეჭირათ. 127 ათასი მან. ფეხსაცმელი მიაწოდა ქარხნის კოოპერატივმა მომხმარებლებს; შემდეგ მოდის კვების პროდუქტები. ამ მხრივ თვითდამზადება იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას.

პარტიამ მოგვცა დირექტივა:

— შეიჭერით შორეულ პუნქტებში, რაიონებსა და სოფლებში, დაამზადეთ და მიაწოდეთ მუშებს პროდუქტები, გამოიჩინეთ მეტი თვითინიციატივა, რომ ეს დირექტივა არა, პროდუქტების მომარაგების დარგში უდიდესი გარღვევა იქნებოდა კოოპერატივის. რა მოხდა სინამდვილეში?

თვითდამზადების წესით გასულ წელს ქარხნის კოოპერტივმა შეიძინა და მუშებს მიაწოდა 1,127 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ეს ხაზი უნდა გაგრძელდეს წელსაც. კიდევ მეტი: წელს ერთი-ორად უნდა გავაძლიეროთ თვითდამზადება და ამ საქმეში ფართოდ ჩავაბათ მუშათა საზოგადოებრიობა.

ავიღოთ დღის წესრიგის მორიგი საკითხი, ახლა ეს არის — **თესვის გაშლა საგარეთუბნო მეურნეობებში**. სტალინელებს საკუთარი საგარეთუბნო მეურნეობა აქვთ **ნავთი-ჭალაში**. შარშან იქ 113 ჰექტარზე ეთესა ბოსტნეული და სხვ. კულტურები, წელს 187 ჰექტარზე უნდა დათესონ. ჯერ-ჯერობით თესვის საქმე ამ მეურნეობებში კარგად მიდის. აქედანვე საჭიროა მზადება ნათესების მოვლისა და აღებისათვის, რომ უზრუნველვყოთ ბოსტნეულის მოსავლიანობის გადიდება. შარშანდელი გაკვეთილი კარგად შეითვისეს სტალინელებმა. (ტრანსპორტის უქონლობის გამო გამოუტანელი დარჩა და მეურნეობაში გაფუჭდა რამდენიმე ტონა ბოსტნეული) წელს არ უნდა განმეორდეს ეს. ამიტომ: აქედანვე უნდა მოგვარდეს ტრანსპორტის საკითხი.

ჯანსაღი ორთქლმავლის გამოშვება უზრუნველყოფილია, თუ მოგვარებულია მუშათა კვების საკითხი, ბოსტნეულის თესვის და მოვლის საკითხი. ქარხნის კოოპერატივი და ბოსტანი ერთგვარი ბარომეტრია, რომელიც არკვევს ქარხნის „ამინდს“. კარგად მუშაობს კოოპერატივი, უკეთესია კვება — კარგათ მუშაობს ქარხანაც და მოდის ჯანსაღი ვაგონი და ორთქლმავალი. ასე გამოსთქვეს ეს უბრალო ჭეშმარიტება ამ კრებაზე კამათში გამოსულმა მუშებმა: **ვართანოვმა, კილასონიამ, ბერნაცკიმ, არუთინოვმა, მინასაშვილმა, პიჩიკიანმა** და სხვ.

კამათი, ასე გაცხარებული სახე რომ მიიღო, გრძელდება, მაგიდაზე მომხსენებლის წინ თავი მოიყარა ქაღალდების გროვამ. ზოგი არ გამოდის კამათში და წერილობით იძლევა თავის შენიშვნებს, წინადადებებს და შეკითხვებს. 35-მდე შეკითხვა შეგროვდა მომხსენებლის ხელში. პარტდღისათვის მზადების პერიოდში შეგროვილი შენიშვნები და წინადადებებიც არის აქ. ამხანაგი მუშები იძლევიან მეტის-მეტად საქმიან წინადადებებს. აი ზოგიერთი მათგანი.

—სადუქნო საკონტროლო კომისიებში საუკეთესო დამკვრელები უნდა ინიშნებოდეს.

— სისტემატიურად უნდა ისინჯებოდეს და მოწმდებოდეს სასურსათო ბარათები.

— მაღაზიებში გაიკრას იმ საქონლის სია, რომელიც მიღებულია და გაიყიდება რომ აღმოიფხვრას რიგები.

ბრიგადირი ამხ. **ბერნაცკი** თავის მხრივ იძლევა საქმიან შენიშვნებს.

—მეოთხე სასადილოში 1—50 კაპ. ღირებულ კერძს ყიდიან 2 მანეთად; სასადილო თავის დროზე არ იღება, მომუშავეებს აცვიათ ჭუჭყიანი ხალათები, მაგიდებზე სადილობის დროს ვერ ნახავთ დოქს წყლით.

— ხორცის მეოთხე დუქანში ოთხი თანამშრომელია, ნახევარჯერ უსაქმოდ სხედან. მაშინ როდესაც იქ ორი თანამშრომელიც კმარა.

მომხსენებელი იწერს ამ საქმიან შენიშვნებს. ალაგებს მათ, რომ ხვალ, ზეგ და შემდეგში გამოიყენოს ისინი და გაატაროს ცხოვრებაში მუშათა წინადადებები.

მოკამათეებიდან ამხ. **მინასაშვილს** მოუწია რიგი. გგონია იგი ბევრს ილაპარაკებს, განსაკუთრებით დეფექტებზე; მან კი მომხსენებელს შეუტია, სამართლიანადაც.

— მეოთხე სასადილოში სადილებში ჭიარტლი ცურავდა, ამას არავინ ყურადღება არ მიაქცია, არც ამხ. ნოზაძემ!

მოხვედი ამ სასადილოში, ნახე ეს ამხ. ნოზაძე? ეკითხება იგი და პირით მომხსენებლისაკენ ბრუნდება. დარწმუნებული თავის სიმართლეში ნოზაძეს არც ელის პასუხს.

— არ მოხვედი, არ ნახე. — ამბობს მინასაშვილი და ერთხელ კიდევ გადახედავს ნოზაძეს, თითქო უნდა გამოარკვიოს, როგორ იმოქმედა მისმა ნათქვამმა.

წუთით სიჩუმეა. ფიქრობენ, რომ მინასაშვილი ისევ განაგრძობს ლაპარაკს, იგი კი წყნარათ ამთავრებს.

— მეტი მე არაფერი მაქვს სათქმელი.

მორიგი ორატორი იღებს სიტყვას. კრება გრძელდება.

კრება გრძელდება და იგი მომავალშიაც გაგრძელდება ამ დარბაზში საამქროებში, სასადილოებში, პარტკომში, ქარხნის და კოოპერატივის მაღაზიებსა და ფარდულებში, ბოსტანში და ყველგან, გაგრძელდება მანამ სანამ სამაგალითოდ არ აეწყობა მუშათა მომარაგების საამქროს მუშაობა.

ვ. შ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიკომის პლენუმი

13 აპრილს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა საორგანიზაციო საკითხები. პლენუმმა რაიკომის მდივნის—ამხ. ქ. ჩხარტიშვილის კურსებზე მივლინების გამო გაანთავისუფლა მდივნის მოვალეობიდან, რაიკომის მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა გ. შელია.

პლენუმის შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეყვანილ იქნა 11 კაცი. პლენუმმა თავის შემადგენლობიდან გამორიცხა: სოხიშვილი და ახალკაციშვილი.

სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ: ამხ. შარაშენიძე და შ. გოგეშვილი.

დამთავრდა სტალინის სახ. სარემონტო ქარხნის მეორე პარტტეხნიკური კონფერენცია

18 აპრილს დაამთავრა მუშაობა სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნის მე-2 პარტ-ტეხნიკურმა კონფერენციამ.

დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. **ხოჯიაშვილის** მოხსენების გარშემო, ორთქლმავალთა და ვაგონების შეკეთების ხარისხის შესახებ, რაც გრძელდებოდა საღამოს სხდომაზეც.

კამათში მონაწილეობა მიიღო 30-ზე მეტმა კაცმა.

კამათის დამთავრების შემდეგ კონფერენციამ აირჩია კომისია მოხსენების და კამათის მიხედვით რეზოლიუციის შესამუშავებლად; კონფერენციის დადგენილება დამუშავებული იქნება ტრანსპორტის პარტ ორგანიზაციაში.

შემდეგ მოსმენილ იქნა გზის დირექციის ტრანსპორტის ამხ. **ვოლკინის** მოხსენება სარემონტო ქარხანაში ტეხნიკური პროპაგანდის საკითხზე.

დასასრულს კონფერენციამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები: ამხ. **სტალინს, ამხ. ანდრეევს, და** ამხ. **ბერიას.**

ტყიბულმა და ჭიათურამ უნდა გამოასწორონ ჩამორჩენა

აიწყოს მუშაობა საკავშირო სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ დონბასის შესახებ მიღებული დადგენილების გატარების ნიშანს ქვეშ

ტყიბული უნდა გამოვიდეს გარღვევიდან

ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებმა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და ტყიბულის რაიკომის მტკიცე ხელმძღვანელობით, ამხ. **სტალინის** ექვსი მითითების რეალიზაციით, პარტმასიური მუშაობის გარდაქმნით და ამ დარგში ამხ. **კაგანოვიჩის** მითითებათა განხორციელებით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს პირველი ხუთწლედის საწ. საფ. გეგმის შესრულების დარგში.

განსაკუთრებული გარდატეხა 1932 წელში მოხდა, რომლის მთავარი მაჩვენებლებია:

1931 წელში საშუალოთ 1.444 მუშა - ხელის არსებობის პირობებში გამოღებული იქნა 143.962 ტონა ნახშირი, 1932 წ.—1.356 მუშა - ხელის არსებობის პირობებში გამოღებულია 205.262 ტონა ნახშირი.

შრ. ნაყოფიერება 1931 წელში ერთ მუშაზე საშუალოთ თუ იყო 124,1 ტონა, 1932 წელში ის უდრიდა 198,3 ტონას.

შრომის ნაყოფიერების ზრდას მოყვა ხელფასის ზრდაც: თუ 1931 წელში საშუალოთ ერთი მუშის ხელფასი უდრიდა 889 მანეთს, 1932 წელს ის ავიდა 1654 მანეთამდე.

ეს მაჩვენებლები მიღებული იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 წლის მარტის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სამდივნოს 1932 წლის 3 აპრილის დადგენილების რეალიზაციით პარტმასიური მუშაობის გარდაქმნის შესახებ, რაც ტყიბულის პარტორგანიზაციამ საბრძოლო ამოცანათ დაისახა: გარდაიქმნა როგორც მაღაროების პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურა, ისე მთელი პარტმასიური მუშაობა, ჩამოყალიბდა მაღაროების პარტიული კომიტეტი; უბნებში ნაცვლად 5—6 ცვლის უჯრედისა ჩამოყალიბდა თითო საბაზო დასაყრდენი უჯრედი. ყველა ამ ღონისძიებებმა გაამაგრა და აამაღლა კომუნისტების ავანგარდული როლი, რამაც მოგვცა აღნიშნული საგრძნობი მიღწევები.

1933 წლის საწარმოო პროგრამა განისაზღვრება 320.000 ტონა ქვანახშირით. პარტიის ეს საბრძოლო დავალება ითხოვს ადგილობრივ პარტკომკავშირულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ყურადღების მაქსიმალურ მობილიზაციას. ამ დარგში, როგორც პირველი კვარტალის შედეგები გვეუბნება, ტყიბულის ბოლშევიკებს ჩამორჩენა აქვთ.

გეგმით ტყიბულის მაღაროებს პირველ კვარტალში უნდა გამოეღოთ 60.000 ტონა ქვანახშირი, ფაქტიურად გამოღებული იქნა 36.737 ტონა, **გეგმა შესრულდა 61.2 პროცენტით.** მუშა - ხელი გეგმით უნდა ყოფილიყო 1221 კაცი, ფაქტიურად იყო 830, **გეგმის 68,5 პროც.** შრომის ნაყოფიერება თვითეულ მუშაზე გათვალისწინებული იყო 16,5 ტონა, ნამდვილად კი იყო 14,7 ტონა, **გეგმის 89,1 პროც.**

პირველ კვარტალში ფართო ხასიათი ჰქონდა მუშათა დენადობას: მოვიდა 766 მუშა, წავიდა 940.

რა არის ამის მიზეზი?

რკ. გზა ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას

ნახშირის ამოღების გეგმა დიდათაა დამოკიდებული რკინის გზის მოქნილ მუშაობაზე, იმაზე, თუ რამდენათ უზრუნველყოფს რკინიგზა ამოღებული ნახშირის დანიშნულებისამებრ თავის დროზე გადაზიდვას, ვინაიდან დახარისხებული ნახშირი დიდი რაოდენობით დაგროვების დროს ირევა ერთმანეთში. სისველის დროს ძალზე იზრდება ნახშირის ნაცრიანობა, რითაც ეცემა ხარისხი, იზრდება თვითღირებულება და სხვა. ასე მოხდა სწორეთ გ.-წ. მეოთხე კვარტალში, როდესაც რკ. გზამ ვერ უზრუნველყო მაღაროების საწყობში დიდი რაოდენობით დაგროვილი პროდუქციის გაზიდვა, რის გამოც პირველ კვარტალში მაღაროების დირექცია იძულებული გახდა ამოღება შეენელებია და მუშები გადაესროლა მოსამზადებელ სამუშაოებზე.

მეტი ყურადღება მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებს

დენადობის ერთ მთავარ მიზეზათ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობა უნდა ჩაითვალოს. ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი. **საბინაო პირობები:** 15051 კ. მ. საცხოვრებელი ფართობიდან მუშებზე მოდის: საერთო საცხოვრებელი 5.724 კ. მ., საოჯახო ბინები — 4183 კ. მ., დანარჩენი უჭირავთ მოსამსახურეებს, ინჟ.-ტეხნ. მუშაკებს და მაღაროების პარტ - პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციების მუშაკებს.

მუშებისათვის დანიშნული საცხოვრებელი ფართობი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას: მომავალში საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ მეტად სერიოზულ საკითხს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საცხოვრებელი ფართობის საგრძნობი ნაწილი არა მუშებს უჭირავთ; ბინების განაწილების საკითხიც ვერაა მოგვარებული.

საერთო საცხოვრებლის ზოგიერთ ოთახებში შექმნილია ანტი-სანიტარული პირობები, რაც უმთავრესად გამოწვეულია დენადობით: ხშირი მოძრაობის გამო ვერ მოუწესრიგებიათ ბინები სანიტარული პირობების დაცვა. მიუხედავათ იმისა, რომ შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილზეა გაკრული სავალდებულო სანიტარული წესები, მას არავინ ყურადღებას არ აქცევს. ეს აიხსნება საბინაო სამმართველოების უმოქმედობით და უპასუხისმგებლობით, რასაც სასწრაფო წესით ბოლო უნდა მოეღოს.

საავადმყოფო: საავადმყოფოს მდგომარეობა ყოვლად აღმაშფოთებელია. საშინელი ანტი - სანიტარია, უსინათლობა, სიცივე და უწესრიგობა საავადმყოფოს ქმნის მუშებისათვის მიუკარებელ შენობათ. ავადმყოფი მუშა გაურბის საავადმყოფოში მოთავსებას, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ იქ ასეთ პირობებში არა თუ განიკურნება, არამედ ახალ ავადმყოფობას შეიძენს კიდევ. დროა ერთხელ და სამუდამოთ მოისპოს ასეთი უპასუხისმგებლობა და ჯანგანყოფილებამ პასუხი მოეთხოვოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საექიმო პერსონალს რამოდენიმე თვეა ხელფასი არ მიუღია, რაც მათში სცემს შრომის ნაყოფიერებას და მუშაობისადმი ერთგულ დამოკიდებულებას.

კოოპერაციამ ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა

ადამიანის ჯანმრთელობისათვის აუცილებელია ბოსტნეული. ვერ იქნა და ვერ მოახერხა ტყიბულის კოოპერაციამ, რომ უზრუნველჰყოს მუშები ბოსტნეულით.

მიუხედავათ იმისა, რომ ტყიბული შედარებით სხვა წარმოებებთან უკეთესად მომარაგებულია სამრეწველო საქონლით (იანვარ - თებერვალში ერთ მუშაზე მიღებულია 205 მანეთის სამრეწველო საქონელი), მიღებულის განაწილება არ ხდება სწორად, რაც იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას. ასევეა სასადილოების საქმეც. სასადილოები ვერ ამზადებენ იაფ-ფასიან ჯანსაღ სადილებს. საჭიროა საგარეთუბნო მეურნეობის მოწყობა და განმტკიცება, აგრეთვე მეკურდღლეობის ფერმის (სადაც ამჟამათ 218 კურდღელია) შემდგომი განვითარება.

კომუნისტები და კომკავშირელები — მოწინავე რიგებში

პარტმასიური მუშაობის გარდაქმნამ მოგვცა კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების ზრდა და პირობების მომზადება შემდგომი გამარჯვების უზრუნველსაყოფათ; კომკავშირი ამ მხრივ ჩამორჩება, რაც სასწრაფოთ უნდა იქნეს გამოსწორებული; ნაწილი კომკავშირელებისა ჯერ კიდევ ვერ არიან მაგალითის მიმცემი უპარტიო მუშა - ახალგაზრდებისათვის, არ არიან მთელი 100 პროცენტით ჩაბმული სოცშეჯიბრებაში და სამეურნეო ანგარიშის ბრიგადებში, ვერ იძლევიან საწარმოო ფრონტზე გმირული ბრძოლის საუკეთესო მაჩვენებლებს, რასაც კომკავშირის რაიკომმა დროულად უნდა მიაქციოს ყურადღება.

სოც - შეჯიბრებამ, დამკვრელობამ და სამეურნეო ანგარიშის ბრიგადებმა საუკეთესო მაჩვენებლები მისცა ტყიბულის მაღაროებს, მაგრამ ამ დარგშიც ბევრია გასაკეთებელი: მთავარია ის, რომ **უზრუნველყოფილი იქნეს მიღწევათა ზუსტი აღრიცხვა, ნაკლის თავის დროზე შემჩნევა, ცრუ - დამკვრელების განდევნა, ჩამორჩენილების ბუქსირზე აყვანა** და მთელი მუშათა კოლექტივის გადაქცევა სოციალისტური შრომის, დამკვრელ არმიათ; თუ 32 წ. პირველ იანვრისათვის სოც - შეჯიბრებაში და დამკვრელობაში ჩაბმული იყო მუშათა 51,6 პროც., 1933 წ. პირველ იანვრისათვის ეს ციფრი ავიდა 78,7 პროც.-ზე. საჭიროა აღებული ტემპების კიდევ უფრო გაძლიერება.

დისციპლინის განმტკიცება ახალ-ახალი გამარჯვებათა საწინდარია

მუშათა დენადობას შეაჩერებს ახალ მოსულ მუშების კულტურულათ გადამუშავება, სისტემატიური აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება და მათში პროლეტარული დისციპლინის ჩანერგვა. ეს ამოცანები უმთავრესად პროფკავშირებმა უნდა შეასრულონ. მიუხედავათ ამ დარგში საგრძნობი მუშაობის ჩატარებისა, მაღაროების კულტ - დაწესებულებები და პროფკავშირები ჯერ კიდევ ვერ იბრძვიან სათანადოთ ამ მიმართულებით. საჭიროა პროლეტარული დისციპლინის განმტკიცება მუშებში ფართო აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებით, საჭიროა მთლიანად მოისპოს (ამჟამად დაყვანილია მინიმუმამდე) სამუშაოს უმიზეზოთ გაცდენა; სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს მფრინავებს, ზარმაცებს, წამგლეჯებს, რომლებიც სოციალისტური სახელმწიფოს მტრები არიან.

ფართო გზა მუშათა საქმიან წინადადებებს და გამომგონებლობას

გასულ წელს შემოსულია საქმიანი წინადადება 139, შესრ. 76. შესრ. პროცესშია 21, უარყოფილია 42. გატარებულმა წინადადებებმა მოგვცა 49.146 მან. ეკონომია.

მარტო ეს ფაქტი მოწმობს, რომ შემოქმედებითი ძალა თვით მუშებშია, საჭიროა მხოლოდ ამ შემოქმედებითი ძალის ამოქმედება და გამოვლინება, რაიც მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, თუ შევქმნით სათანადო პირობებს საქმიან წინადადებათა შემოსატანათ, უზრუნველყოფთ მათ სასწრაფო წესით განხილვას, ცხოვრებაში გატარებას და წავახალისებთ გამომგონებლებს საქმიან წინადადებათა შემოტანისათვის.

აპარატი უნდა იყოს მოქნილი

ტყიბულის მაღაროების აპარატი პირველი აპრილისათვის შემცირდა 139 კაცით, რამაც 227.127 მან. ეკონომია მოგვცა. ეს ხარჯი ერთის მხრივ, ადიდებდა პროდუქციის თვითღირებულებას, ხოლო მეორეს მხრივ მმართველ აპარატს ხდიდა მოუქნელად. ეს შემცირება არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად. საჭიროა აპარატის შემდგომი შემცირება (რაზედაც არსებობს ტყიბ. რაიკომის დადგენილებაც), თანამშრომლების ფუნქციების მტკიცედ განსაზღვრა, პასუხისმგებლობის განმტკიცება, ბიუროკრატიზმის ნაშთების ძირფესვიანათ აღმოფხვრა და აპარატზე მუშათა სისტემატიური კონტროლის დაწესება.

საჭიროა სასწრაფო ზომები

ტყიბულის მაღაროები ამჟამად მძიმე ფინანსიურ მდგომარეობაში იმყოფებიან. მუშებისადმი ხელფასის დავალიანება 300.000 მან. აღწევს. არის სხვა სახის დავალიანებაც, რაც გამოწვეულია იმით, რომ 32 წელში ამოღებული ნახშირის ზარალი 956 ათას მანეთს უდრის, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 761.533 მანეთისა. ეს ზარალი კი გამოწვეულია იმით, რომ მაღაროების დირექციამ ვერ მიიღო სათანადო ორგანიზაციებიდან მასალები გეგმით გათვალისწინებულ ფასებში და მოხდა მათი მაღალ ფასებში შეძენა.

საჭიროა სათანადო ორგანოებმა მიიღონ სასწრაფო ზომები მუშათა ხელფასის გასასტუმრებლათ და ზარალის დასაფარავად.

უდიდესი ამოცანები სდგას წელს ტყიბულის წინაშე. ტყიბულმა ქვეყანას უნდა მისცეს 320.000 ტონა ქვანახშირი. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის მთელი მუშაობის გარდაქმნა იმ ორგანიზაციული მითითებების საფუძველზე, რომლიც აღნიშნულია საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილებაში დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის შესახებ.

ვ. ხუნდაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტე მარჯანიშვილი

როგორ გარდაიცვალა კოტე მარჯანიშვილი

მოსკოვი, 18 აპრილი (საკუთარი კორესპონდენტისაგან). კ. მარჯანიშვილი გარდაიცვალა 17 აპრილს დილის 7 საათზე. 16 აპრილს, მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეს არავითარი ნიშნები არ იყო იმისა, რომ მარჯანიშვილი ესე უეცრად გამოგვეცლებოდა ხელიდან. ამ დღეს 1-ლ საათამდე მარჯანიშვილს რეპეტიციები ჰქონდა მცირე თეატრში „დონ-კარლოს“-ზე, დღის 1-ლი საათის შემდეგ მოსკოვის ოპერეტის თეატრში ჩაატარა ერთ-ერთი უკანასკნელი რეპეტიცია შტრაუსის ოპერეტა „ღამურა“-ზე. ოთხ საათზე მარჯანიშვილი სადილობდა თავის მეგობრებთან. საღამო აგრეთვე მეგობართა წრეში გაატარა, რომელთა შორის იყო პოეტი ვასილ კამენსკი.

სახლში, არტისტ ბელიაევის ბინაზე მარჯანიშვილი ბრუნდებოდა თავის ასისტენტს, ჭელიძესთან ერთად. გზაში, ავტომობილში მარჯანიშვილი ცუდად შეიქნა. გამოძახებულ მეეზოვეს დახმარებით ჭელიძემ მარჯანიშვილი აიყვანა ხელზე და ასე შეიყვანეს ბელიაევის ბინაში. გამოუძახეს სასწრაფო დახმარების ეტლს. ექიმმა აღნიშნა **სისხლის ჩაქცევა ტვინში.**

სასწრაფო დახმარების ეტლმა მარჯანიშვილი წაიყვანა მეორე კლინიკურ საავადმყოფოში. მიღებულმა ზომებმა ვერ იხსნა მარჯანიშვილი სიკვდილისაგან. დილის 7 საათზე დიდი ხელოვანის მაჯისცემა შეწყდა.

კ. მარჯანიშვილი უკანასკნელ დღეებში დიდ მუშაობას აწარმოებდა. მას ყოველდღე ორ-ორი რეპეტიცია ჰქონდა. ამას გარდა მუშაობდა კინო-სცენარზე ი. ილფის და ე. პეტროვის რომანის თემაზე „12 სკამი“; ხელახალ მონტაჟს უკეთებდა „რომეო და ჯულიეტა“-ს, რომლის დადგმასაც აპირებდა თბილისში თავის ხელმძღვანელობით არსებულ ქართულ თეატრში.

როგორ მუშაობდა კ. მარჯანიშვილი ოპერეტის თეატრში

მოსკოვი, 18 აპრილი. (საკ. კორ). თქვენი კორესპონდენტი ესაუბრა ოპერეტის თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგეს ამხ. დონატოვს მარჯანიშვილის უკანასკნელი მუშაობის შესახებ ოპერეტა „ღამურა“-ს დადგმაზე, რომლის გენერალური რეპეტიციაც უნდა შემდგარიყო 19 აპრილს.

— „ოპერეტის თეატრი მარჯანიშვილთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ჯერ კიდევ შარშან და წინადადებას აძლევდა მას დაედგა ოპერეტის თეატრში პიესა „პრეზიდენტი და ბანანები“. წელს თეატრმა წინადადება მისცა მარჯანიშვილს თვითონ აერჩია „ფრინველის გამყიდველები“ ან „ღამურა“. მარჯანიშვილი შეჩერდა „ღამურა“-ზე, რომელშიაც ის ხედავდა დიდ გასაქანს თავის შემოქმედებისათვის. მარჯანიშვილი ამ სპექტაკლს უყურებდა, როგორც სიხარულის, სადღესასწაულო ფერების და იუმორის სპექტაკლს. მან შეარჩია განსაკუთრებული სინთეტიური ტეხნიკის აქტიორები. სპექტაკლში თამაშობდნენ თეატრის საუკეთესო ძალები: ბრავინი, ვოლოდინი, ტატიანა, ბახი, რეგინა, ლაზარევა, ოლინა, ნოვიკოვა. სპექტაკლი ერთდა იმავე დროს მზადდებოდა ორი შემადგენლობით. მეორე შემადგენლობაში დუბლიორებათ საპასუხისმგებლო პარტიებში გამოყოფილი იყვნენ ახალგაზრდა ძალები.

შტრაუსის ოპერეტის დადგმის დროს მარჯანიშვილი ცდილობდა ფერების რაც შეიძლება მეტი ეფექტი მოეცა. ის თავისებურ მონტაჟს უკეთებდა ცალკე პარტიებს, მოქმედებას ანაწილებდა ცალკე კადრებათ. მან თავისი კინოტეხნიკის ცოდნა შეუფარდა სინათლის მონტაჟის ტეხნიკას და გამოიმუშავა სინათლის სრულიად ორიგინალური ფორმა. ის დიდ ყურადღებას აქცევდა მასების მოძრაობას, რიტმიულობას. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბალეტს. მისი ხელმძღვანელობით სცენაზე ცოცხლდებოდნენ მკვდარი საგნები. ასე მაგალითად, პირველ მოქმედებაში მოცემულია გაცოცხლებულ სკამების და ჭიქების ცეკვა. მან თავისი ოსტატობით გაამდიდრა აქტიორთა თამაშის ტეხნიკა.

კ. მარჯანიშვილს იშვიათი ტემპერამენტი ჰქონდა. მას ახასიათებდა აქტიორისადმი ფრთხილი მიდგომა. მას აქტიორთან ერთად უხაროდა მისი გამარჯვება. ამავე დროს მარჯანიშვილმა ბევრის მოთხოვნაც იცოდა სპექტაკლის ყველა მონაწილეებისაგან. მის რეპეტიციებზე ოპერეტის თეატრში ყოველთვის სამაგალითო დისციპლინა იყო.

მოსკოვის ოპერეტის თეატრის მთელი დასის სახელით გთხოვთ გადასცეთ თბილისის ქართულ თეატრს ჩვენი ღრმა თანაგრძნობა და მწუხარება ასეთი დიდი ოსტატის გარდაცვალების გამო“.

ა. ტაიროვის წერილი

მოსკოვი, 18 აპრილი (საკ. კორ.) მოსკოვის კამერული თეატრის ხელმძღვანელი ალექსანდრე ტაიროვი დღევანდელ „იზვესტია“-ში სწერს: „გარდაიცვალა დიდი ხელოვანი, დიდი ადამიანი, შეუდრეკელი რევოლიუციონერი ხელოვნების დარგში. ჯერ კიდევ მეფის რეაქციის შორეულ წლებში რეჟისორი მარჯანიშვილი ცნობილი იყო, როგორც სცენის ნოვატორი, ნამდვილი მეამბოხე, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით, მთელი თავისი მუშაობით პროტესტს აცხადებდა მაძღარ, ჭკუამოკლე მეშჩანობის წინააღმდეგ, რომელიც იბრძოდა ახალი ადამიანისა, ახალი ხელოვნებისა, ახალი თეატრისათვის.

მას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული საბჭოთა თეატრის შექმნაში. მას ენიჭება სახალხო არტისტის სახელწოდება, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინად მარჯანიშვილის ჯანმრთელობა საგრძნობლად შეირყა, მაგრამ ის არ მიდის დასასვენებლად, მიუხედავად თავისი სერიოზული ავადმყოფობისა, არა მარტო განაგრძობს მუშაობას საქართველოში, არამედ პარალელურად დიდ მუშაობას ეწევა მოსკოვშიაც. ის ზომაზე მეტს მუშაობს. რეპეტიციებს აწარმოებს პარალელურად მცირე თეატრში „დონ-კარლოს“-ზე და ოპერეტის თეატრში „ღამურა“-ზე. მარჯანიშვილის სიცოცხლე უეცრად შეწყდა. ის მოკვდა, მაგრამ ხელიდან არ გაუშვა იმ დიდი შრომის დროშა, რომელიც ჩვენთვის პატიოსნების, სახელის და დიდების საქმედ გადაიქცა.

მარჯანიშვილის ცხოვრების გზა მაგალითი იქნება ჩვენი ქვეყნის მხატვართა ახალი თაობისათვის, როგორც გზა დიდი რეჟისორისა, რომელმაც არასოდეს არ იცოდა ჭკუამოკლე თვითკმაყოფილება, რომელიც ყოველთვის წინ მიისწრაფოდა. მარჯანიშვილი იყო ნამდვილი მხატვარი - რევოლიუციონერი, საბჭოთა თეატრის ნამდვილი ოსტატი“.

კ. მარჯანიშვილის ხსოვნის კომიტეტი

მოსკოვი, 18 აპრილი (საკ. კორ.) 18 აპრილს მცირე თეატრში შესდგა მარჯანიშვილის ხსოვნის კომიტეტის სხდომა, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის ყველა თეატრების წარმომადგენლებმა. კომიტეტმა გადასწყვიტა გაგრძელებულ იქნას მუშაობა მარჯანიშვილის ახალ დადგმებზე და მთლიანად შესრულდეს მისი მხატვრული გეგმა. 22 აპრილს ოპერეტის თეატრში წავა „ღამურა“ 18 მაისს კი მც. თეატრში „დონ-კარლოსი“. ამას გარდა პირველი სამხატვრო თეატრი განაახლებს კ. მარჯანიშვილის დადგმას „ცხოვრების კლანჭებში“. წარმოდგენა დანიშნულია 5 მაისისათვის.

კ. მარჯანიშვილის ცხედარს დასწვავენ

მოსკოვი, 18 აპრილი (საკ. კორ.) შესდგა მარჯანიშვილის ხსოვნის კომიტეტის სხდომა, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს რუსეთის განათლების კომისარიატიდან ამხ. არკადიევმა და ნოვიცკიმ, სამხატვრო თეატრიდან — კაჩალოვმა, ხოხნოვსკიმ, კნიპერ-ჩეხოვამ, კამერული თეატრიდან — ტაიროვმა, მცირე თეატრიდან აქსენოვმა, გოგოლევამ, სადოვსკიმ, ამაღლობელმა, ოპერეტის თეატრიდან — ვოლოდინმა, პოკროვსკიმ და ნოვიკოვამ. კომიტეტმა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის თანხმობით კ. მარჯანიშვილის ცხედარის კრემაცია (დაწვის) დღეთ დანიშნა 23 აპრილი. კრემაციის წინ გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი.

22 აპრილს, მოსკოვში მოელიან დელეგაციას თბილისიდან, რომელიც მოსკოვის თეატრების სპეციალურ დელეგაციასთან ერთად ურნას მარჯანიშვილის ფერფლით ჩაიტანს თბილისში.

21 აპრილს კუბო მარჯანიშვილის ცხედარით გადასვენებული იქნება კავშირების სახლის დარბაზში.

დელეგაციის გამგზავრება

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, გუშინ მოსკოვში გაემგზავრა კ. მარჯანიშვილის ცხედარის კრემაციაში და ურნის გადმოსვენებაში მონაწილეობის მისაღებად დელეგაცია საქ. განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. კ. ბერიძის მეთაურობით.

დელეგაციაში შედიან: კ. მარჯანიშვილის ცოლი **ელენე დონაური, შ. ღამბაშიძე** და **ვ. გოძიაშვილი.**

საქ. ცაკში

ნაციონალიზაციაქმნილი სახლების რემონტი

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაავალა საქ. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ შეუდგეს ნაციონალიზაციაქმნილი სახლების მდგომარეობის შესწავლას და შეიმუშაოს აღნიშნული სახლების რემონტის კალენდარული გეგმა.

ნაციონალიზაციაქმნილი სახლები უნდა შეაკეთონ იმ დაწესებულება - ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ სახლებში არიან მოთავსებული.

ამხ. ა. ენუქიძის სახელობის პედ. ინსტიტუტი

ცაკმა დააკმაყოფილა საქ. განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის ამხ. აბელ ენუქიძის სახელის მინიჭების შესახებ.

დამკვრელების სასიგნალო საგუშაგოების მოწყობა

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ყველა სალაროებში, სამშენებლო სამუშაოებზე, სამთამადნო სამუშაოზე და ფაბრიკებში მუშა-დამკვრელებისაგან შემდგარი სასიგნალო საგუშაგოების მოწყობის შესახებ.

სასიგნალო საგუშაგოებს დაევალათ სისტემატიურათ აცნობონ პროფორგანიზაციებს იმ დაბრკოლებათა შესახებ, რაც მათ გადაეღობებათ საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის დროს. სასიგნალო საგუშაგოების უშუალო ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვთ ადგილობრივ პროფესიონალურ ორგანიზაციებს. თვით საწარმოებებში და სამუშაოებზე სასიგნალო საგუშაგოები მოეწყობა თვითეულ საამქროში, ან ამა თუ იმ სამუშაო უბანზე.

საუკეთესო სიგნალისტების წასახალისებლათ, საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გამოჰყო 5 ადგილი დასასვენებელ სახლებში, 2 ადგილი სანატორიუმებში, 5 ფულადი პრემია და ლენინის თხზულებათა კრებული 3 კომპლექტი. დაწინაურებული სიგნალისტებისათვის პრემიების მისაცემათ გამოყოფილია კომისია — ამხ. ვ. სიხარულიძის, გორგიაშვილის, გ. კალანდაძის და ი. შოთაშვილის შემადგენლობით.

ხანძარი ყურევის ტყეში

11 აპრილს, საღამოს ყვარელთან ახლო მდებარე ყურევის ტყეს გაუჩნდა ხანძარი, რომელიც სწრაფად მოედო ტყის სივრცეს. ცეცხლის ალი შენიშნეს ყვარელის საბჭ. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა რომლებიც სასწრაფოდ გაეშურენ ხანძრის ჩასაქრობათ მეურნეობის მუშები, აგრონომ ალ. ქიქოძის ხელმძღვანელობით, გამოცხადდენ ხანძრის ადგილზე ნაჯახებით და თოხებით. ოთხი საათის გმირული მუშაობის შედეგათ, მათ მოახერხეს ხანძრის ჩაქრობა.

საბჭოთა მეურნეობის პარტუჯრედის ბიურომ დააჯილდოვა ის მუშა-მოსამსახურეები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ხანძრის ჩაქრობაში. წითელ დაფაზე შეიტანეს 25 მუშა-მოსამსახურე, რომელთაც აგრეთვე დაურიგდებათ სამრეწველო საქონელი.

ხანძართან ბრძოლის მიზნით, საბჭოთა მეურნეობასთან ჩამოყალიბდა სახანძრო რაზმი. საბჭოთა მეურნეობების ტრესტის და რესპუბლიკის სახანძრო სამმართველომ დაჩქარებით უნდა უზრუნველჰყონ სახანძრო რაზმი საჭირო ინვენტარით და სპეცტანსაცმელით.

ქრონიკა

გ. ა. გამოვის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი საბჭოთა ფიზიკოსი, ატომგულის ანაგობის სპეციალისტი გ. ა. გამოვი, რომელიც გააკეთებს რამდენიმე მოხსენებას ატომგულის ანაგობის, ვარსკვლავთა შინაგანი ანაგობის და განმტანი გამოსხივების შესახებ.

⌗ **აგურის გაიაფება.** თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით აგურზე ფასები დაკლებულია ათას ცალზე 16 მანეთით.

⌗ **5 ახალი ვაგონი.** ამჟამად თბილისში ყოველდღიურად მოძრაობაშია 145 ტრამვაის ვაგონი. თბილისის საბჭოს დადგენილების თანახმად ამ დღეებში ხაზზე სამუშაოთ გამოშვებული იქნება ტრამვაის 5 ახალი ვაგონი.

⌗ **საქ. უნივ. გეოგრაფიულ კათედრის შენობაში** დღეს საღამოს 8 საათზე შესდგება საქ. გეოგრაფიული საზოგადოების ჰიდროლოგიური სექციის საჯარო სხდომა, რომელზედაც პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ალპიურ, სუბალპიურ და ტყის ზონების ნიადაგების ფიზიკური თვისებები და მათი ჰიდროლოგიური მნიშვნელობა“. შესვლა თავისუფალია.

⌗ **20 აპრილს საღამოს 8 ნახ. საათზე პოლიტეკონომიის კაბინეტში** მოწვეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტ-ეკონომიის კათედრის ღია სხდომა, რომელზედაც ბ. რამიშვილი გააგრძელებს მოხსენებას თემაზე „მარქსი და კლასიკური პოლიტ-ეკონომია“. შესვლა თავისუფალია.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საწარმოთა 7 საათის სამუშაო დღეზე გადამყვან საქართველოს რესპუბლიკანურ კომისიისა

1933 წ. 14 აპრილი

იმ საწარმოთა 7 საათიანი სამუშაო დღეზე გადაყვანის შესახებ, რომელნიც დღემდის დარჩენ გადაუყვანელნი

რათა მიმდინარე 1933 წ. ოქტომბრის 1-დე მთლიანად იქნეს გატარებული 7 საათიანი სამუშაო დღე სხვ მრეწველობის ყველა დარგებში, საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული მთავრობის რესპუბლიკანური საწარმოთა 7 საათიან სამუშაო დღეზე გადამყვანი კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა როგორც რესპუბლიკანურ, აგრეთვე ადგილობრივ მნიშვნელობის საწარმოთა ორგანიზაციების (კერძო და საზოგადოებრივ) ხელმძღვანელებს, რომელნიც დღემდე არ გადასულან 7 საათის სამუშაო დღეზე, დაუყოვნებლივ შეუდგენ სათანადო მოსამზადებელ მუშაობის ჩატარებას იმ მიზნით, რომ ა.-წ. ოქტომბრის 1-დე ყველა დარჩენილი საწარმო გადაყვანილ იქნეს 7 საათიან სამუშაო დღეზე.
2. წინადადება მიეცეს პირველ მუხლში აღნიშნულ საწარმოთა ხელმძღვანელებს დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინონ მთავრობის რესპ. კომისიას (საქ. შრომსახკომში) შემდეგი ცნობები: 1) სწორი მისამართი საწარმოსი, 2) მუშა-ძალის რაოდენობა და 3) სავარაუდო დრო საწარმოს 7 საათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის შესაძლებლობის შესახებ) ვადის აღნიშვნით.
3. წინადადება მიეცეს ადგილობრივ შრომის ორგანოებს სისტემატიურად აწარმოონ შემოწმება მოსამზადებელ მუშაობის მსვლელობის შესახებ იმ საწარმოებში, რომლებიც დღემდის არ გადასულა 7 საათიან სამუშაო დღეზე და აღნიშნულის შესახებ მასალები მიაწოდონ საქ.-შრომის სახკომისარიატს.
4. აღნიშნულ დადგენილების შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საქ. მთავრ. რესპ. კომისიის თავმჯდომარე შრომის სახკომისარი **ლ. მორჩილაძე**
მთავრობის კომის. პ.-მგ. მდივანი
გ. ლლონტი

სამოქალაქო პანაშვიდი ქუთაისში

ქუთაისი, 19 აპრილი. (საკ. კორესპ.). რესპუბლიკის სახალხო არტისტის კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების გამო ქალაქის თეატრში 18 აპრილისათვის დანიშნული წარმოდგენა „სალტე“ გადაიდო. სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება 20 აპრილს ქალაქის თეატრში.

ამინდის მიმოხილვა საქართველოში

გასული დღე-ღამის განმავლობაში



გუშინ მთელი დღე და ღამითაც დასავლეთ საქართველოში მოღრუბლული და წვიმიანი ამინდი იდგა (19 აპრილის დილისათვის უმეტეს რაიონებში მოიწმინდა). ნალექების მაქსიმალური რაოდენობა ოზურგეთისა და ანასეულის რაიონებისათვის აღწევს 34—41 მილიმეტრამდე. ხულოსა და ჭიათურის რაიონში თოვდა, მაგრამ თოვლმა მიწა ვერ დაფარა. ტემპერატურა დღისით + 3°-დან + 10°-მდე, ღამით + 1°+ 5°-მდე.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში ყველგან თოვდა, დანარჩენ რაიონებში წვიმდა. თოვლის საბურველის მაქსიმალური სისქე გუდაურში 57 სანტიმეტრს აღწევს, დანარჩენ ადგილებში 1-დან 5-მდეა. ტემპერატურა დღისით +1°-დან + 12°-მდე, ღამით—1°-დან +6°-მდე.

მთელ საქართველოში ჰქროდა სუსტი ქარი.

სომხეთში ღრუბლიანი ამინდი, მცირე თოვლი აღნიშნულია მხოლოდ ელენოვკის რაიონში, დანარჩენ ადგილებში ნალექი არ ყოფილა. თოვლი ძევს სემიონოვკის და ელენოვკის რაიონში სისქით 24-დან 40 სმ. ყველგან სუსტი ქარი, გარდა ლენინაკანის და სემიონოვკის რაიონებისა, სადაც გუშინ სამხრეთ-დასავლეთის ძლიერი ქარი ჰქროდა. ტემპერატ. დღისით 0°-დან +13°-მდე, ღამით—5°-დან +6°-მდე.

აზერბეიჯანში მცირე მოღრუბლულობა, ზაქათალის რაიონში ღამით მცირე წვიმა (1 მმ.), დანარჩენ რაიონებში სიმშრალე. ბაქოს რაიონში ჰქროდა სამხრეთ-დასავლეთის ძლიერი ქარი, დანარჩენ ადგილებში სუსტი ქარი.

ტემპერატურა დღისით + 14°-დან + 22°-მდე, ღამით + 4°-დან + 7°-მდე.

მდინარეების დონის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში

დასავლეთ საქართველოში მდინარეების დონეს ემჩნევა მნიშვნელოვანი ამაღლება. მაგ. მდ. რიონზე საკოჩაკიძეზე დონე 19 აპრილს დილით 7 საათზე უდრიდა 405 სგ. 15 აპრილთან შედარებით ამაღლება აღწევს +216 სგ. რაც აიხსნება ამ რაიონში მნიშვნელოვანი ნალექებით. დასავლეთ საქართველოს სხვა მდინარეების დონეც მატულობს.

აღმოსავლეთ საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში შესამჩნევი ამაღლება მდინარეების ჯერ არ ეტყობა.

მოსალოდნელი ამინდი 19-დან 22 აპრილამდე

დასავლეთ საქართველოში 19 და 20 აპრილს ციური ცვალებადი მოღრუბლულობა, სიმშრალე. 21 აპრილს მოღრუბლულობის მომატება, საღამოთი მცირე წვიმა. მდ. რიონის ხეობაში აღმოსავლეთ ნახევრის შედარებით ძლიერი ქარი.

აღმოსავლეთ საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში ცვალებადი მოღრუბლულობა, სიმშრალე, სუსტი ქარი. მთელ ამიერ-კავკასიაში ტემპერატურის აწევა.

ამინდის ინსტიტუტი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

20 აპრილს, საღამოს სრულ რვა საათზე, საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტმასგანყოფილებაში ამხ. მდივანთან (ოთახი № 48) შესდგება თათბირი თბილისის საბჭოს და რაისაბჭოების სექციების დეპუტატების მუშაობის მასიური შემოწმების შესახებ. თათბირზე აუცილებლად უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ბეჟანიშვილი (თბ. საბჭო), ქაცარავა (გან. განყ.), კარნიცკი (სტალინის რაიკომი), ვარამაშვილი (საქ. ცაკი), ცირეკიძე (საქ. ცაკი), ფრანგულიანი (სამკურნ. კომისია), მუსელიანი, ლეკიშვილი, სუკოიანი, ათოევი, ჭურღულია, ჭაბუკიანი, სვანიძე, ქოჩიაშვილი, თავდგირიძე და ურდულაძე (თბილისის საბჭო), მაილოვი (გან. განყ.), ოგანიანი (თბ. კომ.), ფირუმოვი („მცენარეთა მეგობარი), კიდაიში (თბ. კომ.), სარქისოვი (ორჯონიკიძის რაიკომი), ხაჩიკიანი („26“-ის სახ. რაიკომი), ახალაძე (ლენინის რაიკომი), ბოლქვაძე (ორჯონიკიძის სახ. რაისაბჭო), ქართველიშვილი (სტალინის რაისაბჭო), ყურულოვი, პერჩიანი („26“-ის რაისაბჭო), მოსტონი (საქ. მიწათკავშირი), ვილოგა (თბ. კომიტეტი) ნალბანდოვი (თბ. კომიტეტი), ხარაზიანი (სამრეწველო სექციის თავმჯდომარე), დოლიძე (სატრ. სექციის თავმჯდომარე), ჯამბერიძე („მუშა“), ფილიევა (თბ. კომ.), გრიგოლია (სახბანკი), ქეინლოხოვი (მუშგლეხინი), მონასტირსკი (მუშგლეხინი), შავერდოვა (ამიერ-კავკ. მუშგლეხინი), ნ. მახარაძე (განსახკომი), ხუმარიანი (განსახკომი), ჯალაღანია (სას.-სამ. ინსტ.), უნგიაძე (სოცდაზღვევა), ომაროვი (საქპროფსაბჭო), ტ. ადამია (ორჯონიკიძის რაიკომი), გეგენავა (საქპროფსაბჭო), ლისენკო (ლენრაიკომი), ედიგაროვი („26„-ის რაიკომი), შეიძე (წითელი არმიის სახლი), რუსაძე (კომკავშირის თბ. კომიტეტი), ბუნიატოვა (ამიერ-კავკ. ცაკი), მგელაძე (ქალაქის ჯანმრთელობა), ქვემოდ დასახელებული საწარმოების სადეპუტატო ჯგუფების თავმჯდომარეები: სარემონტო ქარხნის, 26-ის სახელობის ქარხნის, კალინინის სახ. ქარხნის, მექანიკური ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის, ტრამვაის, ტყავის ქარხნის, № 1-ლი და მეორე ფეხსაცმელების ფაბრიკების, „მკერავი“ № 1-ლი და მეორე; ხოშტარია („26“-ის ქარხანა), ელიაშვილი და გ. დოლიძე (თბ. საბჭო), დ. ცხაკაია (ობსერვატორია), ნარსია (საქ. მუშგლეხინი), კასუმოვა (ამიერ-კავკ. საგეგმო კომისია), გეირგაძე (სახბანკი), სალუქვაძე (სადგურის ხიდის მშენებლობის უფროსი), დელიბაშვილი (ამიერ-კავკ. ფერადლითონი), საბჭოთა სამართლის ინსტიტუტის უჯრედის მდივანი, ნუცუბიძე (რკინის გზის სამმართველო), თარხანოვი (სამუსიკო ტრესტი), აბრამოვა (თბ. ენერგ. ინსტ.), ხერუმოვი (თბ. ენერგ. ინსტ.), მაკარაძე (თბ. საბჭო), ხოშუა (განსახკომი), ს. ართილაკვა (პედტეხნიკუმი), ჯიბუტი (საქ. ცაკი), ასკერი (თურქული პედტეხნიკუმი), იურჩენკო (ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმი), საგინთელაშვილი (წით. ჯვრის ც. კ-ტი), ბერიძე (განსახკომი), შომახია (სახკომსაბჭო), ჯავახიძე (ეკონ. კომ. ინსტ.), ცინცაძე (სახ. ინსტიტუტი), მინდაძე (სახუნივერსიტეტი), ანდღულაძე (სამ.-სატრ. სადგ. ც. გამგეობა), სახურია (ხორცის მრეწველობის ც. გამგ.), მამარდაშვილი (მედსანშრომა), გალდავა (აბრეშუმ-მატყლი), ქართველიშვილი (მკერავთა ც. გამგეობა).

—:—

20 აპრილს, საღამოს სრულ 8 საათზე ს.კ.პ. (ბ) ცკას კულტპროპში (პირველი სართული, ოთახი № 5) დანიშნულია ს. ბურჯულაძის, ა. ხარაბაძის და პარკაძის და ვ. შაფაქიძის მე-6 და მე-7 ჯგუფების [illegible] ხელმძღვანელობის განხილვა. განხილვაზე მოწვეულნი არიან შემდეგნი: ბურჯულაძე, ხარაბაძე, პარკაძე, შაფაქიძე, ქ. სულაქველიძე, ა. აბდუშელიშვილი, ს. ცხაკაია, მ. კონიაშვილი, დ. მესხი, ალ. მელიტოვი, თ. გეგეჭკორი, ძიძაძე, დ. იმნაძე, იაკ. კოსტავა, დ. ჯალაღანია, არ. ხარაძე თ. ყაზარაშვილი, მ. ლომინაძე, ი. ჰესიშვილი, განხილვაზე სასურველია დასწრება აგრეთვე საგნის პრაქტიკის მასწავლებლების.

—:—

სტალინის სახ. რაისაკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ვარლამ სულაბერიძეს, მელქისადეკ რობაქიძეს და სოფრონს სასწრაფოდ გამოცხადდენ სარაიონო საკონტროლო კომისიაში.

დღეს, 20 აპრილს საღამოს 7 საათზე შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს დამკ. მუშკორთა საბრიგადო ორგანიზატორების

სემინარის მეხუთე მეცადინეობა

მსმენელთა დასწრება აუცილებელია. მეცადინეობა იწარმოებს რედაქციის ბინაზე (რუსთ. პროსპ. 16).

„კომუნისტი“-ს დამკვრელ მუშკორთა ბრიგადების სექტორი.

რუსთაველის თეატრი
ს. ახმეტელის ხელმძღ.
20 აპრილი 7 აბ. 8 წ. ღვარძლი
21 აპრილი 8 აბ. 8 წარ. ღვარძლი
25 აპრილი პრემიერა გლეზოვი ზაგმუკ
დარჩენილი ბილეთები თეატრის სალაროში 11—2 ს. და საღ. 6—9 საათზე. დასაწ. 7 ნახ. საათზე. ნ. 471

სახელმწ. დრამა
ს.ს.ს.რ. სახ. არტ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
21 აპრილი 7 აბონ. 8 წარ. როგორ 17 აპრ. ბილეთები ძალაშია.
22 აპრილი 6 აბ. 8 წარ. ხატიჯე
23 აპრილი 4 აბ. 8 წ. ჯოი სტრიტ
აბონემენტის გადასახადი უნდა იყოს მთლ. დაფარული. სააბონენტო სალარო დაიხურება 25 აპრილს. ნ. 4 72

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:

ოქტომბერი ხმოვ.კინო 6-30, 8-30, 10-30	კომედია მექსიკელი დიპლომატები პრ. გარეშე—საბჭ. საქართველო № 4.
დამკვრელი 6-30, 8, 9-30 11.	მწვანე შესახვევი პრ. გარ. სოიუზკინოს ჟ. № 5.
დარბაზი 6, 7-40, 9-15, 11	სახკინმრეწვის ნაწარმოები თავადის ასული მერი
რ. ლიუქსემბურგის 6-30, 8-30, 10-30	უცხ.ფილ. ცეცხლიან კლდეების ველი პრ. გარეშე—საბჭოთა საქ. № 4.
სპარტაკი კომინტ. ქ. 5 6-30, 8 9-30, 11	სახკინმრეწვის ნაწარმოები ბელა პრ. გარ.—საბჭოთა ფლოტისათვის.
მეცნიერება და ტეხნიკა დასაწ. 7-30, 9-30	სამხ. ფილმი ქიმიური ომი პროგ. გარეშე—მზად იყავ!
ოქტომბერი 12, 1-30, 3	უცხ. ფილმი ბავშის გულისთვის პრ. გარ. საგუშაგოზე № 2.
რ. ლიუქსემბურგის 12, 1-30, 3	ალმოს. ფილმი სტუმარი მექიდან პრ. გარ. „სოიუზკ.“-ს ჟურნ. № 5.
საბავშო კინო დასაწ. 12 ს.	ახალგაზრდობა იმარჯვებს პროგ. გარეშე—ჩვენ და ისინი.

ამხ. ბრომკერის მოხსენება, მიძღვნილი მ. ნ. პოკროვსკის გარდაცვალებისადმი, თემაზე:
„მ. ნ. პოკროვსკი რუსეთის ისტორიული პროცესის შესახებ“
(რომელიც უნდა შემდგარიყო 17 აპრილს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობაში, რუსთაველი № 21)
გადადებულია და შესდგება 20 აპრილს
საღამოს 7 საათზე და 30 წუთზე.
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექცია.
ნ. 477

ს. ა. დიჟელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინ. ინსტიტუტები
სახის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას ეკზემას, აქე როზასა, თმის გაცვენას, ქერტლს და სხ
ძნელაძის ქ. № 22.

ექიმი
მ.გ. ხუციშვილი
მეანობა და ქალთა სნეულებანი მიიღება 5—7 საათამდე.
ბარნოვის (გუნიბის) ქუჩა № 26

ექიმი
პირაშკოვი
ვლ ვას
გულის და ფილტვების სნეულებანი. მიიღება ს დ.მოთოთ 6—7 ს.
ფლოდოსიევის ქ № 2

ექიმი
ქ.თ. ფეჟუელაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების, მიღება (სიფ. ვენერიულ, კანი და შარდის სასქესო ორგან. სნეულებანი)
ბელგიის ქ. № 1, დილით 8½—9 საღ. 7—8 ს.
13—5

რ. ლიუქსემბურგის სახ. კინო-თეატრი
20 აპრილიდან მიდის
ახალი ეგზემპლიარი ამერიკული სათავგადასავლო ფილმისა
ცეცხლიან კლდეების ველი
რეჟისორი ვიქტორ შერცინგერი.
მთავარ როლში—რიჩარდ დიქსი.
პარამუნტ ფილმის ნაწარმოები.
ნ. 476

ელექტრო-მეტალურგიულ საცდელ-საწარმოო ქარხანას
(ყოფილი ფერო-მარგანეცის)
სჭირდება მუშები
საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იქნება ნაწილი მიღებულ მუშაკებისა. ცნობების მიღება შეიძლება ქარხნის კანტორაში: დიდუბე, მაუდის ქარხნის პირდაპირ. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ცნობა უკანასკნელ მუშაობის შესახებ.
949 დირექცია.

ა. დ. კეკელია
სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულება.
მიღ. დილით 8—12 ს საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის გამზ. № 116 სასტუმრო „ევროპა“-პირდაპირ. ტელ. 12-67

ვ. აივაზოვი
დაბრუნდა
კანის და ვენერიული სნეულებანი, სიფილისი.
ჟორესის (ყოფ. კირკის) № 49 სახლში.
ღებულობს 9—12 და 5—8 საათამდი.

დაიკარგა ინვალიდთა არტელ „გამარჯვება“-ს ლუქის რგვალი ბეჭედი, ჩ. გ.
922

შვილები: გრიგოლი, აბესალომი, ვარლამი, რძლები: მარო, ნადია, აგრაფინა, მანია, შვილიშვილები: გოგოლა, ქეთო, მაგდალინა, ფაცო, თინა, მიმი, ჟორჟი, ალალო იუწყებიან
ბარბალე თოფურიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22 აპრილს აბაშაში. 948

ტარიელ მალხაზის-ძე ფანიაშვილი შვილებით: შურა და ლენათი ულრმეს მადლობას უხდიან ყველას, ვინც გაიზიარა მათი მწუხარება ძვირფასი მეგობრის და დედის
ანნა ივანეს-ას. ფანიაშვილის
გარდაცვალების გამო. 855

არტელ „მომარაგება“-ს წევრები იზიარებენ თანამშრომელ თედორე ინჯიას მწუხარებას მისი მეუღლის
ოლია ინჯიას
უდროოდ გარდაცვალების გამო. 947

მარჯანიშვილის თეატრის მთელი შემადგენლობა ჰგლოვობს თავის ძვირფას მასწავლებლის
კოტე მარჯანიშვილის
გარდაცვალებას. ნ. 474

ს. ს. ს. რ. სახალხო არტისტ კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული სახელმწიფო თეატრის ადგილკომი იუწყება, რომ ქ. მოსკოვში მოულოდნელად გარდაიცვალა თეატრის ხელმძღვანელი სახალხო არტისტი
კოტე მარჯანიშვილი
964

ყვარელის რაიონული აღმასკომი და პარტიის რაიკომი დიდ მწუხარებას გამოსთქვამენ ს.ს.ს. რესპუბლიკის სახალხო არტისტის
კოტე მარჯანიშვილის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 967

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პ/კავშირის ცენტრალური გამგეობა მწუხარებით იუწყება, რომ 17 აპრილს დილის 6 საათზე ქ. მოსკოვში გარდაიცვალა ს. ს. ს. რ. სახალხო არტისტი
კოტე მარჯანიშვილი
965

სახკინმრეწვის ტრესტი აუწყებს საზოგადოებას სახალხო არტისტის
კოტე ალექსანდრეს-ძე მარჯანიშვილის
გარდაცვალებას. ნ. 475

ჭიათურის მუშათა დამკვრელ თეატრის მთელი შემადგენლობა ჰგლოვს დიდი ხელოვანის
კოტე მარჯანიშვილის
გარდაცვალებას. 945

საქართველოს სახკინმრეწვის რეჟისორები, ოპერატორები და მსახიობები იუწყებიან სახალხო არტისტის
კოტე ალექსანდრეს-ძე მარჯანიშვილის
გარდაცვალებას. ნ. 475

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პ/კავშირის თავმჯდომარე გუგული ბუხნიკაშვილი მწუხარებით იუწყება, რომ 17 აპრილს დილის 6 საათზე, ქ. მოსკოვში გარდაიცვალა ს. ს. ს. რ. სახალხო არტისტი, კავშირის ც. გ. წევრი
კოტე მარჯანიშვილი
966

ა. თითბერიძე, ვ. თანეიშვილი, ე. ხაჩიძე, იუწყებიან სახალხო არტისტის
კოტე ალექსანდრეს-ძე მარჯანიშვილის
გარდაცვალებას. ნ. 475

გულმოკლული შვილები: მარო, ვერა, ნუცა ქმარშვილით, ალიოშა ცოლით, ტიტიკო, თამარა, დაი როსკანი იუწყებიან, რომ 22 აპრილს 6 ს. ხ. ლანირში დანიშნულია უსაყვარლეს მამის, მამიდის
სევერიანე და ანიჩკა ელიავების
სამოქალაქო პანაშვიდი. 942

ანასტასია და გალაქტიონ გელოვანი, სონია და მიშა გოცირიძე მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ბიძის, პროფესორ
ვახტანგ მუსხელიშვილის
გარდაცვალების გამო. 961

მშობლები: ვლადიმერი, ვარო, ძმა ლევანი, ბიძები: ილაკრი, ალექსანდრე, ევგენი, აბესალომ, კვიროსი გუბელაძეები, ბებია ფედოსი, ბიცოლები: მარუსა, ჟუჟუნა იუწყებიან
პატარა ნადიკოს
გარდაცვალებას. გამოსვენება მალაკნის ქ. № 42, 20 აპრილს, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 959

სამუდამოთ გულმოკლული მშობლები: ათინა, სანდრო ერისთავები, ქმარი ტარასი ქურთუბაძე, დები: ლიზიკო, გუგული იუწყებიან
მარუსია ერისთავი-ქურთუბაძის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე 7 ს. განოვის ქ. № 8, დაკრძალვა 5 ს. 21 აპრილს კუკიის სასაფლაოზე. 956

ულრმეს მწუხარებაში მყოფი მეუღლე ანნა ქერქაძე-ცინცაძისა პატარა ორელით აცნობებს საზოგადოებას განუშორებელი მეგობრის და მამის
მიტროფანე მასიკოს-ძე ცინცაძის
უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 955

გულდათუთქული მშობლები: ვანიჩქა და ნინა, ძმა ჯერიკო, ბაბუა ზოსიმე, ბებია ნატა იაკობაშვილები იუწყებიან მათთვის უსაყვარლესი
ციცინათელა იაკობაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21 აპრილს ავლაბრის სასაფლაოზე, გამოსვენება ბალდადის ქ, № 13. 958

დიდიჯიხაიშის მასწავლებლობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დამსახურებულ მასწავლებელ, დაუსწრებელ პედინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტ
ეგნატე კონსტანტინეს-ძე დარახველიძის
უდროოდ დაკარგვას. 967

დამწუხრებული შვილები: გრიშა, ალექსანდრე, პავლე, ვასასი, ქრისტინე, შუშანიკა, მარო, გერა ბუთეიშვილები იუწყებიან დაუვიწყარ მამის
თომა ივანეს-ძე ბუთეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22 აპრილს ნაფალაურში. 967

გაუბედურებული მშობლები: მარუსა, არტემი, ძმები: ჰაიკ და ვართან აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ გარდაიცვალა
გოგია არტემის-ძე მაილოვი
სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე, 1-ლ საავათმყოფოში. გამოსვენება 21 აპრილს 4 ს. 1-ლი საავათმყოფოდან ხოჯავანქის სასაფლაოზე. 963

უახლოესი ამხანაგები: ხარიტონ ჭინჭარაძე, კოტე სურგულაძე, გრიშა ნაფეტვარიძე, კოლია ვაშაკიძე, ნინა მახარაძე, გრიშა ჩიგოგიძე, ალექსანდრე ბახტაძე, მწუხარებას გამოსთქვამენ ევდოკი ენუქიძის ძმის
კოლიას
უდროოდ გარდაცვალების გამო. 935

მეუღლე ისიდორე მშობლებით, მშობლები: იორდანე, მაკრინე შვილებით, დეიდაშვილი ვალენტი შვილებით, მული ელისა, მაზლები: გიორგი, გაბრიელი, მელიტონი ცოლშვილით იუწყებიან, რომ 23 აპრილს, ს. ტბეთში (რაჭა) დანიშნულია
ელენა იორდანეს-ას. ლომთაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 960

გულდათუთქული მშობლები: ლუკა, ნატალია, ძმები და დები: ანიჩქა ქმრით პავლე ჭელიძე აუწყებენ ნაცნობებს დაუვიწყარ
ევგენი კაციტაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 20 აპრილს 4 ს. გამოსვენება დავითაშვილის 6. 944

გაუბედურებული მშობლები: ვერა, ამბაკო, დები: ანიკო, მარგალიტა, ძმა შოთა, ბებია ეფემია, მამიდა სეპიფორა, მწუხარებით იუწყებიან სიცოცხლით სავსე, ახალგაზრდა
დათიკო ობოლაძის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 ს. წითელი არმიის ქ. № 5. 945

სენაკის მრეწველობის ტრესტის მმართველობა მუშა-მოსამსახურეებთან ერთად ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ტრესტის ეკონომისტ
კირილე კიმოთეს-ძე ჭავჭანიძის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 18 აპრილს ქ. ხონში. 935

ტუბინსტიტუტი მწუხარებით აცხადებს თავის თანამშრომელ
დავით ენუქიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 20 აპრილს 4 საათზე ავლაბრის სასაფლაოზე, გამოსვენება მატერიალის ქ. 19. 962

დამწუხრებული ცოლი ქსენია ჰუმბურიძისა შვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი
იასონ ჰუმბურიძე
დასაფლავება ქუთაისში. 950

უახლოესი მეგობრები: ბაგრატი, იაშა, ბაბულია და ოლა ხარბედიები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ საუკეთესო მეგობრის და თანამებრძოლ
ლევან ჯანაშვილის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 897

გაუბედურებული მეუღლე ელენა, ცოლის ძმა ლავრენტი მეუღლით თამარით შვანგირაძეები იუწყებიან, რომ 23 აპრილს, სოფ. ონოლიაში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი
ფოკა ვასილის-ძე გაბუნიას
ხსოვნის აღსანიშნავად. 953

გულმოკლული დედა ელენე, ძმა ლევანი, ბებიები: ელისაბედი, მაკა, ბიძები: ესე, პავლე ცოლშვილით იუწყებიან, რომ 24 აპრილს ქ. ბათომში სოუქსუს სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
ლეილა სერგოს-ასულ რამიშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 952

საზ. უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტის ლექტორები და სტუდენტები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი
გიორგი (ბოჩო) ხოშტარიას
უდროოდ გარდაცვალების გამო. დასაფლავება ფოთში. 937

დამწუხრებულნი მშობლები ოლია, კონდრატი გაბუნიები, ბებია ანა, ბაბუა ესტატე, მამიდები: ლიუდია, ქენია, ბიძები: კალისტრატე, სერგო ოჯახობით იუწყებიან საყვარელი პატარა
ლელიკოს
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 22 აპრილს. 936

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი ნინა, შვილები: შურა, კუკური, და ოლია იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ
ელიზე ივანეს-ძე მიქანაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 20 აპრილს. 938

თავზარდაცემული დედა თეო, ცოლი დუნია შვილით ლამარათი იუწყებიან მათთვის საყვარელ
ლუტუშა ელიზბარის-ძე ნემსიწვერიძის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქუთაისში 20 აპრილს, მაქსიმ გორკის 6. 940

დამწუხრებულნი: ცოლი ოლია, სიდედრი ასინეთი, ცოლისძმები: ფოდრასტი, თათეოზა, ცოლისდები: ქრისტინა, თამარი, ქვისლი ვარლამი იუწყებიან ძვირფას
გაბო ილოს-ძე ნაირაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 ს. გუთნის ქ. № 27 (ყ. ფალავანდოვის) ავლაბრის სასაფლაოზე. 941

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მარიამ, იასონ ჭელიძეები იუწყებიან მათი დაუვიწყარი, ძვირფასი ერთად-ერთი შვილის
პატარა ედიკა ჭელიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 20 აპრილს 4 ნახ. საათზე, ებრაელების ჩიხი № 2 (კატოლიკების ეკლესიასთან) ვერის სასაფლაოზე. 943

გაუბედურებული ცოლი ნადია, ქალიშვილი თამარა, დედა ნინო, ძმები: ვლადიმერი, ვასილი ცოლით, ბიძაშვილი ნინა აუწყებენ ნათესავ-მგობრებს
სერგო გიორგის-ძე ცანავას
გარდაცვალებას. გამოსვენება 21 აპრილს 5 ს. კალინინის ქ. № 58, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 957

დამწუხრებულნი: მეუღლე ბათლომე, შვილებით: სიმონ, თინა, ელენე კუხიანიძეები იუწყებიან ძვირფას
ვერა ჰიპაშვილი-კუხიანიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 23 აპრილს, ყაზბეგის ქ. № 26. ნ. 470

მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ნატაშა, შვილი თამარა, დაი მაშო, მამა მათე მაჭარაძეები, დისშვილი ქეთო ხარაიძე იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ
ალექსანდრე მათეს-ძე მაჭარაძის
უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება ს. ივანდიდში 20 აპრილს. 951

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ., № 68.
მთავლიტის რწმუნებული ა 1335